საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
12 - 18 მარტი, 2014
№9 (244)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ვაშინგტონს ძალა არ აქვს უკრაინისთვის საბრძოლველად 18



## ევროდესანტი საპატრიარქოში 4



## მხედრიონიდან ბანდერლოგებამდე 5

## მიენიჭოს თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი 2

## უკრაინიდანაც უნდა ველოდოთ «დესანტს», მიხეილ სააკაშვილის სამეგობროს სახით 7



## სააკაშვილსა და მაიდნელებს ერთი და იგივე ძალა მართავს 6



## მიშელ ობამა ქართველ ბაპტისტებს ლობირებს 8

## «უკრაინის რღვევა დასავლეთის მიერ საქართველოში ნაცადი სცენარით მიმდინარეობს» 11

## «საქართველოშიც და უკრაინაშიც სააკაშვილს რუსეთის წინააღმდეგ იყენებენ» 14

## ცხოვრება გაძვირდა, ბიძინა ივანიშვილის დაპირებული ასი ახალი საწარმო კი არსად ჩანს... 10



## ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: სნაიპერების უკან არა იანუკოვიჩი, არამედ ვიღაც დგას კოალიციიდან 15

## «მიმდინარეობს წართმეული ქონების გადანაწილება ახალ და ძველ ხელისუფლებებს შორის!» 12

## «ნაციონალებს» შეკვეთილი აქვთ ათი ათასი დროშა თავისი ტარებით, ანუ მზად არიან ქუჩაში გამოსასვლელად» 13

## უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ჩადენილი მხეცობები დიდ სამამულო ომში 22

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში შობადობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს არის. პიკი იყო 1970 წელს, როცა 120 ათასამდე ბავშვი დაიბადა, დღეს კი ამის ნახევარიც არ არის. კატასტროფული ვითარებაა აბორტების თვალსაზრისითაც — 2012 წელს ქვეყანაში 40 ათასი აბორტი გაკეთდა.**



## კახა შარტავა «ეროვნული ფორუმის» თავმჯდომარის პოსტს ტოვებს

**კახა შარტავა 8-წლიანი თავმჯდომარეობის შემდეგ პარტიის ლიდერის პოსტს დატოვებს.**

„ფორუმის" ერთ-ერთი წევრის, ანი მიროტაძის, განმარტებით: „ეს ტექნიკური პროცესია, რადგანაც პარტიის წესდება არ იძლევა საშუალებას, ზედიზედ ორი ვადის გასვლის შემდეგ ისევ თავმჯდომარის პოსტზე დარჩე. „ეროვნული ფორუმი" ყრილობას მარტის ბოლოს გამართავს. ვინ შეცვლის კახა შარტავას, რომელიც პარტიის თავმჯდომარის პოსტს 2006 წლიდან იკავებს, უცნობია.



## ყოველი მესამე შვილის მშობელი ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს

რეგიონებში, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა, ყოველი მესამე შვილის მშობელი ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. საქართველოს პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით, დემოგრაფიულ საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია იქმნება. კომისიის შემადგენლობაში ჯანდაცვის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე და მოწვეული ექსპერტები შევლენ. კომისიამ დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პროგრამა უნდა შეიმუშაოს. იგი ითანამშრომლებს დემოგრაფიული განვითარების ფონდთან და ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციასა და ექსპერტთან. პრემიერმინისტრის ინიციატივით, იმ რეგიონებში, რომლებშიც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა და არ არის ბუნებრივი მატება, ყოველი მესამე შვილის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. დახმარების ოდენობა მთიან რეგიონებში — 200 ლარის, ხოლო ბარში 150 ლარით განისაზღვრება. პირველ ეტაპზე ეს გადაწყვეტილება 6 რეგიონს შეეხება.

ეს ინიციატივა პირველი ივნისიდან ამოქმედდება.

**P.S. როგორც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში შობადობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს არის. პიკი იყო 1970 წელს, როცა 120 ათასამდე ბავშვი დაიბადა, დღეს კი ამის ნახევარიც არ არის. კატასტროფული ვითარებაა აბორტების თვალსაზრისითაც — 2012 წელს ქვეყანაში 40 ათასი აბორტი გაკეთდა.**

# ილია მეორე ეკლესიების იერარქიაში საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილის დაბრუნებას ითხოვს

**საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა 6-9 მარტს სტამბოლში, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოში პანორთოდოქსულ შეკრებაზე უწმინდესის მიმართვის ტექსტი, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეკლესიების იერარქიაში საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილის დაბრუნებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას შეეხო.**



„თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მსოფლიო პატრიარქო ბართოლომეოს, უწმინდესნო და უნეტარესნო, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებსა და წარმომადგენლებს და აღვნიშნავ, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც მან უნდა განიხილოს საკითხები, რომლებიც მომავალი დიდი კრების წარმატებით ჩატარების წინაპირობად უნდა იქცეს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის შიში, რომელიც არსებობს მრევლის დიდ ნაწილში ამ საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით და მაქსიმალური სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მის მომზადებას. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო კრებების მოწვევა ხდებოდა მწვალებლობისგან ეკლესიის დაცვისა და ჭეშმარიტი სწავლების განმტკიცების მიზნით. ეს კრება კი სხვა სახისაა, მისი მოწვევის საფუძველი და მიზეზი სულ სხვა არის. დიდი კრების მიზანია, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენოს მართლმადიდებელთა ერთობა. ამიტომაც აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, ეს შეკრება ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება დღის წესრიგში არსებულ ყველა საკითხზე კონსენსუსის (ყველას თანხმობის) მიღწევა და ყველას ინტერესის გათვალისწინება. ამასთან, კონსენსუსის წესით უნდა წარიმართოს მთავარი შეხვედრაც. ეს არის რეალური გარანტია იმისა, რომ აღნიშნული კრება არ იქცეს ეკლესიათა შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად და დამაბრკოლებლად მსოფლიოს წინაშე. ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა უკვე გავლილი და შეთანხმებული თემების ნაწილის ხელახლა განხილვაც, რათა, თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია. ამასთანავე, ათივე საკითხი, რომლებიც შემუშავდა მოსამზადებელ შეხვედრებზე და რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1968 წელს ჟენევაში გამართულ სხდომაზე, მომავალი კრების დღის წესრიგში უნდა შევიდეს.

მინდა აღვნიშნო უშუალოდ საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული თემების შესახებაც:

**ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში. თუ ეს არ გამოსწორდება და თუ ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება.**

მოგეხსენებათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. ირღვევა საეკლესიო კანონიკური ნორმებიც, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენთან შეუთანხმებლად და ჩვენი ნებართვის გარეშე ჩადიან აფხაზეთის ეპარქიაში, რომელიც, ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია. მე არ შემიძლია თქვენ წინაშე არ დავაფიქსირო ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ ორივე ეპარქიიდან 370 ათასზე მეტი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც დღეს ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე იმყოფებიან; პრობლემურია ადგილზე დარჩენილთა მდგომარეობაც.

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ ოც წელზე მეტია, ჩვენს ქვეყანაში რთული ვითარებაა, ძმათაშორის დაპირისპირების მძიმე შედეგები საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი, ამიტომაც მტკივნეულად განვიცდით დღეს სირიასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და ვლოცულობთ, რომ მშვიდობამ დაისადგუროს ამ ქვეყნებში. კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას და შევთხოვ უფალს, 6-9 მარტის ჩვენი თავყრილობა იმედის მომცემი და ნაყოფიერი იყოს".

**P.S. ბერძნული პრესის ცნობით, საერთო მართლმადიდებლური დიდი და წმინდა კრება 2016 წელს სტამბოლში უნდა ჩატარდეს.**

# საზოგადო მოღვაწეების ღია წერილი

**Reportiori.ge-მ გაავრცელა ქართველი საზოგადო მოღვაწეების ღია წერილი პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**



ბატონო ირაკლი, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას მრავალი დამსახურება მიუძღვის ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. მან მთელი ცხოვრება შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. ის სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას და სწორედ მისი მეთაურობით, მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ დამსახურებული პატივი მიაგოს ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, საზოგადოებაში გაჩნდა იდეა, თბილისის აეროპორტს მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი. „ნაციონალური მოძრაობის" დროს ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან მაშინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ფასეულობები.

მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში თბილისის საკრებულოში უმრავლესობა შეიცვალა, საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდებოდა ამ ინიციატივის განხორციელება, თუმცა საკრებულოს უმრავლესობამ, წინამორბედის მსგავსად, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის და იმ ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, რომელთაც ის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. მით უფრო სამარცხვინოა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება, როდესაც დედაქალაქში უკვე არსებობს ჯორჯ ბუშის, ჰოლბრუკის, ალიევისა და კაჩინსკის ქუჩები, რეიგანის ძეგლი, სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორები პანთეონებში განისვენებენ და მათი სახელები აქვს მინიჭებული გამზირებს. თქვენ, როგორც მთავრობის და მმართველი პარტიის მეთაურს, შეგწევთ ძალა, განახორციელოთ თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების იდეა. მით უფრო რომ წელს სრულდება 75 წელი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან. გთხოვთ, პირადად დაინტერესდეთ ამ საქმით და გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ძალაუფლება.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

თამაზ წივწივაძე
რეზო ამაშუკელი
ია ბაგრატიონ-მუხრანელი
ელიზბარ ჯაველიძე
თემურ ქორიძე
დავით სოკოლოვი
ავთანდილ რცხილაძე
ნუგზარ მგალობლიშვილი
მანანა ტაბიძე
გულიკო გიგიბერია
დალი ფიროსმანაშვილი
მანანა გაბაშვილი
ჟანა რეხვიაშვილი
ზაზა ჩიქოვანი
შოთა ზედგენიძე
ლეილა მირიანაშვილი
თამარ ჭავჭავაძე
ელენე აბაშიძე

10 მარტი, 2014წ.

„აშშ-ის ადმინისტრაცია პუტინს მიუთითებს, რომ უკვე XXI საუკუნეა და ეპოქა, როდესაც სახელმწიფოებს გავლენის სფეროები ჰქონდათ, დასრულდა, თუმცა თვითონ აშშ-ისთვის მონროს დოქტრინა წარსულის გადმონაშთი არ არის. იმ ნორმების თანახმად, რომლებიც ზესახელმწიფოებისთვის მიღებულია, მათ შორის აშშ-ისთვისაც, ყირიმში რუსეთის შეჭრა არავის უნდა გაუკვირდეს“

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვიქტორ იანუკოვიჩი: მე ცოცხალი ვარ!

**იანუკოვიჩმა უკრაინის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს არალეგიტიმური უწოდა**

ხელისუფლებისგან ჩამოშორებულმა ვიქტორი იანუკოვიჩმა 11 მარტს დონის როსტოვში პრესკონფერენცია გამართა.

„რადგან უკრაინაში ჩემ შესახებ ვრცელდება ყველანაირი ხმა, მინდა, ვთქვა, რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ თავს კარგად ვგრძნობ, რადგან უკიდურესი შეშფოთების გარეშე ვერ ვუყურებ იმას, რაც უკრაინაში ხდება, — განუცხადა იანუკოვიჩმა ჟურნალისტებს პრესკონფერენციის დასაწყისში და ეს თეზისი რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ გაიმეორა (მარტის პირველ რიცხვებში უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იანუკოვიჩი ინფარქტით გარდაიცვალა — რედ.). მან ყველას შეახსენა, რომ რჩება არა მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტად, არამედ მთავარსარდლადაც და კიევში „აუცილებლად დაბრუნდება“.



„ქვეყანაში მოქმედებს ულტრანაციონალისტებისა და ფაშისტების ბანდა, რომლის წევრები პრეზიდენტის პოსტსაც კი უმიზნებენ. ისინი ძალადობრივად იკავებენ თვითმმართველობის ორგანოებს, ათავისუფლებენ მილიციისა და უსაფრთხოების ხელმძღვანელებს არა მხოლოდ კიევში, არამედ სხვა ოლქებშიც. ქალაქებში პატრულირებენ ნიღბიანი ადამიანები, სუფევს განუკითხაობა უკრაინის მოქალაქეების მიმართ, ათავისუფლებენ მაღალი რანგის ოფიცრებს, რომელთაც არ სურთ უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოსვლა. მათ სურთ სამოქალაქო ომის გაჩაღება. **მინდა, ვკითხო ამ ბნელი ძალების დასავლელ მფარველებს: დაბრმავდით? დაგავიწყდათ, რა არის ფაშიზმი?“** — განაცხადა იანუკოვიჩმა, რომელმაც უკრაინის ახალი ხელისუფლება დაადანაშაულა, რომ „ყირიმი უარს მათ გამო ამბობს“. იანუკოვიჩმა უკრაინის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ 25 მაისს დანიშნა, არალეგიტიმური უწოდა. მისი აზრით, 25 მაისის არჩევნები „ექსტრემისტული ძალების“ ტოტალური კონტროლის ქვეშ ჩაივლის. მან საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა, უარი თქვას უკრაინის ახალი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერაზე. **იანუკოვიჩს ძალიან გაუკვირდა აშშ-ის განცხადება უკრაინისთვის კრედიტის გამოყოფის შესახებ, რადგან ამერიკის კანონმდებლობა კრძალავს იმ ქვეყნების ფინანსურ დახმარებას, რომლებშიც ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით შეიცვალა. ამის გამო ის აპირებს, აშშ-ის კონგრესსა და უზენაეს სასამართლოს მიმართოს, რათა მათ სამართლებრივად შეაფასონ აშშ-ის ხელისუფლების მოქმედება.** იანუკოვიჩმა ყველას შეახსენა, რომ რჩება არა მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტად, არამედ მთავარსარდლადაც: „კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ არა მხოლოდ ვრჩები უკრაინის ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტად, არამედ უმაღლეს მთავარსარდლადაც. მე არ შემიწყვეტია ჩემი უფლებამოსილებები. ცოცხალი ვარ, არავის ჩამოვუშორებივარ უფლებამოსილებისგან უკრაინის კონსტიტუციის გათვალისწინებით. აშშ-სა და სხვა ქვეყნებში ამტკიცებენ, რომ, როგორც პრეზიდენტმა, დავკარგე ლეგიტიმურობა, რადგან ქვეყნიდან გავიქეცი. მაგრამ ვიმეორებ, რომ არსად გავქცეულვარ“.



# კლიჩკო — აშშ-ის რეზიდენტი

**პარტია „უდარ“-ის ლიდერს, ვიტალი კლიჩკოს, კიდევ ერთი ბარიერი გაუჩნდა 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გზაზე. უკრაინულმა გამოცემა „ზაკონ ი ბიზნესმა“ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება, რომ კლიჩკო არ არის უკრაინის სახელმწიფო გადასახადების გადამხდელი.**

ოპოზიციონერის დეკლარაციას აქვს უნიკალური სადაზღვევო ნომერი SSN (Social Security Number), რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთი მოქალაქეებისა და რეზიდენტების განსასაზღვრად იყენებენ, მათი შემოსავლები რომ დაითვალონ.

დეკლარაციის მიხედვით, ასეთი ნომერი აქვს კლიჩკოს ოჯახის ყველა წევრს. დოკუმენტში მითითებულია, რომ კლიჩკომ 2012 წელს 12 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ამ დოკუმენტებმა კლიჩკოს შეიძლება პრეზიდენტობისკენ მიმავალი გზა გადაუკეტოს, რადგან, უკრაინის საგადასახადო კოდექსში ცოტა ხნის წინათ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ადამიანი, რომელსაც სხვა ქვეყანაში ცხოვრების უფლება აქვს, უკრაინაში მცხოვრებად არ ითვლება. სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე პრეტენზიის მქონე პირი კი არჩევნების მომენტამდე უკრაინაში, სულ ცოტა, 10 წლის განმავლობაში მაინც უნდა ცხოვრობდეს.

ვიტალი კლიჩკოს, როგორც გამოცემამ გაარკვია, ორი ქვეყნის — აშშ-სა და გერმანიის — რეზიდენტის სტატუსი აქვს და შეუძლია ამ ქვეყნებში მუდმივად ცხოვრება.

# საქართველოში შემოტანილი სოიოს ყველი გენმოდიფიცირებულია



**არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ დასკვნის მიხედვით, სავაჭრო ობიექტებში სარეალიზაციოდ გამოტანილი ბევრი პროდუქცია გენური ინჟინერიით არის მიღებული და აღნიშნულ საკვებ პროდუქტს შესაბამისი მარკირება არ აქვს.**

საშიშია თუ არა გენმოდიფიცირებული სოიო ჯანმრთელობისთვის? — ამ შეკითხვაზე სპეციალისტებს ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ აქვთ, თუმცა მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ გენური ინჟინერიით დამზადებული სოიოს ფარში, შესაძლოა, მძიმე დაავადების მაპროვოცირებელი იყოს.

„ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი: The Washington Post

# საყოველთაოდ ცნობილია: რაც უნდა ილაპარაკონ დასავლეთის წარმომადგენლებმა, საბოლოო ჯამში, მათი ყიდვა შეიძლება!

**გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ რამდენიმე მიმომხილველმა თავიანთი თვალსაზრისი უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე ერთდროულად გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამონარიდებს მათი სტატიებიდან:**



ენ ეპლბაუმი



ჰაროლდ მეიერსონი

**„დასავლელ პოლიტიკოსებს, რომლებიც მედიდურად ლაპარაკობენ დემოკრატიაზე, ამასთანავე, თვალს ხუჭავენ თავიანთ ქვეყნებში კანონდარღვევებსა და კორუფციაზე, რუსები ფარისევლებად თვლიან. ეს პოლიტიკოსები ხელს უწყობენ რუსეთის ელიტას, ჩამოუყალიბდეს დაუსჯელობის სინდრომი: პუტინსა და მის თანაგუნდელებს ყველაფერი შეუძლიათ გააკეთონ, რასაც მოისურვებენ, იქნება ეს უკრაინა, საქართველო თუ ბრიტანეთი, რადგან საყოველთაოდ ცნობილია: რაც უნდა ილაპარაკონ დასავლეთის წარმომადგენლებმა, საბოლოო ჯამში, მათი ყიდვა შეიძლება“,** — წერს **ენ ეპლბაუმი.**

„1823 წელს პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ იმისათვის, რომ სამხრეთ ამერიკაში ევროპის სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური ექსპანსია შეეჩერებინა, ეს კონტინენტი აშშ-ის გავლენის სფეროდ გამოაცხადა.

**აშშ-ის ადმინისტრაცია პუტინს მიუთითებს, რომ უკვე XXI საუკუნეა და ეპოქა, როდესაც სახელმწიფოებს გავლენის სფეროები ჰქონდათ, დასრულდა, თუმცა თვითონ აშშ-ისთვის მონროს დოქტრინა წარსულის გადმონაშთი არ არის.** იმ ნორმების თანახმად, რომლებიც ზესახელმწიფოებისთვის მიღებულია, მათ შორის აშშ-ისთვისაც, **ყირიმში რუსეთის შეჭრა არავის უნდა გაუკვირდეს.** შესაძლოა, პუტინის Casus Belle (ფორმალური საბაბი ომის დასაწყებად — რედ.) თვითონ მისივე მოგონილია, მაგრამ ჯორჯ ბუში-უმცროსის მმართველობის პერიოდში ერაყში შეჭრაზეც ხომ იგივე შეიძლება ითქვას?!

ამერიკელმა ქორებმა უნდა აგვიხსნან, რატომ უნდა იყოს აშშ-ის განსაკუთრებული პრეროგატივა „პრევენციული ომის“ დოქტრინა, რომლითაც ერაყის ავანტიურას ამართლებდნენ. პუტინმა განაცხადა, რომ ყირიმში განლაგებულ რუსულ სამხედრო ობიექტებს უკრაინელი რევოლუციონერები ემუქრებოდნენ. როდესაც ზესახელმწიფო ეძებს საშიშროებას, რომელიც მის მოქმედებას გაამართლებს, აუცილებლად იპოვის“, — წერს **ჰაროლდ მეიერსონი.**

მურმან დუმბაძე:

# მომაცილეთ ბათუმის ინფექცია!



**ხელვაჩაურში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე „თავისუფალი საქართველოს“ სიის პირველი ნომერი მერაბ ღოღობერიძე პარლამენტის ვიცესპიკერ მურმან დუმბაძეს ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს, თუმცა მურმან დუმბაძე მისი მხრიდან მერაბ ღოღობერიძის ფიზიკურ შეურაცხყოფას კატეგორიულად უარყოფს.**

როგორც მურმან დუმბაძემ განაცხადა, მერაბ ღოღობერიძე შეურაცხადია და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში უშლის ხელს.

**„საქმე გვაქვს სერიოზულ, ვირუსულ დაავადებასთან ბათუმში. ეს კაცი ბოლო 5-6 თვის განმავლობაში სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში მიშლის ხელს. პირადად მე ვერაფერს მიბედავს, სადაც დამინახავს, გარბის, მაგრამ, შეუძლია ბიუროს კართან, სადაც ვმუშობ, მოვიდეს, აჭედოს, კვერცხები ესროლოს. შეუძლია, პოლიციას დედა აგინოს იმის გამო, რატომ არის აქ ეს კაცი, რატომ მუშაობსო. სახლში ამოვიდა ჩემთან და ეკლესიის მაკეტი დაწვა. ეს არის ფსიქიკურად ავადმყოფი. მესმის, რომ ჩვენ თმენის ვალდებულება გვაქვს, მაგრამ დედის გინება მოუთმენელია. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მას, ვინც დედას შეგაგინებს, პასუხი აუცილებლად უნდა გასცე. ღურტაში რომ შეხლა-შემოხლა მოხდა მოქალაქეებსა და პოლიციას შორის, მისი ორგანიზებულია. ინფექციაა ეს კაცი, ჩე გევარა გახდა. სულიერად ავადმყოფია და სახელმწიფომ ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომ თანამდებობის პირები დაგვიცვას, თორემ, პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ, დედის გინების გამო ვერ გავჩერდები. მე თავს ვალდებულად მივიჩნევ, ჩემი ოჯახი და ღირსება დავიცვა“,** — განაცხადა დუმბაძემ.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ასოცირებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებაზე, მაგრამ ეს ნათქვამია სხვა დოკუმენტებში, რომლებიც, თუკი ევროკავშირში შესვლას ვესწრაფვით, ჩვენთვის სავალდებულო გახდება.**

# ევროდესანტი საპატრიარქოში

**გასულ კვირას შტეფან ფულე, ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, საქართველოს ეწვია. მან დაგეგმილი ვიზიტი ერთი დღით გადადო უკრაინის მოვლენების გამო. წინასწარი ინფორმაციით, ევროკომისარი უნდა შეხვედროდა საგარეო საქმეთა მინისტრს, პრემიერმინისტრს, პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. გაცხადებული იყო, აგრეთვე, რომ შტეფან ფულე სამოქალაქო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან შეხვედრას აპირებდა.**



პირველივე შეხვედრაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ევროკომისარმა განაცხადა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შეხვდებოდა. **„მექნება ასევე პატივი შევხვდე მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს — ილია მეორეს. დავარწმუნებ მას, ევროკავშირის სახელით, რომ ჩვენ არავითარი განზრახვა საქართველოს ტრადიციული ღირებულების წინააღმდეგ არ გაგვაჩნია, რადგან ის, რასაც მხარს ვუჭერთ, არის საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებები, ეს არის ტოლერანტობა, ღირსება და პატივისცემა“,** — განაცხადა შტეფან ფულემ.

ფულეს ეს განცხადება კათოლიკოს-პატრიარქმა მედიით მოისმინა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი პასუხი ასე ჟღერდა: **„არ მჭირდება არავის დარწმუნება, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს“!** ამ განცხადებას დიდი ჟივილ-ხივილი მოჰყვა იმ პუბლიკის მხრიდან, რომელიც სულ ახლახან პატრიარქის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიმართ კრიტიკულ გამონათქვამებს აპროტესტებდა.

ამ საკითხს ქვემოთ მივუბრუნდეთ, ახლა კი ის გავიხსენოთ, რომ შტეფან ფულესთვის პატრიარქის პასუხამდე ორიოდე კვირით ადრე საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა – ზვიად კვაჭანტირაძემ და ზურაბ აბაშიძემ გააკეთეს განცხადებები იმის თაობაზე, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები მუდმივად აწვდიდნენ დასავლეთის სხვადასხვა სტრუქტურას ინფორმაციას, თითქოს საქართველოში ეკლესია კრემლისა და პუტინის ინტერესებს ატარებს და ქვეყნის ევროინტეგრაციას ხელს უშლის.** ზურაბ აბაშიძემ საჯაროდ მიმართა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს — დავით ბაქრაძეს და მისგან პასუხი მოითხოვა კითხვაზე – არის თუ არა „საქართველოს მთავარი მტერი ეკლესია“?

პასუხი, ცხადია, არ ყოფილა.

უწმინდესმა ევროკომისარს მიანიშნა, რომ კარგად იცის, საიდან მოდის ეს ევროშიშები: **„მინდა, ვთქვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს“.**

ფულემ, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ შეხვედრა მისი ინიციატივით შედგა: **„დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ მიიღეთ ჩემი მორჩილი თხოვნა შეხვედრაზე“.**

კათოლიკოს-პატრიარქმა ევროკომისართან შეხვედრაზე, რომლის ნაწილიც დახურული იყო, განაცხადა: **„არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ავრცელებენ ეკლესიის საწინააღმდეგოდ ამ იდეას და ამით, ალბათ, შოულობენ დახმარებებს. თქვენ თვითონ დარწმუნდებით საქართველოში ვიზიტისას. თქვენ დღეს ჩამობრძანდით, გქონდათ შეხვედრები, კიდევ შეხვდებით სასულიერო პირებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

შეხვედრას ევროკავშირის ელჩი, ფილიპ დიმიტროვიც, ესწრებოდა, რომლის მოუზომავი და ზოგჯერ რეალობას აცდენილი განცხადებები საკმაოდ აღიზიანებს მრევლს, რომლის მოძღვართანაც იგი ბრძანდებოდა ევროკომისარ ფულესთან ერთად. რაში დასჭირდა ფულეს ეს დაუგეგმავი შეხვედრა პატრიარქთან? პასუხი მან თავადვე გასცა ამ შეკითხვას: **„ამ ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველო და ევროკავშირი თავის თავზე ვალდებულებებს იღებენ, რომ დაიცავენ იმ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც მსოფლიოში აღიარებულია. მესმის, რომ უკრაინაში მიმდინარე ბოლო პროცესების ფონზე არაერთ პოლიტიკოსს სურს, ეს ხელშეკრულება რაც შეიძლება მალე გაფორმდეს. ვუპასუხებ, რომ ჩვენ მაქსიმალურს ვაკეთებთ, რათა ამ ხელშეკრულებას ხელი მოვაწეროთ არაუგვიანეს ზაფხულისა. ამავე დროს, მიმაჩნია, რომ კარგად უნდა ვიმუშაოთ, რათა ადამიანებს გავაგებინოთ, რა არის ამ ხელშეკრულებაში ჩადებული. ევროპა არ აპირებს, საქართველოს თავს მოახვიოს ლიბერალური ღირებულებები. თქვენი ქვეყნის გადასაწყვეტია, როგორ აისახება ევროპული ღირებულებები კანონმდებლობაში ქართული ტრადიციების გათვალისწინებით“,** — განაცხადა ევროკომისარმა.

## ეს რეზოლუცია გვავალდებულებს, პატივი ვცეთ იმას, რაც მართლმადიდებლობისა და სხვა ყველა რელიგიის დოგმატით ცოდვად არის მიჩნეული

ეს თითქოს მოზომილი და შეწონილი ტირადა ქარაგმასავით ახსნას საჭიროებს. როგორც მოგვიანებით არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე შტეფან ფულემ განაცხადა, **„ევროკავშირი საქართველოსგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვს. დასავლეთის სურვილი არ არის, საქართველოს თავს უცხო ქვეყნის ფასეულობები მოახვიოს. საქართველოს თავისი ტრადიციები და ფასეულობები გააჩნია და ამის არავის უნდა ეშინოდეს. მაგალითად, ამბობენ, რომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება ითხოვს ერთსქესიანთა ქორწინებას და ამის თავს მოხვევას. არაფერი ხელშეკრულებაში ასეთი არ არსებობს და ამგვარი კანონის მიღების ვალდებულება საქართველოს წინაშე არ დგას“.**

ევროკომისრის განმარტებით, ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც ვიზალიბერალიზაციის პროცესს უკავშირდება, არის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება, რომელიც, მისივე თქმით, ზოგადად, აუცილებელია ქვეყნებისთვის ადამიანის უფლებების დასაცავად. მისი თქმით, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არის გარანტია იმისა, რომ ადამიანებისთვის მოპყრობა არ იყოს დისკრიმინაციული სქესის, რასის, ეროვნებისა და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.

**ცხადია, ასოცირებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებაზე, მაგრამ ეს ნათქვამია სხვა დოკუმენტებში, რომლებიც, თუკი ევროკავშირში შესვლას ვესწრაფვით, ჩვენთვის სავალდებულო გახდება.**

2006 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით „ჰომოფობია ევროპაში“, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გარანტირებულად უზრუნველყონ „ერთსქესიანი პარტნიორების პატივისცემა და ღირსების დაცვა ისევე, როგორც საზოგადოების სხვა წევრებისა, აგრეთვე, გააძლიერონ ბრძოლა ჰომოფობიის წინააღმდეგ კანონმდებლობის გზით, განათლების მეშვეობით სკოლებში, უნივერსიტეტებში, მასმედიაში“.

მოკლედ რომ ვთქვათ, **ეს რეზოლუცია გვავალდებულებს, პატივი ვცეთ იმას, რაც მართლმადიდებლობისა და სხვა ყველა რელიგიის დოგმატით ცოდვად არის მიჩნეული.** აღარაფერი ითქმის იმაზე, თუ როგორ უნდა გაიძულონ, „პატივი სცე“ ვინმეს, თუ ამ პატივისცემას არ განიცდი, და არის თუ არა ამგვარი დავალდებულება ადამიანის გამოხატვის უფლების პირდაპირი შეზღუდვა. საკამათო არ არის, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და ამ ან სხვა რაიმე ნიშნით ადამიანის დევნა და დისკრიმინაცია დაუშვებელია, მაგრამ პატივისცემის „დავალება“ უკვე მეტისმეტია! მერე რა, რომ ეს თქვენს რელიგიურ მრწამსს ეწინააღმდეგება?! უნდა შეეგუოთ იმას, რომ თქვენს შვილებს სკოლაში თუ ტელევიზიით ცოდვის პატივისცემას ასწავლიან.

**შტეფან ფულე არ ტყუის, როცა ამბობს, რომ საქართველოს არავინ ავალდებულებს ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას, მაგრამ ეს მხოლოდ ამ ეტაპზე! თუ საქართველო ოდესმე ევროკავშირის წევრი გახდება, ეს რეზოლუცია სავალდებული იქნება შესასრულებლად** ისევე, როგორც 2010 წელს მიღებული კიდევ ერთი რეზოლუცია 1728 (2010), რომელშიც სხვა ბევრ რამესთან ერთად ნათქვამია: **„ასამბლეა განსაკუთრებით შეშფოთებულია ევროსაბჭოს** (ჩვენ კი სწორედ ევროსაბჭოს წევრები ვართ 1999 წლიდან — ნ.დ.) **რიგ ქვეყნებში ლგბტ პირთა თავისუფალი შეკრებისა და გამოხატვის უფლებების დარღვევით, რადგან ეს უფლებები დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლგბტ პირთა მიტინგების აკრძალვა ან აკრძალვის მცდელობა, აგრეთვე, ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ აგრესიული საპროტესტო დემონსტრაციების ღია ან ფარული მხარდაჭერა“.**

იმავე რეზოლუციაში დაგმობილი არიან პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ილაშქრებენ ამგვარი მიტინგების წინააღმდეგ. **„ევროკავშირის ბევრ წევრ სახელმწიფოში გადასაწყვეტია დეფაქტო არსებული „ლგბტ ოჯახების“ პრობლემა, მათ შორის, მათი იურიდიული აღიარებითა და მათი დაცვით. ასამბლეა მიიჩნევს, რომ ევროპის საბჭო ვალდებულია, არაორაზროვნად დადგეს ადამიანის ღირსების პატივსაცემად და დისკრიმინაციის არდასაშვებად“.**

შემდგომ რეზოლუცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ლგბტ პირთა ძირითადი უფლებების პატივისცემა, მათ შორის, შეკრების თავისუფლების; აღიარონ, რომ ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ქალებს ემუქრებათ მომეტებული საფრთხე – გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, ძალადობრივი ქორწინება და უზრუნველყონ მათი დაცულობა. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა ივალდებულოს, რომ ლგბტ პირები დაცული იყვნენ მათ მიმართ სიძულვილის გამღვივებელი და დისკრიმინაციული განცხადებებისგან.

რამდენიმე მომდევნო მუხლი პირდაპირ მიუთითებს: **„უზრუნველყონ ერთსქესიანი პარტნიორების იურიდიული აღიარება, მათთვის იმავე ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭება, როგორიც განსხვავებული სქესის ოჯახებს აქვთ“.** სავალდებულოა, ამგვარი წყვილებისთვის სქესის შეცვლის და სამედიცინო მომსახურების თანაბარი პირობების მინიჭება და ა. შ.

ასე რომ, **საკითხი ისე მარტივად არ დგას, როგორც პატრიარქისა და ევროკომისრის შეხვედრის შემდეგ დაიხატა. ყველა ეს საკითხი, ჩვენებური „17-მაისელების“ უკან მდგომი პოლიტიკური გაიძვერების წყალობით, სრული სახით დაუდგება საქართველოს, ოღონდ ახლა არა, მოგვიანებით.** ახლა უკრაინაში გამწვავებული ვითარების გამო ევროკავშირი წინსწრებით უწევს ფინანსურ დახმარებას საქართველოს. მართალია, ჩვენ (უფრო სწორად, მთავრობა) მხოლოდ 22 მილიონ ევროს მივიღებთ, ხოლო უკრაინა — 11 მილიარდს, მაგრამ, ორიოდე თვის წინ გაჯიუტებამ რაც მოიტანა, ეს ევროპამ დაინახა და ახლა უკვე ტაქტიკაც შეცვალა.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ **ევროკომისარი, რომლის უშუალო ზემდგომი, ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ერისა და სამშობლოს ცნების სანაგვეზე მოსროლას ქადაგებს, ხვდება მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს.** არადა, სეკულარიზმისკენ დაჟინებული მოწოდებებიც გვახსოვს და შეშფოთებებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის გამო. **ახლა ევროკავშირი მისი ავტორიტეტის გამოყენებაზეც არ ამბობს უარს, ოღონდ დასახული პოლიტიკური მიზანი იყოს მიღწეული. ჩვენებური ულტრალიბერალები კი ხარობენ პატრიარქის პროევროპული განცხადებით, მაგრამ მათ შორის ყველაზე გონიერები, ალბათ, აცნობიერებენ, რომ ეკლესიის მტრად გამოცხადებით მათ სწორედ ევროკავშირისა და საპატრიარქოს დიალოგი გამოიწვიეს. ეს კი ნამდვილად არ უნდა ახარებდეთ.**

ანტირუსული პროპაგანდა, აღვირახსნილი რუსოფობია — აი, საქმე, რომელშიც არა თუ ტოლს არ უდებენ „რუსთავი 2“ და „იმედი“ უკრაინის ბანდერა-ტელევიზიებს, არამედ აჭარბებენ კიდეც მათ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მხედრიონიდან ბანდერლოგებამდე

**შარშან საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ საიუბილეო მეათე ფორუმზე რუსეთის პრეზიდენტმა კითხვაზე „როგორ გესახებათ მომავალი რუსეთის პროექტი?“ უპასუხა: „რუსეთი პროექტი არ არის, რუსეთი ბედისწერაა! — და იქვე დასძინა, — რუსეთი საკუთარ თავთან, საკუთარ ისტორიაში ბრუნდება“. შემდეგ ვლადიმერ პუტინი არც შენიშვნას მოერიდა. აღნიშნა, რომ ევროატლანტიკური ქვეყნები დაადგნენ საკუთარი ისტორიული ფესვების უარყოფის გზას, მათ შორის ქრისტიანული ფასეულობებისასაც, რაც დასავლური ცივილიზაციის საფუძველია; უარყოფენ მორალურ საწყისებს და ნებისმიერ ტრადიციულ იდენტობას — ეროვნულ-კულტურულ-რელიგიურს; ერთ სიბრტყეში განიხილავენ მრავალშვილიან ოჯახებსა და ერთსქესიან პარტნიორებს; რწმენას ღმერთისას და რწმენას სატანისას!..**





როგორც კომენტატორი აღნიშნავს, ასეთ აღმაშფოთებელ „არაკორექტულობას“ არავინ ელოდა და ბევრ ოკეანისგაღმელ პოლიტიკოს-ექსპერტს სახე დაებრიცა და გაუქვავდა, მაგრამ ვლადიმერ პუტინმა თავისი „არქაული წარმოდგენებით“ მშვიდად განაგრძო „ცივილიზებული საზოგადოების“ გაოცება-შეძრწუნება:

**„მათი პოლიტკორექტულობა იქამდეც კი დავიდა, რომ სერიოზულად განიხილება პედოფილია-ინცესტის პროპაგანდისტი პარტიების რეგისტრაციის საკითხიო“, — „კანტროლკა დაახალა“ დასავლეთს რუსეთის პრეზიდენტმა.**

„ვალდაის“ ფორუმის ანალიზიც საკმარისი იქნებოდა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ რუსეთი დღეს ელცინის დროინდელი საჭურისი აღარ არის. რომ არაფერი ვთქვათ სირიაზე, სადაც რუსეთმა ამერიკას კუდზე ფეხი დააჭირა, არ მისცა რა მსოფლიო ჟანდარმს „ამერიკული წესრიგის“ დამყარების ნება. ობამას უნდა სცოდნოდა, რომ მას მითუმეტეს უკრაინაში არ მისცემდნენ პარპაშის ნებას!

ასეც მოხდა. როგორც მინიმუმ, ყირიმის საკითხი გადაწყვეტილია და, რამდენიც უნდა იბაქიბუქოს ამერიკამ, ყირიმი სულ მალე რუსეთის ნაწილი გახდება და, სავარაუდოდ, აღმოსავლეთი, ე. წ. სამრეწველო უკრაინაც, პირდაპირი ყირიმიზაციით თუ არა, რაიმე სხვა ფორმით (მაგალითად, ხარკოვ-დონბასისთვის რეალური თვითმმართველობის მინიჭებით) რუსეთის ფაქტიური პროტექტორატის ქვეშ მოექცევა.

**ვინც პუტინის ამასწინანდელ ბრიფინგს უყურა, დამეთანხმება, რომ ეს იყო საკუთარ ძალებსა და სიმართლეში დარწმუნებული კაცის გამოსვლა. მე პირადად კიდევ ერთი რამ დავასკვენი — დასრულდა აშშ-ის ლამის 30-წლიანი ერთპიროვნული ჰეგემონია, ისტორიას ჩაბარდა ერთპოლარული მსოფლიო და ობამას მხოლოდ ერთსქესიანი ქორწინებების ჰეგემონობა შერჩა ხელთ, რაშიც, არ მგონია, პუტინი შეეცილოს...**

სხვათა შორის „პუტინის სიმართლე“ უკრაინაში არამხოლოდ ჩემი „ახირებაა“, არამედ საფრანგეთში გამოკითხულთა 56%-ც (მარი ლეპენის ცნობით) აღიარებს რუსეთის ქმედებების სამართლიანობას უკრაინაში და დანარჩენ ბევრ ევროპაშიც ნელ-ნელა რუსეთის სასარგებლოდ იცვლება საზოგადოებრივი აზრი.

რაც შეეხება „პოლიტიკურ ევროპას“, იქაც, როგორც იტყვიან, „ბოლო ბანაობა“ აქვთ — ნეოლიბერალების პარპაშს ევროსაბჭოში ყველა პროგნოზით მომავალ არჩევნებზე ბოლო მოეღება და უმრავლესობას ევროპარლამენტში მარი ლეპენის მსგავსი ნაციონალ-კონსერვატორები დაიკავებენ, რადგან ბარონესა ქეთრინ ეშტონის მსგავსი ლესბოსელები თუ პედერასტები უკვე დასავლეთის საზოგადოებასაც ყელში ამოუვიდა...

რუსული, უკრაინული მედია რომ გარკვეულწილად ტენდენციურია (თუ მისაღები არა), გასაგებია, მაგრამ ქართული მედიის აბსოლუტური უმრავლესობა რატომ არის მოსკოვ-კიევზე გაცილებით ტენდენციური, საკითხავი აი, ეს არის. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა პირველ ხანებში აშკარად ტენდენციურ დასავლეთის მედიასაც კი ბოლო ხანს ობიექტური გამონათებები დასჩემდა...

ანტირუსული პროპაგანდა, აღვირახსნილი რუსოფობია — აი, საქმე, რომელშიც არა თუ ტოლს არ უდებენ „რუსთავი 2“ და „იმედი“ უკრაინის ბანდერა-ტელევიზიებს, არამედ აჭარბებენ კიდეც მათ!

ჯერ ვის აინტერესებს და, რაც მთავარია, რას ემსახურებოდა სააკაშვილზე არანაკლები არამზადის, ირაკლი უქრუაშვილის, რეანიმაციის მცდელობა, მისი საათიანი მონოლოგის ყურება?

„ნაცებ-ქოცების“ სიაფანდი დებატების ყურება ხომ ისედაც წამებაა და ახლა კიდევ ენაბრგვილი გივია თარგამაძე რომ დაჯაბნის ვინმეს, ეს კიდევ უფრო ამაზრზენია. სესიაშვილმა ვერ გაბედა, პასუხი გაეცა კითხვაზე — ვინ დაიწყო ომი?

ჰოდა, მე ვბედავ, დაწყნარდით, ურაპატრიოტებო! საქართველოს ომი არ დაუწყია! ომი დაიწყო კრეტინმა სააკაშვილმა და, ვისაც სააკაშვილი და საქართველო ერთი ჰგონია, ეს მისი გონებრივი იმპოტენციის პრობლემაა!

ბოლო 20-25 წელიწადია, მიმდინარეობს რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა და არც თუ წარუმატებლად — ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოწამლეს რუსოფობიით. განსაკუთრებით კიევის მაიდანი წაადგა ამ საქმეს. არადა, როგორც წინა პუბლიკაციაში ვწერდი, ეს კინო ხომ უკვე ნანახი გვაქვს?

ვინ იყო ის, ვინც ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა, რაც მწვანე შუქის ანთების ტოლფასი იყო ეროვნული მთავრობის დასამხობად?

**უკრაინაშიც ასე მოხდა — შეიარაღებულმა ფაშისტმა ბანდერელებმა (ვისთან შედარებითაც მხედრიონი უცოდველ კრავად მოჩანს) დასავლეთის და, პირველ რიგში, აშშ-ის ფინანსურ-პოლიტიკური მხარდაჭერით დაამხეს კორუმპირებული, მაგრამ მაინც კანონიერი ხელისუფლება და სულ მალე ყირიმს დაემშვიდობება კიევი, რეალური საფრთხე დაემუქრება დანარჩენ აღმოსავლეთ უკრაინასაც!**

ერთი სიტყვით, თუ უკრაინას ევროკავშირი და ნატო რამენაირად „ეჯღანება“, მხოლოდ ბანდერლოგების ლვოვ-„ზაკარპატიეს“ დანარჩენი ტერიტორიებისთვის ევროპას, როგორც რუსები იტყვიან, ნა-პლე-ვატ!

მოკლედ, საკუთარი და უკრაინის მაგალითები, წარსულისაც და დღევანდელიც, რომლებიც გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან ერთმანეთს, წინ გვიდევს, მაგრამ „მეოცნებეთა“ ხელისუფლება და „ნაცები“ (ვაშლები რომ არ გავიმეორო) სიამის ტყუპები არიან, როდესაც კიევის შემდგომ რუსეთის შესაძლო (ჩემი აზრით, უეჭველ) გააქტიურებაზე საუბრობენ კავკასიის მიმართულებით, ორივე ერთად და ცალ-ცალკე გაიძახის ნატოსა და ევროპასთან ასოცირებას!

**არადა, როგორც კი ასოცირებაზე ხელს მოაწერს მაია ფანჯიკიძე, ჯავახეთის ახალქალაქი ყირიმის მსგავს რეფერენდუმს გამოაცხადებს ერევნის სასარგებლოდ, რომელიც, დიდი ალბათობით, გადამდები აღმოჩნდება ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებისთვის, რადგან ოფიციალურმა ბაქომ და ერევანმა უარი თქვეს ევროპაზე რუსეთის ევრაზიის სასარგებლოდ. ჰოდა, მერე ვეღარ გვიშველის ვერც დავით დეფის „პოეზია“ და ვერც ამერიკის ნატო!**

**დავით მხეიძე**

**P.S. „მე მქონდა შეხვედრა მის აღმატებულება რუსეთის პრეზიდენტთან. მე ადრეც მქონია შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან, მაგრამ ის სითბო, ის ყურადღება, რომელიც ახლა გამოიჩინა, ეს იყო განსაკუთრებული და იმედის მომცემი. ვფიქრობ, რომ ის არის პიროვნება, ბრძენი პიროვნება, რომელიც აუცილებლად გამოასწორებს სიტუაციას საქართველოში და გამთლიანდება საქართველო!“ — ეს არის ილია მეორეს სიტყვიდან ამონარიდი. რა ვქნა? წერილის თავში იმდენი „მივქარე“, რომ ბოლოში მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტს ამოვეფარე შეშინებული.**

**სერიოზულად კი, შემთხვევითი არ არის, რომ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით სწორედ ახლა გაიხსნა ერთბაშად სამი წმინდანის საფლავი მცხეთასა და ბეთანიაში. არც ის არის შემთხვევითი, რომ ე. წ. ნაციონალური ტელევიზიები საერთოდ იგნორს უკეთებენ იმ ფაქტს, რომ სამების ტაძარში წმინდა გაბრიელის ნეშთის თაყვანისმცემელთა რაოდენობამ 2 მილიონს(!!!) გადააჭარბა.**

**სამაგიეროდ, ევროპა შეშფოთდა, ემანდ ეკლესიამ არ შეგვიშალოს ხელი საქართველოს ევროპულად გაბრიყვებაშიო, და შტეფან ფულე მოავლინა სპეციალურად პატრიარქთან — ევროპა თქვენს ტრადიციებს არაფერს ერჩის, მაგრამ პედერასტების გაჯეჯილება ტოლერანტობის უმაღლესი გამოვლინებააო, — დაახლოვებით ეს შეჰბედა პატრიარქს ამ ხლისტმა!**

**მისი უწმინდესობის პასუხმა ბოლომდე არც მე დამაკმაყოფილა, მაგრამ მაინც ბრმად ვენდობი, იმ იმედით, რომ, თუ საჭირო გახდება, სამების ზარებს დაარისხებს!**

## ზარემ ჭიკაიძე დაენიშნათ!

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის დანიშვნას სკანდალურ დანიშვნად აფასებს.**

„საქართველომ გამოიარა სამოქალაქო ომი, ჯაბა იოსელიანი, კიტოვანი, შევარდნაძე და სააკაშვილი და მე ვერ ვიხსენებ, მინისტრი ყოფილიყო მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსი. გასაგებია, რომ მინისტრები ყოველთვის ჩართულები იყვნენ საარჩევნო კამპანიაში, მაგრამ ისინი კეკლუცობდნენ და ამბობდნენ, რომ მხოლოდ არასამუშაო საათებს იყენებდნენ საარჩევნო კამპანიისთვის. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა ნიშნავს 24-საათიან მუშაობას. საინტერესოა, ისეთი სამინისტროს ხელმძღვანელი, როგორიც არის ენერგეტიკის სამინისტრო, როგორ შეძლებს 24-საათიან რეჟიმში უხელმძღვანელოს საარჩევნო შტაბს სამუშაო საათების შემდგომ. ეს არის წარმოუდგენლად სკანდალური დანიშვნა! იმიტომ კი არა, რომ მსგავსი რამ ამ დრომდე არ ხდებოდა ქვეყანაში, არამედ იმიტომ, რომ ეს ასე დაუფარავად არასდროს კეთდებოდა, ზარემ ჭიკაიძე დაენიშნათ!“ — განაცხადა კახა კუკავამ.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი, რომელიც შეიძლება ხელს აძლევდეს როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს, უკრაინის ფედერალიზაციაა... თუკი უკრაინა არ შევა ევრაზიულ კავშირში, ის, როგორც მინიმუმ, ნეიტრალური სახელმწიფო მაინც უნდა იყოს და არა დასავლეთის მიერ კონტროლირებადი. ამ სახით უკრაინას შეუძლია შეინარჩუნოს ერთიანობა და განვითარდეს კიდეც.“**

# სააკაშვილსა და მაიდნელებს ერთი და იგივე ძალა მართავს

**არც ისე დიდი ხნის წინათ სააკაშვილი ცდილობდა, დაემტკიცებინა ხალხისთვის, რომ ქართული ეროვნული ცნობიერების გადამრჩენად იყო მოსული და რომ ამ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ერთადერთი მტერი ჰყავდა დედამიწის ზურგზე — ეს იყო რუსეთი, ხოლო ხსნა იყო ნატო და ევროკავშირი. სააკაშვილის მმართველობა იმით დასრულდა, რომ მივიღეთ განადგურებული ქვეყანა და გაძლიერებული ლგბტ, ანტიეკლესიური კოალიცია და დაკარგული ტერიტორიები. როგორც ჩანს, ფსევდოეროვნული ძალებით ქვეყნის გაყვლეფა და გაჩანაგება ერთობ მისაღები სცენარია დასავლეთისთვის. სწორედ ამიტომ ხდება მაიდანზე ყველაფერი ის, რაც ჩვენ უკვე ნანახი გვაქვს... „საქართველო და მსოფლიოს“ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე ესაუბრა.**





**— ბატონო გულბაათ, „ნაციონალური მოძრაობას“, როცა მოვიდა ხელისუფლებაში, თავი ისე ეჭირა, თითქოს მთელ მსოფლიოში დემოკრატიისა და რევოლუციების ექსპერტი იყო და მის მთავარ ამოცანას რუსეთისგან საქართველოს გადარჩენა წარმოადგენდა, რომელიც ყოველივე ეროვნულის მოსპობით გვემუქრებოდა, რა იყო ეს: ამბიცია თუ რომელიმე სერიოზული ორგანიზაციის დავალება?**

— რა თქმა უნდა, ეს იყო „ნაციონალების“ ამბიცია, საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ და მათ ამ აზრს უნერგავდნენ თავიანთი მფარველები და პატრონები, რომლებიც მთელი 1990-2000-იანი წლების მანძილზე აშშ-დან და ევროპიდან ზრდიდნენ, კვებავდნენ და აძლიერებდნენ მათ. აი, ეს ყველაფერი ერთად იყო. ვიმეორებ, აშშ-სა და ევროპაში მათ ჰყავდათ მფარველები, უფრო სწორად, დღესაც ჰყავთ და მათ სერიოზული პოლიტიკური გავლენა აქვთ.

**— და მათი გავლენიანი მფარველები ახლაც გეგმავენ, თავიანთი გამოზრდილები ოდესმე დააბრუნონ ხელისუფლებაში?**

— არ ვიცი, ისინი რას ფიქრობენ, მათ ახლა ნაკლებად სცალიათ საქართველოსთვის. მოგეხსენებათ, რა პროცესებიც მიმდინარეობს უკრაინაში, მაგრამ **ის, რომ „ნაციონალები“ სჭირდებათ საქართველოში და შესაძლოა, მომავალში ეს ძალა გაზავდეს, გაჯერდეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებში და მართოს გარკვეული პროცესები, თუნდაც ამავე მმართველ გუნდში (და ეს დღეს ნაწილობრივ ასეც არის), ეს საფრთხე ძალიან რეალურია.**

**— სააკაშვილი ჩავიდა უკრაინაში ვითომდა გამოცდილების გასაზიარებლად და მაიდანმა მიიღო მიშა, მაღალი თანამდებობებიც კი შესთავაზეს... რით ხსნით ამას — იმით ხომ არა, რომ სააკაშვილსა და მაიდნელებს ერთი და იგივე ძალა რომ მართავს და უკრაინაც ისევე უნდა გაპარტახდეს და გაჩანაგდეს, როგორც დღევანდელი საქართველო?**

— **უკრაინა უკვე გაპარტახდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელმწიფო ვერ შედგა და წინ კიდევ უფრო დიდი განსაცდელი ელის. დიახ, ის ყველაფერი, რაც მოხდა იქ, იყო შესავალი იმ დიდი უბედურების, რომლისკენაც უკრაინა მიექანება.** რაც შეეხება სააკაშვილს, ის იაფფასიანი სპეკულანტია, ყველგან გაძვრება და გამოჩნდება, სადაც კი მიიღებენ. სხვათა შორის, მე ვერ შევატყვე დიდი აღფრთოვანება თუნდაც იმ მაიდანს — სააკაშვილს უყურებდნენ, როგორც ეგზოტიკურ ცხოველს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იტანენ და მიესალმებიან მას, რადგან ეს ეგზოტიკური ცხოველი მათ უჭერს მხარს და ძალზე გააფთრებით ებრძვის რუსეთს. მაღალ თანამდებობას სთავაზობენ თუ არა, არ ვიცი. არ მგონია, სააკაშვილის რჩევები ვინმეს სჭირდებოდეს, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **სააკაშვილს გამოიყენებენ ისევ ის პატრონები, რომლებიც ჰყავდა და დღესაც ჰყავს მას დასავლეთში, ასევე უკრაინაში, რადგან იქაურ ხელისუფლებას ანტირუსული და რადიკალური კურსი აქვს აღებული.** ვფიქრობ, ეს დიდად არ უნდა გაუკვირდეს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას. საერთოდაც, საქართველომ, სჯობს, საკუთარ თავს მიხედოს და ნუ ერევა უკრაინის საქმეებში, არავინ ჰკითხავს საქართველოს იქ არაფერს. ჩვენ აქ რა პრობლემებიც გვაქვს, უმჯობესია, იმათზე ვიფიქროთ. **იმ ფონზე, რაც მოხდა უკრაინაში, საქართველოსთვის ძალზე გართულდა ვითარება და ოცნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უფრო ნაკლებად რეალურია.**

## გულბაათ რცხილაძე: სააკაშვილს გამოიყენებენ ისევ ის პატრონები, რომლებიც ჰყავდა და დღესაც ჰყავს მას დასავლეთში, ასევე უკრაინაში, რადგან იქაურ ხელისუფლებას ანტირუსული და რადიკალური კურსი აქვს აღებული

**— გამოდის, უკრაინას ემართება ის, რაც ჩვენ უკვე დაგვემართა. განსხვავება ისაა, რომ ჩვენთან ამის გამკეთებლებს „ნაცები“ ერქვათ, უკრაინაში კი — მაიდნელები?**

— დიახ, საქართველოსა და უკრაინაში ერთი და იგივე ძალა მართავს პროცესებს. როგორც გამოჩნდა, ეს ძალა არის დასავლეთი — ევროპა. მაგრამ ევროპა არ არის აქ, როგორც სუვერენული სუბიექტი, მას ნამდვილად არ სჭირდება რუსეთთან ეკონომიკური კონფრონტაცია, რაღაც სანქციების შემოღება, უბრალოდ, ის არ არის თავისუფალი თავის არჩევანში. ამას აკეთებენ ევროკავშირის ბიუროკრატიული, გახრწნილი სტრუქტურები, რომლებშიც არანაირი დემოკრატია და გამჭირვალობა არ არის, ზედმეტია ამაზე ლაპარაკი, ეს არ არის ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ეს ბრიუსელის ბიუროკრატიაა და შესაბამისად, იცავს მათ ინტერესებს, ვინც არიან ამ გლობალური სისტემის წამყვანი ძალები. აქედან გამომდინარე, ევროპა, როგორც სუვერენული სახელმწიფოების კრებული, არ გამოდის ასპარეზზე.

**— მაიდანმა (ისევე, როგორც ოდესღაც სააკაშვილმა) კორუფციის წინააღმდეგ კამპანიით დაიწყო და უკრაინული ტერიტორიის დაკარგვით დაამთავრა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამერიკასა და ევროპას დაშლილი და დაქუცმაცებული უკრაინა აძლევს ხელს?**

— დაშლილი არა. მათ ურჩევნიათ, უკრაინა იყოს უნიტარული, ერთიანი, მაგრამ მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, სრულიად მართვადი, რომელსაც საკუთარი ინტერესები არ გააჩნია. აი, ისეთი, როგორიც დღეს საქართველოა, სხვის ინტერესებს რომ ემსახურება. დიახ, **ზუსტად ასეთი დამორჩილებული და დაკაბალებული ქვეყანა სჭირდებათ მათ და არა დაშლილი; ურჩევნიათ, იყოს ერთიანი, რუსეთის გვერდით და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ძალა, მაგრამ ეს გეგმა უკვე ჩაიფუშა. დიახ, პუტინმა ჩაფუშა ეს გეგმა,** პირდაპირ აჩვენა ძალა, აჩვენა, რომ, როცა უნდა და როგორც უნდა, ისე შევა უკრაინაში — უნდა სამხედრო ძალით, უნდა სხვა ფორმით, თუ მოინდომა, ეკონომიკური ბერკეტებით გადაუკეტავს ჟანგბადს და ა. შ. ამის დემონსტრირება პუტინმა მოახდინა, რის შედეგადაც ეს გეგმა ჩაიშალა, ამიტომ უკრაინა დღეს არის არასტაბილური სახელმწიფო. ხომ ხედავთ, იქ ახლა ცდილობენ, რომ ისევ უნიტარიზმის პრინციპზე მოაწყონ უკრაინა, დაიწყო დაჭერები დონეცკში, დააკავეს საპროტესტო აქციების ხელმძღვანელები ხარკოვში, რეპრესიები გაძლიერდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ძალიან მყიფეა და ძნელია იმის თქმა, რომ სტაბილიზაცია მალე მოხდება უკრაინაში. ამ ყველაფერმა შეიძლება იქ სხვა პროცესები გამოიწვიოს და ისევ რუსეთის ჩარევა გახდეს საჭირო, როგორც ეს ყირიმში მოხდა, რომლის საკითხი, პრაქტიკულად, უკვე გადაწყვეტილია.

**— ანუ უკრაინა გაიყოფა?**

— ასე პირდაპირ ვერ ვიტყვით. აი, ყირიმი კი უკვე გამოეყო უკრაინას. ახლა საქმე ისაა, ყირიმის მოვლენები რა გავლენას მოახდენს დანარჩენ უკრაინაზე. აქ ძალიან დიდ არეალზეა ლაპარაკი — დონბასი, ზაპოროჟიე, ხარკოვი, აქეთ ოდესა, ნიკოლაევი, ფაქტობრივად, მოლდოვის საზღვრამდე. **ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი, რომელიც შეიძლება ხელს აძლევდეს როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს, უკრაინის ფედერალიზაციაა.** ეს ნიშნავს, რომ, ვინაიდან აღმოსავლეთი და დასავლეთი რეგიონები ვერ თანხმდებიან გარკვეულწილად მთავარ საკითხებზეც კი, გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას კონსესუსის საფუძველზე; როგორც დასავლეთი, ისე ცენტრალური და აღმოსავლეთი რეგიონების აზრი თანაბრად იქნება გათვალისწინებული. აი, ეს სავსებით მისაღები იქნება რუსეთისთვის, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ უკრაინა ნეიტრალურ სახელმწიფოდ გადაიქცევა ახლო მომავალში, ანუ, **თუკი უკრაინა არ შევა ევრაზიულ კავშირში, ის, როგორც მინიმუმ, ნეიტრალური სახელმწიფო მაინც უნდა იყოს და არა დასავლეთის მიერ კონტროლირებადი. ამ სახით უკრაინას შეუძლია შეინარჩუნოს ერთიანობა და განვითარდეს კიდეც.**

**— საქართველოში გადააგვარეს განათლების სისტემა, დალუპეს ჯანდაცვა, დაასამარეს მეცნიერება, ქართული ეროვნული ტრადიციები, ფეხს იკიდებს პედერასტების უფლებები... როგორ ფიქრობთ, იგივე ხომ არ ემუქრება უკრაინას?**

— უკრაინის განვითარებაში რომ პრობლემები შეიქმნას, ამის ბევრი ნიშანი გვაქვს. პროცესი იქ უფრო სწრაფი ტემპით მიდის, ვიდრე ჩვენთან იყო. როგორც ჩანს, ეს ხელს აძლევს მათ, ვინც მოვიდა უკრაინის ხელისუფლებაში.

**— რაც შეეხება საქართველოს, „ნაცები“ ხომ არ შეეცდებიან, უკრაინის თემა გამოიყენონ არეულობის დასაწყებად?**

— რა თქმა უნდა. ამის მცდელობა იყო. გამოვიდა ეს შანტრაბა ქუჩაში, საბურავებიც კი დაწვეს... მაიმუნს რომ აქვს მიბაძვის მოთხოვნილება, მაგ: შიმპანზეს, აი, დაახლოებით ისეთი მიმბაძველობის დონე გამოაჩინეს, რაც ერთი მხრივ მაიმუნობაა, მაგრამ მეორე მხრივ, **თუკი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება განაგრძობს უნიათობას და, ასე ვთქვათ, უფორმო რაღაც წარმონაქმნი იქნება, არ ექნება გამბედაობა თამამი გადაწყვეტილებების მიღებისა, არეულობის საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახდება. აი, ტელევიზიებიც რომ აჭრელებულია „ნაცების“ სიფათებით, ეს თუ არ შეჩერდა, რა თქმა უნდა, არის იმის საფრთხე, რომ „ნაცები“ მობრუნდნენ ხელისუფლებაში.** ხომ ხედავთ, სხვადასხვა ორგანიზაციები შექმნეს, ვითომ ახალგაზრდული, რომელთაც არ აქვთ პირდაპირი კავშირი „ნაცმოძრაობასთან“, მაგრამ ესენი ხომ მათი ყოფილი უერთგულესი წევრები არიან. აი, ეს არის ახალი საფრთხე, რომლის წინააღმდეგაც კონსოლიდაცია უნდა მოხდეს საზოგადოებისა და ხელისუფლების, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„ქართული ოცნება“ არის ჩვეულებრივი შემსრულებელი, ამიტომ, სანამ ის ამ ფუნქციას კარგად ასრულებს და ვაშინგტონის ინსტრუქციებს უსიტყვოდ მიჰყვება, არანაირი მაიდნის საფრთხე საქართველოში არ არსებობს.“

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზვიად ტომარაძე:

# სააკაშვილისა და უკრაინელი ლიბერალების უკან ერთი და იგივე გარანტორი დგას

**საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების პროცესებზე, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე.**

**— ბატონო ზვიად, უკრაინაში დასავლეთის მიერ მართული ე. წ. ნეოლიბერალების გამარჯვებას სააკაშვილი და მისი „ნაცაქტივი“ საკუთარ წარმატებად აღიქვამს. ამას წინათ გიგა ბოკერიამ განაცხადა: თუ ხელისუფლება ასე გააგრძელებს, მალე „ქართული ოცნება“ იანუკოვიჩის ბედს გაიზიარებსო. როგორ ფიქრობთ, რა აქვს საერთო უკრაინაში დღეს არსებულ ხუნტას „ნაცხროვასთან“ და ამის გათვალისწინებით, რას უნდა ველოდოთ მომავალში, რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენ გარშემო?**

— პირველ რიგში, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რაც რეალობაა და რასაც ვერავინ შეცვლის: რუსეთი არის ზესახელმწიფო, მას აქვს თავისი ინტერესები და ის ყველანაირად შეეწინააღმდეგება უკრაინის ევროინტეგრაციას და მითუმეტეს „ნატოში“ გაწევრიანების მცდელობებს. ახლა რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლოდროინდელ მოქმედებებს ან იგივე ბოკერიას განცხადებას, რომელიც თქვენ ახსენეთ, ამ სცენარს ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ და რატომ: პირველი იმიტომ, რომ **„ნაცმოძრაობა“ დღესაც აკონტროლებს ტელევიზიებს, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებას. ასევე აკონტროლებს ბიზნესს. მის ხელშია ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი და, რაც მთავარია, მას ისევ ჰყავს მძლავრი პოლიტიკური გარანტორი დასავლეთის სახით.** გარდა ამისა, „ნაცები“ კვლავ წარმატებით ახერხებენ თავიანთი მხარდამჭერების კონსოლიდირებას და ორგანიზებას, რაც ხელისუფლებას ძალიან უჭირს. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ეს პარტია ჯერ კიდევ არაა ჩავლილი საფრთხე, ამიტომ საზოგადოებას არამარტო სიფრთხილე მართებს, არამედ აქ ძალიან აქტიური მუშაობაა საჭირო, რათა სააკაშვილის რეჟიმი მკვდრეთით არ აღადგინონ, ხელახლა არ შეგვიფუთონ და არ შემოგვაპარონ ქვეყნის სათავეში რაღაც ფორმით.

**— საზოგადოებას რომ სიფრთხილე მართებს, გასაგებია, ხელისუფლებაზე რას იტყვით?**

— დასაწყისში მკითხეთ, რატომ თვლის სააკაშვილი თავის წარმატებად უკრაინაში ე. წ. ლიბერალური ძალების გამარჯვებას. ეს ძალიან მარტივია — იმიტომ, რომ სააკაშვილისა და უკრაინელი ლიბერალების უკან ერთი და იგივე გარანტორი დგას, ანუ ის, რაც ახლა ხდება უკრაინაში და რა პოლიტიკური მოცემულობაცაა დღეს საქართველოში, ერთი პროცესია; ხოლო ხელისუფლებაზე რომ მკითხეთ, აქაც ყველაფერი გასაგებია — სამწუხაროდ, **„ქართული ოცნება“ არის ჩვეულებრივი შემსრულებელი, ამიტომ, სანამ ის ამ ფუნქციას კარგად ასრულებს და ვაშინგტონის ინსტრუქციებს უსიტყვოდ მიჰყვება, არანაირი მაიდნის საფრთხე საქართველოში არ არსებობს.**

**— მაშინ რატომ იმუქრება თუნდაც ბოკერია?**

— ეს იყო ერთგვარი მესიჯი, გაფრთხილება, რომ, თუკი არსებული ხელისუფლება არ გააგრძელებს იმ კურსს, რომელსაც მიჰყვებოდა „ნაციონალური მოძრაობა“, ის აუცილებლად მიიღებს უკრაინაში განვითარებული მოვლენების მსგავს პროცესებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ნაციონალები“ ამ საქმეში მარტონი არ იქნებიან, მათ გვერდით იდგება არასამთავრობო სექტორის უმრავლესობა, რომელიც დასავლეთიდან გრანტებით იკვებება და ასევე უკრაინიდანაც უნდა ველოდოთ გარკვეულ „დესანტს“, მიხეილ სააკაშვილის სამეგობროს სახით. ახლა გეკითხებით: **მოგვეწონება, ჩვენს საშინაო საქმეებში უკრაინელები რომ ჩაერიონ და რუსთაველზე მოლოტოვის კოქტეილებით ირბინონ, როგორც ამას „ნაცები“ კიევში აკეთებდნენ?!** ახლა განვიხილოთ, თავის მხრივ, იანუკოვიჩის პოლიტიკაც. თავიდან ის იყო პროდასავლური მმართველი, პრიორიტეტად ისახავდა ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და რაღაც ეტაპზე ეს კურსი გარკვეულწილად შეცვალა; თუმცა დღეს ყველა საუბრობს იმაზე, რომ მან ვერ შეძლო მიმართულების შენარჩუნება და არავინ ულრმავდება მიზეზს, რატომ ვერ შეძლო ან რატომ შეცვალა მიზანმიმართულად.

## «უკრაინიდანაც უნდა ველოდოთ გარკვეულ «დესანტს», მიხეილ სააკაშვილის სამეგობროს სახით»

**— თქვენი აზრით, რატომ შეცვალა?**

— ვფიქრობ, ის, უბრალოდ, დაიღალა იმ ცრუ დაპირებებით, რომელთა მოლოდინის რეჟიმში დღეს საქართველოცაა, ანუ ის ევროპას სთხოვდა გაცილებით მეტს და ევროპა არ აღმოჩნდა მზად ამისთვის; ამ დროს მეორე მხარეს იყო რუსეთი, რომელმაც ფინანსური დახმარება შესთავაზა უკრაინას. ჩემი აზრით, იანუკოვიჩმა მარტივად იმოქმედა, მან ამჯობინა დღევანდლი კვერცხი ხვალინდელ ქათამს, მაგრამ ბოლოს მოუვიდა სერიოზული შეცდომა, რომელიც გამოიხატა მის არათანმიმდევრულობაში და არაპრინციპულობაში...

**— იანუკოვიჩისგან განსხვავებით, დღეს საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება, რომელიც დასავლეთთან საკუთარი ინტერესების ჭრილში იმოქმედებს და თუნდაც გარკვეულ პოლიტიკურ ვაჭრობას დაიწყებს. შესაბამისად, აქ ევროინტეგრაცია გამოცხადებულია ისტორიულ არჩევნად, რომელსაც თურმე ალტერნატივა არ აქვს. თქვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო გააგრძელებს არსებული კურსით სვლას და კიდევ უფრო დავუახლოვდებით „ევროპულ ოჯახს“, რას მივიღებთ რეალურად და რა ცვლილებების განხორციელება მოგვიწევს?**

— ცვლილებების განხორციელება კი არ მოგვიწევს, ეს ცვლილებები უკვე ხორციელდება. მაგალითად, ბევრმა არ იცის და დაახლოებით ერთი თვის წინ ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელ ირაკლი ვაჭარაძის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ის კანონი, რომლითაც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სისხლის დონორობა ეკრძალებოდათ. ასევე ერთი თვის წინ მოხდა რელიგიური კონფესიების დაფინანსებაც 4,5 მილიონი ლარით. ასე რომ, ე. წ. ლიბერალიზაციის პროცესი მიდის საზოგადოებაში. **დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ჩვენ მომსწრენი გავხდებით ბევრად უფრო მძაფრი, მასირებული შეტევისა ქართული ცნობიერების წინააღმდეგ, ხოლო ეკლესიას რაც შეეხება, ის, როგორც ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ამ გლობალიზაციის პროცესის, ყოველთვის იყო და, ცხადია, დღესაც რჩება მთავარ სამიზნედ...** მარტივად რომ ვთქვათ, საქართველო დღეს რეალურად აღარაა დამოუკიდებელი ქვეყანა ან რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა ელემენტარულად კანონპროექტს ვერ მიიღებთ, თუ ის ევროკავშირის დირექტივებსა და ვალდებულებებს ეწინააღმდეგება?!

**— დასაწყისში თქვით, რომ ის, რაც დღეს ხდება უკრაინაში და რა პოლიტიკური მოცემულობაცაა საქართველოში, ერთი და იგივე პროცესია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ ფიქრობთ, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების შანსი გვაქვს?**

— დავიწყოთ ვლადიმერ პუტინის იმ კომენტარით, რომელიც მან ქართველ ჟურნალისტებთან გააკეთა: მზად ვარ, საქართველოს პრეზიდენტს შევხვდეო. ვფიქრობ, ეს იყო საკმაოდ მკაფიო გზავნილი, მაგრამ ამის შემდეგ გამოვიდა მარგველაშვილი და განაცხადა: ჯერ კონსულტაციებს გავივლით დასავლელ პარტნიორებთანო. მგონი, ამას შეფასებაც არ სჭირდება, უბრალოდ, ცხადზე ცხადია, რომ ასეთი განცხადების შემდეგ სრულყოფილი დიალოგი ვერ შედგება. ამ განცხადებით პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ საქართველო, დამოუკიდებელი ქვეყანა კი არა, დასავლეთის ვასალია; და გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთი აკვირდება ქართულ ტელესივრცესაც, სადაც მიმდინარეობს გამალებული ანტირუსული პროპაგანდა.

**— ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებს?**

— ამას წინათ საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ასეთი რამ თქვა: დღეს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ რეალური ბერკეტები არ გააჩნიაო. ახლა ამ განცხადების შეფასებას არ დავიწყებ, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: **როდესაც დადგება ჩვენი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების დღე, კრემლმა შეიძლება აამოქმედოს ბერკეტები და როგორც აფხაზეთში, ისე სამაჩაბლოში, ამ რეგიონების რუსეთთან რაიმე ფორმით მიერთების თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების საკითხი დააყენოს. ამით ჩვენ კიდევ უფრო დიდ ნაბიჯს გადავდგამთ ტერიტორიების საბოლოოდ დაკარგვისკენ და ეს იქნება ჩიხი, საიდანაც შეიძლება მართლა ვერასდროს გამოვიდეთ.**

**— ისევ დასავლურ ღირებულებებსა და ორიენტირებზე გკითხავთ: საქართველოში ეს მიმართულება, დიდი ხანია, იმ მოცემულობად იქცა, რომელმაც პოლიტიკური სივრცის ერთგვარი მონოპოლიზება მოახდინა. შესაბამისად, როცა ამ სივრცეში შემოდიხარ, თუ პროდასავლური არ ხარ, იმთავითვე ნეგატიურად აღიქმები და მარგინალდები. თქვენი აზრით, რა შეიძლება განვიხილოთ ამ მოცემულობის საპირწონედ?**

— სანამ თქვენს შეკითხვას ვუპასუხებ... მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ რუსეთის მიმართ რაღაც პირადული სიმპათიები გამაჩნია, რაც სიმართლე არ არის. ყველაზე კარგად ჩემს პოზიციას გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სიტყვები ესადაგება: „მე არც ბოლშევიკი და არც მენშევიკი გენერალი არ ვარ, მე ქართველი გენერალი ვარ!“ ინტრიგანების გასაგონად ვიტყვი, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენ. ღმერთს ადამიანისთვის თავი მხოლოდ ბალიშზე დასადებად და ქუდის დასახურად არ მიუცია, ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ და დავინახოთ ერთი რამ: მსოფლიოში ყველას აქვს თავისი ინტერესები. ახლა გამოსავალს რაც შეეხება, ვფიქრობ, **საშველი იქნება მაშინ, როცა გავაცნობიერებთ, რომ ჩვენი ბედი წყდება აქ — საქართველოში. ამისთვის კი სათავეში უნდა მოვიდეს ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც ეყვარება თავისი ქვეყანა და გადაწყვეტილებებს მიიღებს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.**

**— კი, მაგრამ ასეთ ძალებს პოლიტიკური სივრცე დახურული აქვთ.**

— რა თქმა უნდა, ეს გზა რთულია, მით უფრო, როცა მთელი საინფორმაციო ველი საპირისპირო ბანაკის ხელშია, მაგრამ ვიქტორ ჰიუგოს აქვს გენიალური გამონათქვამი: შეიძლება არმიების შემოტევა შეაჩერო, მაგრამ ვერ შეაჩერებ იდეებს, რომელთა დროც დადგა... ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ჩვენში ეს დრო არ დამდგარა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან საზოგადოებას მოევლინება ის ლიდერი ან გარკვეული ჯგუფი ადამიანების, რომლებიც ეროვნული ინტერესებით იმოქმედებენ და სწორი გზით წაიყვანენ ქვეყანას.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## წინამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაცია იწყება

**მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში მდებარე ილია ჭავჭავაძის ძეგლს რეაბილიტაცია სრულად ჩაუტარდება. ეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინადადებით მიიღო.**

აღდგება კვარცხლბეკი, მოხდება მისასვლელი კიბის რეკონსტრუქცია და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია. ამ პროექტის განხორციელების მიზანი მცხეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი, საზოგადოებრივი და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობაა. პროექტის დაფინანსება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტების ქვეპროგრამით განსაზღვრული ასიგნებებიდან მოხდება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას არ გამოიწვევს.



SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აშშ-ის მიზანს წარმოადგენს ერთიანი, კოსმოპოლიტური სოციალური მოდელის ფორმირება და ამისთვის აუცილებელია ტრადიციული სოციალური სტრუქტურების დაშლა-დანაწევრება. ეს კი მიიღწევა მხოლოდ შეგნების ინდივიდუალიზაციითა და ინდივიდების მოწყვეტით კოლექტიური ერთობებისგან. ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის, დაშლა, დაჩეხვა-დანაწევრება რომ მოხდეს, აუცილებელია ისეთი ორგანიზაციების, ლიდერების დაჯილდოება და დაფინანსება, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ საკუთარი ერის, მისი კულტურული დომინანტის ნგრევას, რომელზეც ამა თუ იმ ერის კულტურა დგას. “**

# მიშელ ობამა ქართველ ბაპტისტებს ლობირებს

**სულ ახლახან საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ამერიკაში მიშელ ობამამ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე დააჯილდოვა „სიმამაცისთვის“. მას მადლობა გამბედაობისთვის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვისთვის გადასცეს. და ეს მაშინ მოხდა, როდესაც შტეფან ფულე ილია მეორეს ხვდებოდა, პირობას დებდა, რომ თქვენს სულიერებასა და ეკლესიას არ შევეხებით და თქვენც, თქვენი მხრიდან, ყველაფერი გააკეთეთ, რომ ქართველი ერი ევროპისკენ წავიდესო.**



როდის უნდა შემოჰკრას განგაშის ზარი პატარა, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე ერმა? მაშინ, როდესაც საკუთარი ხელისუფლება ქართული ენის, თვითმყოფადობის, სულიერების ამოძირკვის საფრთხის მოტივით ევროპასთან თუ ამერიკასთან გაახლოებს, ყველაფერ ეროვნულს გისპობს და დასცინის? იქნებ მაშინ, როდესაც გეიაღლუმს გიწყობენ, სასულიერო პირებს ადამიანის უფლების დარღვევაში, უმცირესობის დამცირებაში, ხულიგნობასა და ბოროტებაში სდებენ ბრალს? ან იქნებ იმაზე მაინც ამოვიღოთ ხმა, ინტერნეტსივრცე ერთი არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილმა გოგონამ რომ დაიპყრო და ორალური სექსის „აუცილებლობაზე“ გვესაუბრება? ამ სიმშვიდით იმას მივაღწიეთ, რომ აღარ გაგვაჩნია განათლება და, როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, უფროსკლასელების ერთ ნაწილს წესიერად წერა-კითხვაც კი არ შეუძლია, არ გაგვაჩნია კვლევითი ინსტიტუტები, მრეწველობა, ყვავის უზნეობა და სულიერებას უტევენ.

„საქართველო და მსოფლიო“ პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს გაესაუბრა. ვინაიდან ჩვენი ევროპელი და ამერიკელი „მეგობრები“ ხელიდან არ უშვებენ შანსს, გააკრიტიკონ მართლმადიდებელი ეკლესიის აქტივობა, ჩვენთვის საინტერესო იყო, რა ნიშნით მოხდა ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღოლის ასე დემონსტრაციულად დაჯილდოება მაშინ, როდესაც ფულე თბილისში პატრიარქს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას აიძულებდა.



**ირაკლი უზილავა:**

## ბარე ძალებისთვის აუცილებელია ერის დასაყრდენის, მისი მაიდენტიფიცირებელი ნიშნების, ჩვენ შემთხვევაში, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ფარული თუ აშკარა ბრძოლა

**ირაკლი უზილავა, ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის წევრი:**

**— რატომ დააჯილდოვა ამერიკის პირველმა ლედიმ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ქალი-ეპისკოპოსი?**

— მინდა ეს ფაქტი დავუკავშირო საქართველოში შტეფან ფულეს ვიზიტს და პატრიარქთან შეხვედრას. ვინაიდან მსგავსი დაჯილდოება ხდება იმ ფონზე, როდესაც შტეფან ფულე პატრიარქთან შეხვედრისას, პატრიარქსაც და ქართულ საზოგადოებასაც არწმუნებდა, რომ ტრანსატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია არავითარ საფრთხეს არ უქმნის ქართულ ღირებულებებსა და ცხოვრების წესს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რა შუაშია ევროკავშირი და შეერთებული შტატებიო, მაგრამ მეტ-ნაკლებად ნათელია, რომ **გლობალიზაციის, სოციალური უნიფიკაციისა და ერთიანობის მთავარ კონსტრუქტორს დღევანდელ პირობებში აშშ წარმოადგენს, ხოლო ევროკავშირი მისი ნების გამტარებელია ევროპის ფარგლებში. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი და იდეოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი ამბობდა, რომ ევროკავშირის გაფართოება ამერიკის ინტერესების გაფართოებააო.**



**ვიქტორ ცაავა:**

## მსოფლიო გლობალიზაციის პროექტი, რომელსაც დასავლეთი ამუშავებს, მიზნად ისახავს მსოფლიოს მართვის ერთიანი ცენტრის შექმნას

ეს სიტყვები რომ გავიგოთ, აუცილებელია, იმ იდეოლოგიური დოქტრინის უმთავრეს პოსტულატებს შევეხოთ, რომლებიც დღეს ნეოლიბერალიზმის სახელით არის ცნობილი და რომლის მთავარ იდეოლოგიურ გენერატორს აშშ წარმოადგენს. ყველა იდეოლოგიას გააჩნია სუბიექტი, რომლის ინტერესების დაცვას ემსახურება ესა თუ ის იდეოლოგიური პარადიგმა. თუ კომუნიზმი მუშათა კლასის ინტერესების დამცველი იყო, ლიბერალიზმი, მისი უკიდურესი ფორმა, რომელიც ნეოლიბერალიზმის სახელით არის ცნობილი, ინდივიდისა და მისი უფლებების დაცვით არის დაკავებული. დღეს პოსტმოდერნულ ეპოქაში ინდივიდუალიზმმა უკიდურეს ფორმას მიაღწია, ხდება ინდივიდის გათავისუფლება ყველანაირი ტიპის კოლექტიური ფორმებიდან — იქნება ეს ერი თუ სხვა ნებისმიერი სახის კოლექტივი. გლობალიზაციის მთავარი მედროშის — **აშშ-ის მიზანს წარმოადგენს ერთიანი, კოსმოპოლიტური სოციალური მოდელის ფორმირება და ამისთვის აუცილებელია ტრადიციული სოციალური სტრუქტურების დაშლა, დანაწევრება. ეს კი მიიღწევა მხოლოდ შეგნების ინდივიდუალიზაციითა და ინდივიდების მოწყვეტით კოლექტიური ერთობებისგან. ერის, როგორ ისტორიულ-კულტურული ერთობის, დაშლა-დაჩეხვა-დანაწევრება რომ მოხდეს, აუცილებელია ისეთი ორგანიზაციების, ლიდერების დაჯილდოება და დაფინანსება, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ საკუთარი ერის, მისი კულტურული დომინანტის ნგრევას, რომელზეც ამა თუ იმ ერის კულტურა დგას.**

აღნიშნული ქმედების უმთავრეს მიზანია, ინდივიდუმებად დანაწევრებული და ადვილად მანიპულირებადი ადამიანების მეშვეობით მოხდეს მათი ინტეგრირება უნიფიცირებულ და გლობალიზებულ, დასავლურ სამყაროში. ამიტომ **გარე ძალებისთვის აუცილებელია ერის დასაყრდენის, მისი მაიდენტიფიცირებელი ნიშნების, ჩვენ შემთხვევაში, მართლმადიდებლობის, წინააღმდეგ ფარული თუ აშკარა ბრძოლა. ბრძოლის ფორმები კი შეიძლება სხვადასხვა იყოს — უმცირესობების წარმომადგენლებისა და მათი ლიდერების დაჯილდოება, დაფინანსება, მათი რეკლამირება და ა.შ.**

აქვე მინდა დავამატო, რომ არ მახსენდება შემთხვევა, როდესაც რომელიმე ▶

## ყირიმის რადამ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო

**ინფორმაცია ყირიმის რადას მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შესახებ უკრაინულმა საინფორმაციო სააგენტო Nian-მა გაავრცელა.**

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, თუ 16 მარტის რეფერენდუმში ყირიმის მოსახლეობა ავტონომიური რესპუბლიკის რუსეთთან შეერთებას მისცემს ხმას, რეფერენდუმის შემდეგ ყირიმი დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდება. **„რეფერენდუმის შესაბამისი შედეგების შემთხვევაში, ყირიმის რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, წინადადებით მიმართავს რუსეთის ფედერაციას, მიგვიღოს რუსეთის შემადგენლობაში რუსეთის ახალი სუბიექტის სახით“,** — ნათქვამია ყირიმის რადას მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში.



# „რელიგიურ-სექტანტური დესანტი, ე. წ. ადამიანის უფლებების დამცველები, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, მსოფლიო გლობალიზაციის პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტები არიან. ზუსტად ეს კოჰორტები უზრუნველყოფენ ამა თუ იმ ქვეყანაში ადგილობრივი რელიგიურ-კულტურული ტრადიციების დანგრევის პროექტის შესრულებას. ბაპტისტ-ევანგელისტი გოცირიძეც ამ დესანტის ერთ-ერთი ჯარისკაცია...“

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დასავლური სახელმწიფოს ორგანიზაციას ან რომელიმე საჯარო პირს დაეჯილდოებინოს ტრადიციული რელიგიის წინამძღვარი ან ის ინტელექტუალი თუ საზოგადო მოღვაწე, რომელიც მემარჯვენე იდეოლოგიურ პლატფორმაზე დგას და ტრადიციული იდეების დამცველია. აშშ ქართველი ერის ინტერესების დაცვით, მისი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით რომ ყოფილიყო დაინტერსებული, მიშელ ობამა ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის ეპისკოპოსს კი არ დააჯილდოებდა, არამედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომელიმე წარმომადგენელს.

**შტეფან ფულე, რომელმაც პატრიარქი დაამშვიდა, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში არავითარ შემთხვევაში არ მიაყენებს ზიანს ქართულ ღირებულებებს და მენტალიტეტს, ცოტა აბსურდად მიმაჩნია.** ამაში, ალბათ, სოციალურ მეცნიერებებში ელემენტარულ დონეზე გარკვეული ადამიანიც დამეთანხმება. საერთოდ, საზოგადოების ფორმირების რამდენიმე თეორია არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებულს წარმოადგენს კონტრაქტუალისტური, ანუ ხელშეკრულებითი, რომელიც სხვათა შორის ლიბერალი ინტელექტუალების აზროვნების პროდუქტს წარმოადგენს და რომლის მიხედვით, ადამიანები თანხმდებიან საერთო თამაშის წესებზე, დებენ კონტრაქტს ერთმანეთთან და აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე მოქმედებენ. ამ პროცესს გლობალურ დონეზე თუ გავაანალიზებთ, საზოგადოებები, რომლებიც ერთიან, მსხვილ გაერთიანებაში ერთიანდებიან, საერთო თამაშის, ანუ ცხოვრების წესს აღიარებენ. სხვა შემთხვევაში, მათი ერთ გაერთიანებაში თანაარსებობა შეუძლებელია.

**როდესაც საქართველო გახდება ტრანსატლანტიკური ცივილიზაციის ნაწილი, ქართველ ხალხს სრულად მოუწევს იმ სოციალური მოდელის ათვისება, რომელიც გაბატონებულია დასავლეთის ქვეყნებში. სხვა შემთხვევაში, მას დაატოვებინებენ ამ გაერთიანებას, რადგან საქართველოს დასავლეთისთვის ძალიან დიდი გეოსტრატეგიული დატვირთვა აქვს, საქართველოზე სრული კონტროლის დაწესების შემთხვევაში, ქართული საზოგადოება იძულებული იქნება, მიიღოს თამაშის და ცხოვრების ის წესები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებშია დანერგილი და რომლებიც ევროატლანტიკური ცივილიზაციის განვითარების პროდუქტს წარმოადგენს.**



შოთა აფხაიძე:

## უნდა დავადგინოთ და დავაზუსტოთ, რომ სექტების მოქმედება ანტიკონსტიტუციურია, ქვეყნის მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის, საქართველოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, რაც კანონით უნდა აღიკვეთოს

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოშიც მომავალში ადგილი ექნება ლგბტ საზოგადოებისა და სხვადასხვა ტიპის უმცირესობების მხარდაჭერას, მათ შორის კონფესიურსაც, რაც ქართველი ერის ზნეობრივ დეგრადირებასა და ისტორიული სახის დაკარგვას გამოიწვევს.

ასე რომ, რა დაპირებებიც უნდა მოგვცეს შტეფან ფულემ, ეს პროცესები გარდაუვალია, არა იმიტომ, რომ ფულეა მატყუარა, არამედ იმიტომ, რომ სოციალური მოდერნიზაცის კანონზომიერებას ვერც ერთი ცალკე აღებული ევროჩინოსანი ვერ შეცვლის.

**ვიქტორ ცაავა, გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელი:**

— მსოფლიო გლობალიზაციის პროექტი, რომელსაც დასავლეთი ამუშავებს, მიზნად ისახავს მსოფლიოს მართვის ერთიანი ცენტრის შექმნას, რათა მსოფლიო ეკონომიკისა და რესურსების გაკონტროლება ერთი ძალის — „ოქროს მილიარდის“ მიერ მოხდეს, ხოლო **რელიგიურ-სექტანტური დესანტი, ე.წ. ადამიანის უფლებების დამცველები, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, მსოფლიო გლობალიზაციის პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტები არიან. ზუსტად ეს კოჰორტები უზრუნველყოფენ ამა თუ იმ ქვეყანაში ადგილობრივ რელიგიურ-კულტურული ტრადიციების დანგრევის პროექტის შესრულებას.** ბაპტისტ-ევანგელისტი გოცირიძეც ამ დესანტის ერთ-ერთი ჯარისკაცია და მისი დაჯილდოებაც ქალბატონ ობამას მიერ იმ ჯაჭვის ნაწილია, რომლის მთავარი მიზანი ქრისტიანული, მართლმადიდებელი რელიგიის ჩამორჩენილ, არათანამედროვე, არალიბერალურ, არაპოპულარულ, მოკლედ, არამოდურ მიმდინარეობად წარმოჩენაა, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველი ერის არსებობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

**შოთა აფხაიძე, ექსპერტი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში:**

— საშიშროება დიდია. ასეთი სექტები დასავლეთში, ხშირ შემთხვევაში, გამოყენებულია სპეცსამსახურების მიერ, როგორც გეოპოლიტიკური იარაღი. საშიშროება კი ისაა, რომ ისინი პოლიტიზირებულნი არიან. რელიგიურები არ არიან. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ **ჩვენ ვნახეთ, როგორ იყენებდა დასავლეთი და განსაკუთრებით ამერიკა ამ ბაპტისტურ-ევანგელისტურ ეკლესიას უკრაინასა და საქართველოში „ფერადი რევოლუციების“ დროს. ეს პროცესები წლების განმავლობაში მიმდინარეობს და უამრავი მამხილებელი ფაქტი არსებობს მათი საქმიანობის შესახებ.**

მაგალითად, „ჰარი კრიშნას“ სექტა, რომელიც ნიუ იორკში დაფუძნდა და დასავლეთ გერმანიაში მოქმედებდა. გერმანიის პოლიციამ მათ სალოცავებში დიდი ოდენობით იარაღი აღმოაჩინა. მსგავსი სექტები, ხშირ შეთხვევაში, გადატრიალებებსა და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობენ. ამერიკა ყოველთვის მათი დამფინანსებელია.

**— რის გაკეთება შეუძლიათ საქართველოში?**

— შევარდნაძის ხელისუფლებას ბევრი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ პროცესების დაჩქარება და პროვოცირება ხდებოდა სექტის დახმარებით. სწორედ ისინი აკეთებდნენ განცხადებებს, რომ იდევნებოდნენ. თუ აკვირდებით, დღესაც ასე ხდება... გამოდიან დასავლური სექტის წარმომადგენლები და ამბობენ, რომ ხელისუფლება არ არის დემოკრატიული, სამაგიეროდ, მხარს უჭერენ მიხეილ სააკაშვილს. მათ ასეთი დავალება აქვთ.

როგორ უნდა მოვიქცეთ? ქვებს ვერ დავუშენთ. საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს ყველაფერი. **უნდა დავადგინოთ და დავაზუსტოთ, რომ სექტების მოქმედება ანტიკონსტიტუციურია, ქვეყნის მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის, საქართველოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, რაც კანონით უნდა აღიკვეთოს.**

**— როგორ შევძლებთ ამის დამტკიცებას?**

— უნდა მოხდეს ყველა საეჭვო ორგანიზაციის საქმიანობის კვლევა, უნდა კონტროლდებოდეს მათი ფინანსები. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკაში, მათ აქვთ რევანშის სურვილი, მხარს უჭერენ სააკაშვილს. **რუსუდან გოცირიძე იმიტომ არ დაუჯილდოებიათ, რომ ის ქალია, აქ საქმე გვაქვს იდეურ თანხვედრაზე. ამერიკამ ამ ნაბიჯით აშკარად დაგვანახა, რომ ის თავის მოკავშირეებს ყოველთვის დაუდგება გვერდით, რომ მისთვის უფრო პრიორიტეტულია ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ვიდრე მართლმადიდებლური. დაჯილდოებული ქალბატონი ერთ მშვენიერ დღეს პატარა, მაგრამ რევანშისტული გამოსვლების აქტიურ მხარდამჭერად მოგვევლინება.**

აი, ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი საფრთხე, ეს არის მე-5 კოლონა, რომელიც ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ ნებისმიერ დროს შეიძლება ამოქმედდეს. ასეთივე ძალაა მორმონები — პოლიტიკური იარაღი დასავლეთისა და ამერიკისთვის, ისინი იმართებიან სპეცსამსახურების მიერ.

მართლმადიდებლების კიდევ ერთი დისკრიმინაციის ნათელი გამოვლინებაა „ჩიპიანი“ პირადობის მოწმობები, რომელთა ალტერნატიული ვარიანტის შექმნასაც, აგერ უკვე მესამე წელიწადია, საქართველოს მოსახლეობის 80% ამაოდ ითხოვს. იუსტიციის მინისტრი წულუკიანი ამ თემით ხუმრობს და ხალხს დასცინის.



ზაზა ნანობაშვილი:

## ადმინისტრაციული დიქტატურა გაცილებით მძიმეა, ვიდრე დახვრეტა, ჩვენი ხელისუფლება გვიკრძალავს საკუთარ ქვეყანაში არსებობის უფლებას

**ზაზა ნანობაშვილი, მართლმადიდებელი კრებულის ხელმძღვანელი:**

— სამი წელიწადია, რაც ხელისუფლებას ხან ხელმოწერებით, ხან თხოვნით, მოთხოვნითა და აქციებით მივმართავთ. ეს უბრალო პრობლემა არ არის, ადამიანის პირად ცხოვრებას შეეხება. ხუთი თვეა, აქციებს ვმართავთ. პრობლემა, რომელსაც ვეხებით, მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობისთვის, რადგან უპასპორტოდ ადამიანი ვერ იარსებებს. იუსტიციის მინისტრი კი ამ თემაზე ხუმრობს.

თავად ვიცი, რა ხდება უცხოეთში ამ კუთხით, ბევრ ქვეყანაში ელექტრონული პასპორტების შესახებ დავა და კამათი 20 წელზე მეტია გრძელდება, პროექტს ვერ ამტკიცებენ. თეა წულუკიანი კი გვეუბნება, რომ ოთხ დღეში ყველაფერი გაარკვია, გაარკვია კი არა, უბრძანეს, რომ ასე ეთქვა და ჩიპიანი პირადობის მოწმობაც აელო.

**ადმინისტრაციული დიქტატურა გაცილებით მძიმეა, ვიდრე დახვრეტა, ჩვენი ხელისუფლება გვიკრძალავს საკუთარ ქვეყანაში არსებობის უფლებას. ახალი მთავრობის დიდი იმედი გვქონდა, გვეგონა, რომ ამ დავაში მხარს აგვიბამდნენ, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა და თვალები აგვეხილა.**

**— რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?**

— პრემიერმინისტრთან ხელმოწერები შევიტანეთ, მხარს გვიჭერენ, ასევე, ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე. მათ შეისწავლეს სხვა ქვეყნების მაგალითები, ჩემი შეთავაზებული წინადადებებიც მოისმინეს. **პრეზიდენტმა და პრემიერმა ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოაგვარონ, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ინტერაქტივის დროს ქართველი ხალხის 80% ამ პასპორტების წინააღმდეგ წავიდა.**

ამბობენ, საჩუქრად მივცემთო, ასეთი საჩუქარი ვის უნდა?

**— რატომ იქცევა წულუკიანი ასე?**

— არის რაღაც პროექტები, რომლებშიც დიდ თანხებს იძლევიან.

**— რა პროექტებზე საუბრობთ?**

— ელექტრონულ ქსელში ხალხის ჩართვაზე, პირადობის მოწმობები უფასოდ უნდა მისცენ პედაგოგებს, სტუდენტებს, მოსწავლეებსო. მინისტრმა გამოაცხადა, რომ ასე მთელ საქართველოს მოვიცავთო. **ხალხს სხვა გზას თუ არ დაუტოვებენ, იძულებული გახდება, აიღოს ელექტრონული მოწმობები, ეს კი ძალდატანებაა. იეღოველებს სისხლის გადასხმა რომ არ უნდათ, არავინ აძალებს. ლგბტ-ც გვიმტკიცებს თავის სიმართლეს და არ ვედავებით, მართლმადიდებლებს ყველაფერი სადავო გვაქვს. ძლიერი ქვეყნები ამას აგვარებენ, მაგრამ ჩვენ მონებად ვიქეცით.**

ის, რაც ხდება, გლობალური პრობლემაა. არის ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, ჩვენნაირი პატარა ქვეყნები მართონ. ამით კონტროლი ადვილდება. სახარებაში წერია, რომ „ბეჭდის“ გარეშე ველარ იცხოვრებ, ვერ იყიდი, ვერსად წახვალ, რაც ხდება ამის დასტურია. ასეთი ზეწოლა ხალხში მეტ პროტესტს იწვევს. ინგა გრიგოლიას გადაცემაში ინტერაქტივი შეაჩერეს, რადგან მიხვდნენ, რომ ხალხის დიდი ნაწილი ელექტრონული პირადობის მოწმობის წინააღმდეგია.

ბორჯღალოიანი პასპორტები რომ გაუქმდა, მაშინ ბერებისგან ათონის მთაზე ბევრი რამ გავიგე... არ გასულა ერთი თვეც, რომ აიდიბარათები და „ჩიპიანი“ პირადობის მოწმობების შემოღება დაიწყეს. ჩემი ინფორმაცია და გულისტკივილი გავაცანი პატრიარქს, მინისტრებს, ვფიქრობ, ხალხი ამას ასე ადვილად არ დათმობს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ფეხბურთი

## სამარცხვინო ინციდენტი — ქუთაისში

**9 მარტს ქუთაისში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურის შეხვედრა ადგილობრივ „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის სამარცხვინო ინციდენტის გამო ჩაიშალა.** მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში, როდესაც „დინამო“ 2:0 იგებდა, ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრებმა ჯერ ქვების სროლა დაიწყეს, შემდეგ კი მოედნის გაზონზე ჩავიდნენ და „დინამოს“ ფეხბურთელებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამ ინციდენტის გამო, პოლიციამ 16 გულშემატკივარი დააკავა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ „ტორპედოს“ გულშემატკივრები 100 ლარიდან 500 ლარამდე დააჯარიმა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, ქუთაისის „ტორპედო“ — 18 300 ლარით, „დინამო“ კი 800 ლარით დაჯარიმდა. გარდა ამისა, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს (სკ „ტორპედო“ საშინაო მატჩებს ნეიტრალურ სტადიონზე გამართავს) და „ტორპედოს“ კი ტექნიკური წაგება ანგარიშით 0:3 ჩაუთვალეს.



ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯებიდან, რომელშიც შედის საგადასახადო შემოსავლები, საგარეო და საშინაო ვალები, ჯამში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 1100 დოლარი მოდის. მაშინ, როცა ეს ისრაელში 13000 დოლარია, ამერიკაში — 20000. ასე რომ, წარმოუდგენელია სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. საქართველოს სჭირდება ორციფრიანი ეკონომიკური ზრდა, სხვანაირად მოსახლეობას ეს არ დაეტყობა.“

# ცხოვრება გაძვირდა, ბიძინა ივანიშვილის დაპირებული 100 საწარმო კი არსად ჩანს...

საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინ სიხარულით გვამცნო, რომ ეკონომიკაში 6%-იანი ზრდა გვაქვს, თუმცა რეალურად ყველაფერი გაძვირდა და ცხოვრება გაჭირდა. პენსიამ არ მოიმატა, საარსებო მინიმუმი, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილისთვისაც მიუღებელი იყო და ირაკლი ღარიბაშვილმაც რამდენიმეჯერ ახსენა, რომ გადასახედია, მაინც ძველ ნიშნულზე დარჩა. უფრო მეტიც, მისი გადახედვა არც იგეგმება, რადგან, როგორც აღმოჩნდა, დაუბეგრავი მინიმუმი საარსებო მინიმუმიდან გამოთვალეს.

„საქართველო და მსოფლიო“ რამდენიმე დღის განმავლობაში არკვევდა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში თუ რომელ მედიკამენტებზე და საკვებ პროდუქტებზე მოიმატა ფასმა. აღმოჩნდა, რომ გაძვირებულა ყველაზე ხშირად მოხმარებადი წნევის წამლები: „ადელფანი“ 75 თეთრი ღირდა, ახლა 95 თეთრი ღირს;, „ენაპაში“ 3 ლარისა და 60 თეთრის ნაცვლად ახლა 5 ლარი ღირს; ასევე კატასტროფულად გაზრდილია ძვირადღირებული წამლების ფასიც, მაგალითად, „დიაბეტონი“ 12 ლარიდან 18 ლარამდე გაძვირდა; ასთმიანებისთვის სასიცოცხლო აეროზოლი „ბეროტეკი“ — 9 ლარიდან 14 ლარამდე და ა. შ.

რაც შეეხება საკვებ პროდუქტებს, 1 კგ კარტოფილი 80 თეთრის ნაცვლად 2 ლარი ღირს, 1 კგ ლობიო 4 ლარის ნაცვლად — 5 ლარი, 1 კილოგრამი მწვანილის ფასი კი 9 ლარიდან 15 ლარამდე გაიზარდა. 10-15%-ით მოიმატა რძის პროდუქტებისა და ბურღულეულის ფასმა.

ცხოვრება გაჭირდა, გაძვირდა, ბიძინა ივანიშვილის დაპირებული 100 საწარმო კი არსად ჩანს...

რატომ არ გადაიხედა საარსებო მინიმუმი? რა შედის სამომხმარებლო კალათაში? რამდენია ყოველდღიური აუცილებელი კილოკალორია? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ ეკონომიკის ექსპერტთა ცენტრს ვეწვიეთ.







რამაზ გერლიანი:

## საარსებო მინიმუმი, რომლითაც დღეს ხელისუფლება ხელმძღვანელობს, აბსურდულია. 2012 წლის ბოლოდან იგი არათუ გაიზარდა, პირიქით — შემცირდა

**რამაზ გერლიანი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი:**

— 2012 წლის ბოლოდან საუბრობდნენ, რომ გადასახედია საარსებო მინიმუმი, მაგრამ ამ დრომდე არაფერი შეცვლილა. **საარსებო მინიმუმი, რომლითაც დღეს ხელისუფლება ხელმძღვანელობს, აბსურდულია. 2012 წლის ბოლოდან იგი არათუ გაიზარდა, პირიქით — 150 ლარიდან 147 ლარამდე დაიყვანეს.**

ჩვენ აქამდეც ვაწარმოებდით კვლევებს ამ მიმართულებით, მაგრამ ფართომასშტაბიანი კვლევის დაწყებას სახსრები სჭირდება, ამიტომ ჩვენი პროექტი „ჯიპაკმა“ დააფინანსა.

დღეს საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიაც კი მიუღებელია. სამომხმარებლო კალათაში 40 დასახელების პროდუქტი შედის, რომლებიც საერთო ჯამში 2300 კილოკალორიას შეადგენს. მასში არ არის შეტანილი მწვანილი და ბოსტნეულის სახეობები, რომელთაც ულარიბესი ოჯახიც კი ყოველდღიურად მოიხმარს. უკანასკნელად „გადახალისებულ“ სამომხმარებლო კალათაში 70% საკვებ პროდუქტს უჭირავს, ხოლო 30% — სხვა დანარჩენს. 30%-ში შედის მედიკამენტები და პირველადი მოხმარების საგნები. აქედან ლოგიკურად ვიღებთ ასეთ სურათს: **110 ლარი ადამიანმა ყოველთვიურად უნდა იმყოფინოს საკვებზე, 40 ლარი კი — კომუნალური გადასახადებისთვის, მგზავრობისთვის, მედიკამენტებისა და აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნების შესაძენად. საქართველოში, სადაც ყველაზე მეტად ინფლაცია პროდუქტების ფასებზე აისახება, ასეთი გათვლა არარეალურია.**

პრობლემას ქმნის სეზონური პროდუქციაც, მათი ფასი სხვადასხვა დროს ცვალებადია, რაც სამომხმარებლო კალათაში გათვალისწინებული არ არის.

ამასთან, სტატისტიკოსები მონაცემებს მხოლოდ 5 ქალაქში ითვლიდნენ (თუ, რა თქმა უნდა, ითვლიდნენ). წესით, ასეთი მონაცემები ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში უნდა დაითვალოს. ისეთი დიდი ქალაქებში, როგორებიცაა ზუგდიდი, გორი, ზესტაფონი, ბოლნისი და ა.შ. ახლანდელი საარსებო მინიმუმი არ არის დათვლილი. აქედან გამომდინარე, არსებული კალათა რეალობასთან ახლოს ვერ იქნება. ახლა ზუსტად ასეთი გეგმა გვაქვს — ყველა რეგიონის ცენტრალური ქალაქების მონაცემები შევკრიბოთ.

**— უკანასკნელად როდის მოხდა სამომხმარებლო კალათის გადახედვა და დღეს რა უშლის ხელს ამ პროცესს, ახალი მთავრობის პროირიტეტი არჩევნებამდე ხომ სწორედ ეს იყო?**

— საარსებო მინიმუმი 2003 წელს დადგინდა. მას მერე ამით რატომღაც არავინ დაინტერესებულა.

ეკონომიკის ექსპერტთა ცენტრი შეეცადა, გადაემოწმებინა დღეს არსებული მონაცემები, რათა დაგვედგინა პროპორციები 70X30-ზე, ამისთვის შევქმენით ვირტუალური კალათა, რომელშიც შედის კომუნალური გადასახადები, მგზავრობის, მედიკამენტების, პირველადი მოხმარების საგნებისა და ტანსაცმლის ხარჯები, ასევე გავაკეთეთ საკვებზეც. ბევრად განსხვავებული მაჩვენებელი მივიღეთ, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ინფლაცია ძალიან საგრძნობია. საარსებო მინიმუმი ითვლება შრომისუნარიანი მამაკაცის მოთხოვნის მიხედვით. მოგახსენეთ, რომ ეს ვირტუალურად შექმნილი კალათაა, ამიტომ ციფრებს მაშინ დავდებთ, როდესაც უკვე რეალურად დავიწყებთ მუშაობას და ყველა დიდ ქალაქში ავიღებთ მონაცემებს. დარწმუნებულები ვართ, რომ სულ სხვა შედეგი გვექნება — მივიღებთ ძალიან ცუდ სურათს.

აუცილებლად გვექნება შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ეკონომიკურ გუნდთან და, ალბათ, მათგან მოვისმენთ არგუმენტებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**— თქვენ კილოკალორიები ახსენეთ. რამდენ კალორიას უნდა იღებდეს ყოველდღიურად შრომისუნარიანი ადამიანი? როგორ არის ეს გათვალისწინებული სამომხმარებლო კალათაში?**

— კალათაში კალორიულობის აწევის მიზნით ყველაზე მეტი პურის მოხმარებაა გათვალისწინებული, სამაგიეროდ დაბალია ხორცისა და სხვა ძვირადღირებული საკვები პროდუქტების მოხმარება. **2300 კილოკალორია, რომელიც შეიძლება ადამიანმა მხოლოდ პურის ჭამითაც მიიღოს, არაა საკმარისი იმისთვის, რომ კავკასიელი მამაკაცი შრომისუნარიანი იყოს, თუმცა ამაზეც იყო დავა; საკანონმდებლო ორგანოში ამბობდნენ, რომ 1800 კკალ საკმარისიაო.**

აპრილის ბოლოს ჩვენ უკვე შევძლებთ ყველა მონაცემის დადებას, რომელთაც აუცილებლად მივაწვდით შესაბამის ორგანოებს, გავაცნობთ მედიასაშუალებებს და არასამთავრობოებს. სასურველია, რომ მანამდე შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია.

ფინანსთა სამინისტროს საარსებო მინიმუმის საკითხში თავის წვლილი ვერ წარმოუდგენია, მაგრამ ჩვენ გვიჩნდება ლოგიკური კითხვა — **რის საფუძველზე შემოიღეს დაუბეგრავი მინიმუმი თუ მათ არ დაუთვლიათ საარსებო მინიმუმი? 1800 ლარი, რომელიც დაუბეგრავია 150 ლარის თორმეტჯერადია და ეს შემთხვევითი არ არის, რამდენადაც ვიცი, კანონში ეს თანხა იმიტომ ჩაიწერა, რომ საარსებო მინიმუმმა განაპირობა, რაც კიდევ ერთი დიდი შეცდომაა.**

კანონში ლარებზე ლაპარაკი არ შეიძლება. კანონში უნდა ჩაწერილიყო ასე — დაუბერგარვი მინიმუმი საარსებო მინიმუმის თორმეტჯერადი იქნება, რადგან ციფრები მუდმივად იცვლება.

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ეს საკითხი განხილვას აღარ ექვემდებარება, რადგან დაუბეგრავ მინიმუმს უკვე წერტილი დასმული აქვს.**

— შესაძლოა, არჩევნებს დაელოდებიან. ჩვენ ამ 1800 ლარით მაშინვე დავინტერესდით და ვიკითხეთ, რატომ მაინცდამაინც 1800 ლარი? პასუხი ვერ გაგვცეს.



ამირან კაპანაძე:

## 2300 კილოკალორია, რომელიც ჩვენთან დადგენილი ყოვედღიური ნორმაა, ყველაზე ქვედა ზღვარია იმისთვის, რომ ადამიანმა სიცოცხლის უნარი შეინარჩუნოს

**ამირან კაპანაძე, ეკონომისტი:**

**— კილოკალორიების თემას დავუბრუნდეთ. სხვა ქვეყნებში როგორ არის? რამდენია იქ დღიური ნორმა და რამდენად ჩამოვრჩებით ჩვენ?**

— სასურსათო უსაფრთხოების პროგრამებზე ხშირად მიმუშავია. **2300 კილოკალორია, რომელიც ჩვენთან დადგენილი ყოვედღიური ნორმაა, ყველაზე ქვედა ზღვარია იმისთვის, რომ ადამიანმა სიცოცხლის უნარი შეინარჩუნოს. ლაპარაკი არ არის შრომისუნარიანობაზე, სრულფასოვნებაზე. ეს არის სიღარიბის ის ზღვარი, რომლის ▶**



იოსებ არჩვაძე:

## საქართველოს სჭირდება ორციფრიანი ეკონომიკური ზრდა

„ეს სცენარი მასშტაბურად განმეორდება უკრაინაშიც, რადგან უკრაინაშიც ანალოგიურად, დაწერილი დასავლური სცენარის მიხედვით მიმდინარეობს ბრძოლა მართლმადიდებლობასთან. ყველგან ერთი კვალი ჩანს, ერთი სცენარით მოქმედებს დასავლური კლანი და მათი პირველი სამიზნე მართლმადიდებლობაა.“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქვემოთ ადამიანი ველარ იარსებებს. 2003 წლის შემდეგ არც კალორიების დათვლა შეცვლილა.

განვითარებულ ქვეყნებში 2800 კილოკალორია პასიურად მცხოვრები ადამიანის რაციონია, ანუ იმის, ვინც არ მუშაობს, მაგრამ საღად აზროვნება სურს. ვინც კარგად ცხოვრობს, მისი ყოველდღიური კილოკალორია 3200-ს შეადგენს. ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში კი 2700 კილოკალორია დადგენილი ნორმაა. კალორიებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მინერალები ადამიანისთვის. ამაზე ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები აუცილებლად უნდა მუშაობდნენ.

**იოსებ არჩვაძე, სტატისტიკოსი:**

**— თქვენ წინა ხელისუფლების სტატისტიკური მონაცემებისადმი გულგრილ მიდგომაზე ხშირად საუბრობდით, როგორი ვითარებაა დღეს და არის თუ არა ახლი ხელისუფლება ამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახურის განვითარებით დაინტერესებული?**

— ის, რასაც წლების წინ ვამბობდი, დღესაც აქტუალურია. სტატისტიკურ მონაცემებში არაფერი შეცვლილა. სტატისტიკური სამსახური მაშინ არის მოწოდების სიმაღლეზე, როდესაც მას თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა აქვს. მეოთხედი საუკუნეა, ამ სამსახურში არავინ დაწინაურებულა.

სტატისტიკის სამსახურმა დღეს ფორმალური დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ, დამოუკიდებლად მუშაობა რომ შეძლოს, ამისთვის საჭიროა სტატუსი, დაფინანსება და ხელმძღვანელის კარგი რეპუტაცია, მან უნდა შეძლოს სტატისტიკის დაცვა ზეწოლისგან.

**— ბატონო სოსო, ამბობენ, რომ ეკონომიკა 6%-ით გაიზარდაო. ეს ბევრია თუ ცოტა? არის თუ არა ეს ციფრი იმხელა, რომ თითოეული მოქალაქის ყოფას სასიკეთოდ დაეტყოს?**

— პროცენტი რაც უფრო მაღალი იქნება, უკეთესია, მაგრამ ამას იგრძნობს ის კატეგორია, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ 6%-ის ფორმირებაში და იგრძნობს მაშინ, როდესაც ვნახავთ, თუ რა სახსრები წამოვა ბიუჯეტიდან სოციალურ პროგრამებზე. ბიუჯეტში ყოველი ერთი ლარიდან 25 თეთრი გათვლილია დახმარებაზე. 6%-იანი ზრდა ნიშნავს, რომ ბიუჯეტში მშპ-ს მატების 1,5% გვექნება. შედარებისთვის გეტყვით: **ჩვენი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯებიდან, რომელშიც შედის საგადასახადო შემოსავლები, საგარეო და საშინაო ვალები, ჯამში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 1100 დოლარი მოდის. მაშინ, როცა ეს ისრაელში 13000 დოლარია, ამერიკაში — 20000. ასე რომ, საქართველოში წარმოუდგენელია სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. საქართველოს სჭირდება ორციფრიანი ეკონომიკური ზრდა, სხვანაირად მოსახლეობას ეს სასიკეთოდ არ დაეტყობა.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



# მამა ელიზბარი (დიაკონიძე): უკრაინის რღვევა დასავლეთის მიერ საქართველოში ნაცადი სცენარით მიმდინარეობს

**უკრაინაში ვითარება დღითიდღე იძაბება. მთელი მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს, ყურადღება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისკენ არის მიმართული. რა გავლენას მოახდენს მსოფლიოს გეოპოლიტიკურ პროცესებზე უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და როგორ აისახება ეს საქართველოზე, „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა სამების ტაძრის დიაკონი, მამა ელიზბარ დიაკონიძე ესაუბრება.**

**— მამაო ელიზბარ, დღეს საქართველოსა და უკრაინას შორის ხშირად ავლებენ პარალელს. რა გავლენას მოახდენს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე?**

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ასე ნუ გავართულებთ სიტუაციას და ნუ ვიტყვით, რომ, თუ უკრაინაში ომი დაიწყება, ეს საქართველოშიც აუცილებლად ასე მოხდება. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გადავიტანეთ და ახლა მიხეილ სააკაშვილი ვითომ ჭკუას ასწავლის უკრაინელებს, როგორ მოიქცნენ. მინდა უკრაინელი ხალხი გავაფრთხილო, — ნუ მოუსმენენ ტვინგაწყალებულ სააკაშვილს, თორემ ცუდად წაუვათ საქმე. **ყველაფერი მარტივია, შეხედეთ, რა ხდება: დასავლელმა კლანებმა მოახერხეს და ორი უზარმაზარი მართლმადიდებელი ქვეყანა — რუსეთი და უკრაინა ერთმანეთს გადაამტერეს.**

**— ანუ, თქვენი აზრით, ვის ინტერესებში იყო უკრაინაში არეულობა, ვინ არის ყველაფერში დამნაშავე?**

— დასავლური წრეების, რომლებიც, უნდა ითქვას, არა მხოლოდ ამერიკასა და ევროპაში, არამედ რუსეთშიც მოქმედებენ და თავიანთ საქმეს აკეთებენ. ვიღაცებს შეიძლება ეცინებათ ამაზე, მაგრამ რეალურად, სწორედ მათი დამსახურებაა ეს კონფლიქტი ორ დიდ მართლმადიდებელ ქვეყანას — რუსეთსა და უკრაინას შორის. მიზეზი და მიზანი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი დასუსტებაა. რაც შეეხება კლიჩკოს, ეგ არაადამიანია, მისი დამსახურებაცაა, რაც დღეს უკრაინაში ხდება.

**უკრაინაც, საქართველოც უნდა იყოს დამოუკიდებელი ქვეყნები და კარგ ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მეზობლებთან.**

## «ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, «ნაციონალები» ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავენ»

**ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი.**

**— უკრაინაში გაძლიერდა იმ პოლიტიკოსების პოზიციები, რომლებსაც ახლო ურთიერთობა აქვთ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან. შესაძლოა თუ არა, საქართველოშიც ველოდოთ „უკრაინული გადატრიალების“ მცდელობას?**

— საშიშროებას ვერ ვხედავ, მაგრამ, თუ ასე გავაგრძელეთ, ხელისუფლებაში „ნაციონალების“ დაბრუნებას ხელს შევუწყობთ. რუსეთს კი აკრიტიკებენ, მაგრამ მივიღებთ ე. წ. რუსული სცენარის ანალოგს საქართველოში, როდესაც მედვედევმა დროებით შეცვალა პუტინი. ასე მოხდება საქართველოშიც. ამას წინათ ერთმა სერიოზულმა და ჭკვიანმა კაცმა (რომელსაც ვერ დავასახელებ) მითხრა, ერთი წელი არ გავა და ზურაბ ადეიშვილიც და სხვა „ნაციონალებიც“ დაბრუნდებიანო. სხვათა შორის, ეს ადამიანი პროკურატურაში მუშაობს და ბევრ ინფორმაციას ფლობს. კი არავის ვაშინებ, მაგრამ **ამ ადამიანმა გამაფრთხილა, გირჩევ, საერთოდ წადი ამ ქვეყნიდან, თორემ მათი დაბრუნების შემდეგ ძალიან ცუდი პროცესები წარიმართება საქართველოში, რადგან „ნაციონალები“, ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, აუცილებლად შურს იძიებენო.**

**ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავენ.**

**— უკრაინასა და საქართველოს შორის ბოლო დროს პარალელს ხშირად ავლებენ. თუ გავიხსენებთ, თავის დროზე შევარდნაძეც და სააკაშვილიც ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათი მიზანი რუსეთისგან საქართველოს გადარჩენა, თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო. მაგრამ რა მივიღეთ ბოლო ოც წელიწადში? მდარე ხარისხის გადაცემები, განათლების დაბალი დონე ახალგაზრდებში, გარყვნილების პროპაგანდა და ა.შ. იმავე სცენარით ხომ არ წარიმართება მოვლენები უკრაინაშიც?**

— უკრაინის რღვევა საქართველოში დასავლეთის მიერ გამოცდილი სცენარით მიმდინარეობს. წარმოიდგინეთ, რომ **ეს სცენარი მასშტაბურად განმეორდება უკრაინაშიც, რადგან უკრაინაშიც ანალოგიურად, დაწერილი დასავლური სცენარის მიხედვით მიმდინარეობს ბრძოლა მართლმადიდებლობასთან. ყველგან ერთი კვალი ჩანს, ერთი სცენარით მოქმედებს დასავლეთი და მათი პირველი სამიზნე მართლმადიდებლობაა.** შეხედეთ და გაანალიზეთ სხვა ქვეყნების მაგალითზე და ყველაფერში თავად დარწმუნდებით.

საქართველოში ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შევარდნაძემ დაიწყო, რომელიც დასავლური წრეების საუკეთესო წარმომადგენელია და დღესაც კრწანისის რეზიდენციაში ვინახავთ დიდი პატივით. ეს ყველაფერი შემდეგ სააკაშვილმა გააგრძელა. სინამდვილეში კი რა მივიღეთ? როგორც თქვენ აღნიშნეთ, ყველა სფეროში საგანგაშო სიტუაციაა. მართლაც უღირსი ადამიანების პარპაშს ვუყურებთ. უკრაინაშიც ხელისუფლებაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების დევიზით გულანთებული ნაციონალისტები მოდიან, მაგრამ ვეჭვობ, იქაც იგივე არ მოხდეს, რაც საქართველოში.

ამას წინათ მეკითხებოდნენ: — მამაო, გვეშველება რამეო? ჩვენ გვინდა, რომ გვეშველოს? თუ გვინდა და ძალისხმევას არ დავიშურებთ, გვეშველება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავ, საამისო სურვილს. საერთოდ კი, მინდა, ერთი რამ გითხრათ: **მეორედ მოსვლის ჟამს უფალი აუცილებლად გვკითხავს: ჩვენს სამშობლოს რომ უჭირდა, რა გავაკეთეთო, და ამაზე შეიძლება პასუხი ვერ გავცეთ...**

**— ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბრისას, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, ტრადიციების, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის შიში აქვს, განსაკუთრებით ეკლესიის წიაღში. ალბათ, სწორედ ამიტომ ევროკომისარმა შტეფან ფულემ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველოს გადასაწყვეტია, როგორ აისახება ევროპული ღირებულებები კანონმდებლობაში და არაფერს დაგვაძალებენ...**

— ელემენტარულ მაგალითს მოგიყვანთ: **ამას წინათ, იუსტიციის საბჭოში შეხვედრაზე გვითხრეს, ID ბარათებს თუ არ ავიღებთ, ევროკავშირში არ მიგვიღებენო. თუ ამის უფლებას არ გვაძლევენ, რომ ელემენტარულად ალტერნატიული საშუალება ავიღოთ, სხვა რაღაცების უფლებას მოგვცემენ?** რუსეთში, საბერძნეთში — ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში დაშვებულია ალტერნატიული საშუალება, რა დავაშავეთ, რომ მაინცდამაინც საქართველოში არ გვაძლევენ ამის ნებას? ამის მერე როგორ დავიჯეროთ, რომ სხვა დათმობაზე წამოვლენ და ჩვენს ტრადიციებსა და ღირებულებებს გაითვალისწინებენ?!

ესაუბრა **შორენა ციჳქარაშვილი**

# ბარაკ ობამას წერილი საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წერილი გამოუგზავნა. წერილში აშშ-ის პრეზიდენტი ხაზს უსვამს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან წარმატებულ თანამშრომლობას და იმედს გამოთქვამს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჰააგაში, ბირთვული უსაფრთხების მესამე სამიტის ფარგლებში შეხვდება.**

„მოუთმენლად ველი ამ სამიტსა და ჩვენი მასპინძლების მიერ შემუშავებულ ინტერაქტიულ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ვიმედოვნებ, რომ შეგხვდებით ამ სამიტის ფარგლებში. 2010 წელს ვაშინგტონში და 2012 წელს სეულში გამართული ისტორიული მნიშვნელობის შეხვედრების შემდეგ ჩვენ გადავდგით იმედისმომცემი ნაბიჯები მსოფლიოში ბირთვული მასალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ინდივიდუალური და ერთობლივი შესაძლებლობების განსამტკიცებლად. ამასთანავე, ჩვენ თითქმის ყოველდღიურად გვახსენებენ, რომ ტერორიზმის საშიშროება რეალურია და ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ ბირთვული ტერორიზმის გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. 2014 წლის სამიტი წარმატებული იქნება და ჩვენ უკეთ დავიცავთ ადამიანებს მსოფლიოში ბირთვული ტერორიზმისგან“, — ნათქვამია წერილში, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა ბარაკ ობამასგან მიიღო.

**ცნობისთვის:**

ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტი ჰააგაში 23-25 მარტს გაიმართება. სამიტზე მიწვეულნი არიან 53 სახელმწიფოს პირველი პირები და მთავრობის მეთაურები, ასევე ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბირთვული უსაფრთხოების სამიტს 5 ათასზე მეტი დელეგატი ჰყავს, მათ შორის აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ასევე, ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის პრეზიდენტი მანუელ ბაროზო. სამიტში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. **პირველი ამგვარი სამიტი 2010 წლის 12-13 აპრილს მოეწყო ვაშინგტონში, მეორე კი — 2012 წელს სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში.**



მოკლედ

# საქართველოს მთავრობა ელექტრონული მმართველობის განვითარებას იწყებს

**სახელმწიფო სერვისების ხალხთან დაახლოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების მიზნით, საქართველოს მთავრობა ელექტრონული მმართველობის განვითარებას იწყებს.**

იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის წევრებს 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმა და სტრატეგია „ციფრული საქართველო“ გააცნო, რომელიც 11 პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს. კომისიის მიზანი ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების მეშვეობით ელექტრონული მმართველობის განხორციელების საკითხების კოორდინირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლევან ყარამანიშვილი და მისი დამქაში ვითომ ბიზნესმენები ყოველდღე მემუქრებოდნენ, მაგინებდნენ, ლიკვიდაციითაც კი ცდილობდნენ ჩემს შეშინებას. კრიმინალურმა ბანდამ — სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა და სხვებმა ბიზნესმენთა გატყავებითა და საცვლების ამარა დატოვებით მილიონები ჩაიჯიბეს!“**



# მამია სანადირაძე: მიმდინარეობს წართმეული ქონების გადანაწილება ახალ და ძველ ხელისუფლებებს შორის!

**ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ წელიწად-ნახევარი გავიდა, მაგრამ მისი დაპირება სამართლიანობის აღდგენის თაობაზე დაპირებად რჩება. სააკაშვილის ხელისუფლებისგან დაზარალებულ და სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ადამიანებს მოთმინების ფიალა ამოეწურათ და თაროზე შემოდებული საქმეების გამოუძიებლობის გამო საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებენ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაძარცულმა ბიზნესმენმა МАМИА** 

**მამია სანადირაძემ ასეულობით დაზარალებული ბიზნესმენი შემოიკრიბა და სამართლის აღდგენამდე ქუჩაში, კერძოდ, კანცელარიის შენობასთან, აპირებენ საპროტესტო აქციის გამართვას.**

— 1999 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი დავამთავრე და იმთავითვე ვაცნობიერებდი, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის ინტერნეტს. ინტერნეტკომპანია „კავკასუს ონლაინი“ 2000 წელს შევქმენით. იმხანად 17 კომპანია გვიწევდა კონკურენციას, მათგან 5 შევისყიდეთ და 2006 წელს ჩამოვყალიბდით, როგორც დომინანტი კომპანია — საქართველოში მომხმარებლის 90 პროცენტს ჩვენ ვაწვდიდით ინტერნეტს. პრობლემა იყო ის, რომ ჩვენი ქვეყანა საკაბელო ინტერნეტს რუსეთიდან და თურქეთიდან იღებდა და ამაში დიდძალ თანხას გვართმევდნენ. ინტერნეტში ასჯერ ძვირს ვიხდიდით, ვიდრე ღირდა ევროპაში, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა, რადგან სხვა მომწოდებელი არ გვყავდა. თანაც, ძალიან ცუდი ხარისხის ინტერნეტი მოგვდიოდა; მაგალითად, ერთი ფილმის გადმოწერას მთელი დღე სჭირდებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ინტერნეტი ევროპის რომელიმე ქვეყნიდან გვეყიდა. ევროპაში ინტერნეტი ასჯერ უკეთესი ხარისხის იყო და შედარებით ასჯერ იაფიც. ვინაიდან საქართველოს ცენტრალურ ევროპასთან სახმელეთო საზღვარი არ აქვს, ერთადერთი შესაძლებლობა იყო ზღვით დაკავშირება. გადავწყვიტე, მოვლაპარაკებოდი ბულგარეთს ან რუმინეთს, შავი ზღვის ფსკერზე ჩაგვეფლო ინტერნეტკაბელი და საქართველო ევროპის ინფრასტრუქტურისთვის მიმეერთებინა. ეს ძალიან ძვირი და რთულად გასახორციელებელი პროექტი იყო.

საბოლოოდ გადავწყვიტეთ, ბულგარეთიდან გამოგვეყვანა ინტერნეტკაბელი. ბევრი ვიწვალეთ, უამრავი ნებართვა ავიღეთ და დავიქირავეთ ამერიკული კომპანია, რომელიც ლიდერი იყო ზღვის კაბელების ინსტალირებაში. გადავუხადეთ 40 მილიონი დოლარი, რომელიც დიდი ძალისხმევის შემდეგ ინგლისის საინვესტიციო ფონდმა გვასესხა. ამერიკელებმა 1200-კილომეტრიანი კაბელი ზღვის ფსკერზე გაიყვანეს. 2008 წლის ნოემბერში დასრულდა სამუშაოები და საქართველოს მაღალი ხარისხის ინტერნეტი მივაწოდეთ. ხალხმა ამოისუნთქა და უამრავი აბონენტიც შევიძინეთ. შესაბამისად, შემოსავალიც ძალიან გაგვეზარდა. ეს ძალიან არ მოსწონდათ კონკურენტებსა და სააკაშვილის ხელისუფლებას, რადგან მათ კონტროლს დაქვემდებარებული ბიზნესმენი არ ვიყავი. ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მუშაობას განვაგრძობდი — აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტერნეტით მომარაგებაც მე ვითავე. მივიერთეთ ირანიც, ოღონდ სრულად — ვერა.

„კავკაზუს ონლაინის“ კონკურენტი კომპანია იყო „სილქნეტი“, რომლის მეპატრონეც გახლავთ გიორგი რამიშვილი, მეტსახელად „ზარალა“. ის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მეტად დახლოებული პირი იყო. **„ზარალა“ ხედავდა ჩვენი კომპანიის აღმასვლას და ჩვენ წინააღმდეგ აკძალული მეთოდებით ბრძოლა დაიწყო. ყოველდღიურად გვიზიანებდნენ აპარატურას, ჭრიდნენ ჩვენს კაბელებს, არ გვიშვებდნენ საკომუნიკაციო ჭებში, რომლებიც მხოლოდ მათ ჰქონდათ და ვალდებულნი იყვნენ, მოგვემსახურებოდნენ. ამ ყველაფერს „სილქნეტი“ და „ნაცმოძრაობა“ დუეტში აკეთებდა,** მაგრამ მუშაობას მაინც განვაგრძობდით.

ამ პატარ-პატარა ხრიკებით რომ ვერ გაგვანადგურეს, **2009 წლის შემოდგომაზე დაიწყეს ჩვენი კომპანიის კაბელების გადაჭრა თბილისის მასშტაბით. ხელში ჩაიგდეს ჩვენი ქსელის სქემა, რაც შს სამინისტროსა და მერიის საზედამხედველო სამსახურის დამსახურებაა — გიგი უგულავა, ივანე მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი... — ყველა ერთად გვებრძოდა.**

შემდეგ ჩვენს კომპანიაში შემოვიდა საგადასახადო პოლიცია, რომელმაც 5 წლის მასალები შეამოწმა. დარღვევა რომ ვერ გვიპოვეს, შარი მოგვდეს, 5 წლის განმავლობაში ინტერნეტს იაფად რატომ ყიდდით, უფრო ძვირად რომ გაგვეყიდათ, სახელმწიფო 5 წლის განმავლობაში 11 მილიონი ლარით მეტ დღგ-ს მიიღებდაო. არადა, „სილქნეტი“ და ჩვენი კომპანია ერთ ფასში ვყიდდით ინტერნეტს. მოკლედ, დამაკისრეს 11 მილიონი ლარის გადახდა. წავედი ბანკში ამ თანხის სასესხებლად, მაგრამ უარით გამომისტუმრეს...

გარდა ამისა, **მარეგულირებელი კომისია მაჯარიმებდა ათას სისულელეზე. მაგალითად, როდესაც ოფისი გამოვიცვალეთ, შარი მოგვდეს, რატომ დროულად არ შეგვატყობინეთ ახალი მისამართიო და ამის გამო 270 ათასი ლარით დამაჯარიმეს.** ჯამში, 2 თვის განმავლობაში 660 ათასი ლარით დაგვაჯარიმეს. კომპანია კატასტროფის წინაშე დადგა. იყო მუქარები, თანაც ვხედავდი, რომ უამრავ ბიზნესმენს აპატიმრებდნენ. მოკლედ, **სააკაშვილის ხელისუფლებამ შემომითვალა, შენი კომპანიის 50 პროცენტი დათმე და შეგეშვებითო. დავთანხმდი. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ყველაფერსაც წამართმევდნენ და ციხეშიც აუცილებლად მიკრავდნენ თავს.**

**— ვის გადაეცით კომპანიის ნახევარი?**

— „ჯი ემ სი ჯგუფს“, რომელიც დღესაც არსებობს. ეს არის სააკაშვილთან დაახლოებული ყაჩაღური დაჯგუფება, რომელიც დაკავებული იყო ბიზნესმენების ძარცვითა და მათი ქონების ხელში ჩაგდებით.

**— ვინ არის „ჯიემსი ჯგუფის“ მფლობელი?**

— ხვიჩა მაქაცარია და ლევან ყარამანიშვილი, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელიცაა. **ლევან ყარამანიშვილი და მისი ძმა სააკაშვილის ახლო მეგობრები არიან, უნივერსიტეტში ერთად სწავლობდნენ...**

**„კავკაზუს ონლაინის“ აქციების 80 %-ის მფლობელი ვიყავი. ჯერ 50 % მომთხოვეს, შემდეგ — 30-იც და მივხვდი, რომ მატყუებდნენ, ამიტომ მოვკიდე ცოლსა და ოთხ შვილს ხელი და საქართველოდან გავიქეცი. რომ დავრჩენილიყავი, სხვა ბიზნესმენებივით დამაპატიმრებდნენ.**

**— ანუ აქციების 30 პროცენტიც გადაუფორმეთ?**

— მოგვიანებით გადავუფორმე. რა მექნა? **ლევან ყარამანიშვილი და მისი დამქაში ვითომ ბიზნესმენები ყოველდღე მემუქრებონენ, მაგინებდნენ, ლიკვიდაციითაც კი ცდილობდნენ ჩემს შეშინებას. კრიმინალურმა ბანდამ — სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა და სხვებმა, ბიზნესმენთა გატყავებითა და მათი საცვლების ამარა დატოვებით მილიონები ჩაიჯიბეს.** დღეს ამბობენ, სააკაშვილის 8 მილიარდის ოდენობის ქონება მოიპარაო, ვანო მერაბიშვილმა — 4 მილიარდისო და ა. შ. მათ მიერ ნაწამებ და მოკლულ ადამიანებზე აღარაფერს ვამბობ.

ეს ყაჩაღები, რომლებიც ქართველი ხალხის ცრემლსა და სისხლზე აღზევდნენ, დღეს ისევ ხელშეუხებლად ბოგინობენ, კვლავ გამოუძიებელია მათი საქმეები. ჩემი საქმე, წელიწად-ნახევარია, პროკურატურაში დევს მთელი რიგი მტკიცებულებებითა და ჩანაწერებით, მაგრამ რა აზრი აქვს? იმ ხნის განმავლობაში, რაც მემუქრებოდნენ, **ფარული ჩანაწერები ვაწარმოე და პროკურატურაში მივიტანე. მოისმინეს გამომძიებლებმა და ერთხმად თქვეს, სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ხელყოფაა ქონებისო, მაგრამ ხელი არ გაუნძრევიათ. დამნაშავეები დღესაც ბოგინობენ, კარგი ურთიერთობა აქვთ ახლანდელ მთავრობასთან და ვეჭვობ, რომ მიმდინარეობს წართმეული ქონების გადანაწილება ახალ და ძველ ხელისუფლებას შორის.**

**— თქვენ რა თანხით დაგაზარალეს?**

— ჩემს 80-პროცენტიან წილს ვაფასებდი 120-150 მილიონ დოლარად, მაგრამ „ჯიემსი ჯგუფმა“ 13 მილიონი გადამიხადა, სხვანაირად იმ წილებს, რომლებიც დამათმობინეს, ვერ გადაიფორმებდნენ, რადგან ჩემი კომპანია ოფშორულ ზონაში იყო რეგისტრირებული. „ჯიემსი ჯგუფი“ ბოლო წელიწად-ნახევარია, ჭორებს ყრის, ვითომ კიდევ 80 მილიონი დოლარი გადამიხადეს. ეს რომ გაეკეთებინათ, ერთი ფურცელი ხომ მაინც იარსებებდა, რომელზეც ეწერებოდა, რომ გადამიხადეს, ან საბაკნო ანგარიში, რომელშიც ეს ყველაფერი რეგისტრირებული იქნებოდა. ამ სისულელეს ამჟამინდელი მთავრობა რატომღაც იჯერებს და არ იწყებს ჩემი საქმის გამოძიებას.

**— რას აპირებთ?**

— დღეს რომც დავიბრუნო კომპანია, მისი დავალიანება ამ კომპანიის ღირებულებას აღემატება. **სწორედ ჩემი კომპანიიდან გაიტანეს 35 მილიონი ლარი ყვითელი სამარშრუტო ტაქსების შესაძენად. ასევე, ჩემი კომპანიიდან გაათეთრეს ფული ოფშორულ ზონებში და ასე გააცამტვერეს ჩემი 10-წლიანი შრომა, რომელიც ამ კომპანიის შენებას მოვანდომე.**

**— დღეს ვის ხელშია „კავკასუზ ონლაინი“?**

— „ჯიემსი ჯგუფის“ ხელში. იმედია, ადრე თუ გვიან, პროკურატურა დაიწყებს გამოძიებას და ყარამანიშვილებს და მის თანამზრახველებს დააპატიმრებს. უამრავი გაძარცული ბიზნესმენი უკვე დემორალიზებულია. როდესაც დაგჩაგრავენ, წაგართმევენ, დაგაპატიმრებენ, სამართალს ვერ პოულობ და ამ ყველაფერის შემდეგ შენივე არჩეული ხელისუფლება შენს მძარცველებს დაიცავს, მორალურად იმსხვრევი და აღარაფრის თავი აღარ გაქვს. მეტიც — ვიცი, **რამდენიმე დაზარალებული ბიზნესმენი მიუვარდა თავის მძარცველს და ახლანდელმა სამართალდამცავებმა მაინც დაზარალებული დააპატიმრეს, ასე მოქცევა არ შეიძლებაო.**

**— კონკრეტულად ვინ?**

— იყო ასეთი შემთხვევები და გამგები გაიგებს. ამჟამინდელ ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ასეთი საქციელი ქვეყანაში ქაოსს გამოიწვევს. **ძალიან მალე დავიწყებთ მასშტაბურ აქციებს მოთხოვნით, რომ სახელმწიფომ აღასრულოს კანონი და ქვეყანაში დაამყაროს სამართლიანობა.**

სახელმწიფომ დაიცვას კანონი და სისხლის სამართლის დანაშაულები გამოიძიოს — მეტს არაფერს ვითხოვთ. დიახ, სამართლის მძებნელი ხალხი ვერთიანდებით, რომელთა ორგანიზატორიც მე ვარ. მე ვიბრძვი ჩემი ქონებისთვის, ჩემი შვილებისა და ქართველი ხალხის მომავლისთვის. გავდივართ კონსულტაციებს, როგორ ვაიძულოთ მმართველი ძალა, სამართლიანობა აღადგინოს. სხვა გზა არ დაგვიტოვეს, რადგან ყველა საქმე თაროზეა შემოდებული. **ამჟამინდელი ხელისუფლება მოქმედებს პრინციპით „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი!“. ვინც მთავრობაშია, მათ თავიანთი ქონება დაიბრუნეს, ნათესავების რეაბილიტაციაც მოახდინეს, ხოლო ჩვენ, ვისაც პატრონი არ გვყავს, კიდევ ერთხელ დავრჩით მოტყუებული, ამიტომაც თვითონ ვიწყებთ ჩვენი უფლებებისთვის ბრძოლას.**

ამ ხელისუფლებას ერთი რამ ავიწყდება ან ივიწყებს: როდესაც გსურს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება, კრიმინალები უნდა მოათავსო იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეკონომიკა არ ადარდებთ და ამიტომაც დათარეშობენ დაუსჯელად ის ადამიანები, რომლებმაც წლების განმავლობაში მშრომელი ადამიანების სისხლსა და ცრემლზე მილიონები ჩაიჯიბეს. ხალხიც არ უნდა მოტყუვდეს და **ნურავის ეგონება, რომ ერთი-ორი მილიარდერი და ოლიგარქი ააშენებს ქვეყანას.** ისიც ნურავის ეგონება, რომ გაძარცული ქართველი ბიზნესმენები, მსხვილი და წვრილი მეწარმეები დროთა განმავლობაში მიყუჩდებიან და პრობლემა ამით მოგვარდება. **არ ვაპირებთ გაჩერებას. ეს ხალხი ადრე თუ გვიან გამოფხიზლდება და წალეკავს იმ ძალას, რომელიც კანონიერებასა და სამართლიანობას ეწინააღმდეგება.**

**— ბიძინა ივანიშვილთან არ მოითხოვეთ შეხვედრა?**

— წელიწად-ნახევარია, ამას ვითხოვ, მაგრამ რა აზრი აქვს? თუმცა 9 თვის წინ შემთხვევით კი შევხვდი ტელეკომპანია „კავკასიის“ წვეულებაზე... მოკლედ, ივანიშვილი ამ პრობლემას გაურბის...

**— ანუ?**

— მიაჩნია, რომ ამ საქმის მოგვარება ძალიან რთულია, არადა, რთული არ არის. როდესაც ჩემი მდგომარეობა ავუხსენი, მითხრა, ყველაფერი კარგად იქნება და ბიზნესი დაგიბრუნდებაო, მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ 9 თვე გავიდა.

**— ამ საპროტესტო აქციებით მიაღწევთ მიზანს?**

— აუცილებლად, რადგან ჩვენ მართალი ხალხი ვართ, ძალა კი სიმართლეშია.

**— სად აპირებთ აქციების გამართვას?**

— ჯერ — კანცელარიასთან, შემდეგ ვნახოთ...

> **«რამდენიმე დაზარალებული ბიზნესმენი მიუვარდა თავის მძარცველს და ახლანდელმა სამართალდამცავებმა მაინც დაზარალებული დააპატიმრეს, ასე მოქცევა არ შეიძლებაო»**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„იმას, რომ დღევანდელი თაობა ქართულად ვერ ლაპარაკობს, რუსეთს ვაბრალებთ? რატომ არ აღადგინეს ენის პალატა? ინგლისურენოვანი აბრებით რომ არის აჭრებელი მთელი ქალაქი, ესეც რუსეთის ბრალია?“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამირან ქადაგიშვილი: «ნაციონალებს» შეკვეთილი აქვთ ათი ათასი დროშა თავისი ტარებით, ანუ მზად არიან ქუჩაში გამოსასვლელად

**1993 წელს ეკონომიკური რეფორმების დარგში საქართველოს ვიცეპრემიერი იყო. თუმცა, რამდენიმე თვეში თანამდებობა თავისი სურვილით დატოვა. საბანკო-საფინანსო და ეკონომიკის სფეროებში სსრკ-ის მასშტაბით საუკეთესო სპეციალისტად აღიარეს. პროფესიით ფიზიკოსია და 10 წლის განმავლობაში ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა. საქართველოში პირველი კოოპერატივი მან ჩამოაყალიბა, შემდეგ — პირველი კომერციული ბანკი და პირველი ბირჟა. მისი წინადადებით ჩაუშვეს მიმოქცევაში კუპონი — ეს პიროვნება გახლავთ ბატონი ამირან ქადაგიშვილი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმმა 11 წლით აღუკვეთა თავისუფლება, 2012 წლის 10 ნოემბერს კი ახალმა ხელისუფლებამ გაათავისუფლა, როცა უკვე 8 წელი და 4 თვე მოხდილი ჰქონდა... სააკაშვილის ხელისუფლებამ ბატონ ამირანს არ აკმარა ციხეში უკანონოდ ჯდომა და უფროსი ვაჟი — არჩილი და მეუღლე, ქალბატონი ნანა ქადაგიშვილიც, დააპატიმრა, მეორე ვაჟს კი, დაუსწრებლად, 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სამწუხაროა, რომ ქადაგიშვილების ოჯახმა სამართალი ვერც ახალი ხელისუფლების პირობებში იპოვა...**



## «ქართველი ხალხი არ დაუშვებს საქართველოში გეიაღლუმის ჩატარებას!»

— სააკაშვილის რეჟიმის მიერ დატერორებულ უამრავ ადამიანს შორის არის 200-ზე მეტი პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი. ამ ადამიანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში, იმ გამარჯვებაში, რომელსაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მივაღწიეთ. მე 2004 წლის ივლისში დამაპატიმრეს, საპყრობილეში 8 წელი და 4 თვე გავატარე. ჩემთან ერთად დააპატიმრეს უფროსი ვაჟი არჩილი, მოგვიანებით კი — ჩემი მეუღლე ნანა, ხოლო უმცროს ვაჟზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოაცხადეს.

**— რატომ გადაგემტერნენ?**

— **2003 წელს, „ვარდების რევოლუციამდე“, ჩემთან მოვიდა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე, რომელმაც პარტიის დაფინანსება მომთხოვა.**

ვუპასუხე, რომ სააქციო საზოგადოებიდან ფულს პირდაპირ ვერ მოგცემთ, ამ საკთხს საბჭოს სხდომაზე გავიტან და პასუხსაც გაგაგებინებ-მეთქი. უკმაყოფილო წავიდა თარგამაძე... ამის გამო, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაშინვე გადამემტერნენ. არადა, **მეგონა, სააკაშვილი ქვეყნის საკეთილდღეოდ იმოქმედებდა, ჰქონდა ამის შანსი და ისტორიაშიც კარგი სახელით შევიდოდა, მაგრამ მან ამ ყველაფერს დიდძალი ფულის მითვისება ამჯობინა.** მე და ჩემი ოჯახი სააკაშვილის პირველი მსხვერპლი აღმოვჩნდით, თუმცა ათასობით ადამიანი უკან მოგვაყოლეს. **2012 წლის არჩევნების შემდეგ პროკურატურაში 22 ათასზე მეტი საჩივარია შევიდა „ნაციონალური“ რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად, მაგრამ ამ ყველაფერზე რეაგირება არ ჩანს.**

სამწუხაროდ, **მოლოდინი იმისა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგებოდა, არ გამართლდა.**

პატიმრობიდან 2012 წლის 10 ნოემბერს გავთავისუფლდი. 5 დეკემბერს კი პარლამენტმა გამოაქვეყნა პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სია, თუმცა ამ სიაში არ შემიყვანეს იმის გამო, რომ პატიმარი აღარ ვიყავი. პოლიტპატიმრის სტატუსის გარეშე დატოვეს თემურ ჟორჟოლიანი, ნორა კვიციანი, მაია თოფურია და ა. შ. ჩემი შვილი მოხვდა პარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ სიაში და ოფიციალურად იქნა აღიარებული პოლიტდევნილად. არადა, მთელი ოჯახი ერთსა და იმავე საქმეზე ვართ დაპატიმრებულნი და პოლიტპატიმრის სტატუსი ავტომატურად ჩვენზეც უნდა გავრცელებულიყო, არც ნასამართლეობა მომიხსნეს. პარლამენტს უნდა ეზრუნა დაზარალებულ ხალხზე, პოლიტპატიმრებზე, მათთვის უნდა დაებრუნებინათ ჩამორთმეული ქონება და ა. შ. ასევე, უნდა დამდგარიყო უკანონო განაჩენის გამომტანი მოსამართლეების, პროკურორებისა და გამომძიებლების პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ ეს ყველაფერი არ მოხდა. ამის მიზეზი კი კოაბიტაციაა, რომლის დასრულებაზეც საუბრობდნენ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთანავე, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს არ მოხდა. **ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა და ახალი ხელისუფლებისგან, რეალურად კი მივიღეთ ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იწყებს ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენას.**

ყველანაირად დამაზარალეს, ყველაფერი ჩამომართვეს. არ ვითხოვ იმ თანხის დაბრუნებას, რომელიც დამიყადაღეს და თავიანთ სასარგებლოდ ჩამომაწერეს. პირველ რიგში, **ამ ხელისუფლებისგან ვითხოვ ჩემი ბინის დაბრუნებას, რომლიდანაც უკანონოდ გამომასახლეს — 4 მცირეწლოვანი შვილიშვილი გამომიყარეს ქუჩაში.**

**— ვინ წაგართვათ?**

— **ჩემი ბინა ბაჩო ახალიას თანამშრომლის, რატი მგელაძის ცოლის — ლელა მითაიშვილის სახელზეა გაფორმებული.** ამ ადამიანმა პროკურატურაში აღიარა, — ეს ბინა, მე კი არა, ტელეკომპანია „25-ე არხის“ ხელმძღვანელ, გია სურმანიძეს ეკუთვნის, ჩემს სახელზე კი ფორმალურად არის გაფორმებულიო. ლელა მითაიშვილი და გია სურმანიძე კი დეიდაშვილები არიან. **სხვათა შორის, რატი მგელაძე დღესაც თავდაცვის სამინისტროში მუშაობს.**

მოკლედ, სამინისტროებსა და პროკურატურაში სირბილით რომ ვერაფერს გავხდით, უკანონო პატიმრებმა გადავწყვიტეთ, შევკრებილიყავით და გამოგვეთქვა პროტესტი. ამით ჩვენს უფლებებს თვითონ ვიცავთ. დავაარსეთ მოძრაობა „ანტინაცი“, რომლის საინიციატივო ჯგუფმა კინოს სახლში მოაწყო უკანონო პატიმრებისა და პოლიტრეპრესირებულთა შეკრება. მივიღეთ რეზოლუცია და დავწერეთ მიმართვა პრეზიდენტის, პრემიერმინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე. ამ მიმართვაზე რეაგირებისთვის კანონი ათ დღეს ითვალისწინებს, მაგრამ არ მაქვს იმედი, რომ ამ საკითხებს ათ დღეში გადაწყვეტენ, ამიტომ მოგვიწევს აქციის გაგრძელება.

**ჩვენი ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის წევრს, ზაალ ჟვანიას, უკანონო განაჩენით ჩამოართვეს ბინა და ახლა ამ უკანონო განაჩენის აღსრულების პროცესი მიმდინარეობს. ის ამ დღეში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩააგდო, მაგრამ დღეს აღსრულებას ვინ აკონტროლებს? დღეს ეს რატომ უნდა ხდებოდეს, როდესაც „ნაციონალები“, წელიწადნახევარია, ხელისუფლებაში აღარ არიან?!** რა ხდება, ვერ გამიგია, **წავიდნენ კი „ნაცები“ ხელისუფლებიდან?** სასამართლოც, იუსტიციის საბჭოც მაგათია, პროკურატურაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგალითად, **ახლახან იუსტიციის საბჭოს წევრად შეიყვანეს ის ადამიანი, რომელიც ჩემი საქმის ზედამხედველი პროკურორი იყო და რომელმაც ფალსიფიკაცია მოახდინა იმ ნივთმტკიცებულებების, რომელთა საფუძველზეც გამასამართლეს. ეს გახლავთ თამარ ალანია.**

როგორ შეიძლება, ეს ადამიანი იყოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და სამართლიანობის აღდგენას ველოდოთ?! **ხოლო ვაჟა ფანოზიშვილი, რომელიც ჩემი საქმის გამომძიებელი იყო, დღეს თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეა.**

**— ამ აქციებით მიაღწევთ მიზანს?**

— აუცილებლად. სიმართლე ჩვენ მხარეზეა, ძალა კი ერთობაშია. ხელისუფლება ვალდებულია, ჩვენი საქმეები გამოიძიოს, მაგრამ ამის გაკეთება არ სურს. ამასობაში, **„ნაციონალებს“ დაკვეთილი აქვთ ათი ათასი დროშა თავისი ტარებით, ანუ მზად არიან ქუჩაში გამოსასვლელად...**

**— ბატონო ამირან, დღეს საქართველოს ეკონომიკა რა მდგომარეობაშია?**

— ჩვენი ეკონომიკა არც „ნაციონალების“ მმართველობის დროს ყვაოდა და არც ახლა ყვავის. „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ეკონომიკა მონოპოლიზებული იყო და ხეირობდა მხოლოდ ის, ვინც მათი დამქაში იყო. დღეს კი არაფერი შეცვლილა. აღსანიშნავია ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რაზეც არც „ნაციონალები“ იღებენ ხმას და არც ხელისუფლება — ეს არის ლარის კურსის ვარდნა. ახალი წლის წინა დღეებში ლარის კურსი ყოველთვის მყარდებოდა, წელს კი დაეცა, რაც პირველი შემთხვევაა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ეს ყველაფერი, ჩემი ვარაუდით, ხელოვნურად გაკეთდა. **ეროვნული ბანკი კვლავ „ნაციონალების“ ხელშია და, სავარაუდოდ, ეს მაქინაცია მათი გაკეთებულია, თუმცა ლარის კურსის დაცემა ხელისუფლებასაც აძლევდა ხელს, რადგან ეროვნული ვალუტის გაუფასურებით ბიუჯეტი უფრო იოლად შეივსებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ ამ მაქინაციით ისევ „ნაციონალებმა“ იხეირეს, რადგან ეროვნულ ბანკში ისევ მათი ხალხია, ფინანსურ მონიტორინგსა და ბანკებშიც მათი ხალხი მუშაობს.**

აი, ასეთი მეთოდებით აპირებენ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას. **დღეს საქართველოში მცოცავი ინფლაციაა, რომელიც ცუდად აისახება ჩვენს ყოფაზე.**

რა დღეშია ეკონომიკა? არადა, შესანიშნავი ეკონომისტები გვყავს. მაგალითად, ლადო პაპავა. რატომ გაუშვეს უნივერსიტეტის რექტორად? დაენიშნათ მთავრობის მრჩევლად ეკონომიკის საკითხებში. სხვა თუ არაფერი, რჩევებს მაინც მისცემდათ. მეც მივცემ ეკონომიკის სამინისტროს ერთ რჩევას: **საქართველოს ეკონომიკას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეშველება, თუ მცირე მეწარმეს მიეცემა მუშაობის საშუალება. თუ მცირე მეწარმეს არ მიეცემა მუშაობის საშუალება, ქართული ეკონომიკა განწირულია. ეკონომიკის ხერხემალი მცირე მეწარმეა.**

**— რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს...**

— ამდენწლიანი ბრძოლის შემდეგ რა მივიღეთ? სულ ვილაცას ვებრძვით, ვილაცას ვაბრალებთ და საბოლოოდ ჩვენს ქვეყანაში რა ხდება? **გეიაღლუმებისა და ქართული ენის წაბილწვისთვის ვიბრძოდით?** სად გაქრა ეროვნულობა? დღეს ხალხის სურვილია, ქვეყანაში ეროვნული ფასეულობები იყოს დაცული და მეც ამისთვის ვიბრძვი. **რა უნდა ჩვენს ქვეყანაში გეიაღლუმებს? სხვათა შორის, ლგბტ-ს წარმომადგენლებს არაქართული თვისება აქვთ. როდესაც სომეხს ან ებრაელს დანიშნავ მაღალ თანამდებობაზე, თავის გარშემო აუცილებლად თავისი ეროვნების ხალხს შემოიკრებენ ხოლმე. ზუსტად ასე იქცევიან გეებიც.** ეს ადამიანები წარმოადგენენ არაბუნებრივ უმცირესობას და მათ საზოგადოება უნდა მფარველობდეს, მაგრამ მათი ცხოვრების წესის პროპაგანდას არავინ უნდა ეწეოდეს. პუტინმა რუსეთში ორი უძლიერესი კანონი მიიღო. ერთი — ლგბტ-ს წინააღმდეგ, რომლებსაც არსად აჭაჭანებს და ეს ადამიანებიც ვერ ახვევენ თავიანთ მოსაზრებებს საზოგადოებას თავს, ხოლო მეორე ის, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ჩვენთან კი ამ მხრივ რა ხდება? **გეებს თავი რომ დავანებოთ, რა ხდება სინოდში ან რა მცდელობები აქვთ ჩვენი პატრიარქის წინააღმდეგ?** ამ ყველაფრის მიუხედავად, დღეს პატრიარქს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, რაც ზოგიერს აგონიაში აგდებს. **მალე 17 მაისიც მოვა და მოხდება ანალოგიური რამ, რაც შარშან მოხდა. ქართველი ხალხი არ დაუშვებს საქართველოში გეიაღლუმის ჩატარებას!**

რაც მთავარია, რუსეთთან უნდა დავამყაროთ კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ვინ არის ჩვენი მტერი — რუსეთი? ამერიკა? **იმას, რომ დღევანდელი თაობა ქართულად ვერ ლაპარაკობს, რუსეთს ვაბრალებთ? რატომ არ აღადგინეს ენის პალატა? ინგლისურენოვანი აბრებით რომ არის აჭრებელი მთელი ქალაქი, ესეც რუსეთის ბრალია?** ამის აკრძალვას ხომ ერთი კანონის მიღება სჭირდება და მეტი არაფერი? **ან სასკოლო პროგრამა რა დღეშია, ამას რატომ არ აქცევენ ყურადღებას?**

ჯერ ქართული ენა და ლიტერატურა ასწავლონ მომავალ თაობას და შემდეგ — უცხო ენები. ჩვენ უნდა დავიცვათ ეროვნული და დემოკრატიული ფასეულობები, თუ გვინდა კარგი ცხოვრება. ამას ჩვენ ნაცვლად არავინ გააკეთებს!

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც სასულიერო პირებს ხვრეტდნენ, მაშინ ეკლესია ძლიერდებოდა. დღეს კი ბევრად უფრო საშიში ვითარებაა, ქვეყნის წამყვანი პარტიის წამყვანი წევრი პატრიარქზე პარლამენტის ტრიბუნიდან ქილიკობს.“**



# სოსო ცინცაძე: საქართველოშიც და უკრაინაშიც სააკაშვილს რუსეთის წინააღმდეგ იყენებენ

**უკრაინაში მიმდინარე პროცესებში ლამის პირველკაცის როლს ასრულებს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რადგან მან „რევოლუციურ“ დავალებას თავის დროზე კარგად გაართვა თავი. დამკვეთები და სცენარი არ შეცვლილა, მხოლოდ სახეები და სახელები შეიცვალა. შევეცადეთ, გაგვეგო, რა გამოცდილება შესძინა საქართველოს 20-წლიანმა წარუმატებელმა სვლამ და რა მსგავსებაა უკრაინაში ახლადდაწყებულ პროცესებსა და საქართველოში უკვე განვითარებულ პროცესებს შორის. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო სოსო, ყველაფერი, რასაც შევარდნაძე და სააკაშვილი აკეთებდნენ, ხალხს მიეწოდებოდა ისე, თითქოს რუსეთისგან ქართული, ეროვნული თვითმყოფადობის, რწმენის, ენის, სულიერების გადასარჩენად იყო გამიზნული. მათი მტკიცებით, ერთადერთი ხსნა და გადარჩენა ნატოსთან, ევროკავშირთან დაახლოება და რუსეთთან დაპირისპირება იყო.**

— თქვენი შეკითხვა ის ფუნდამენტური შეკითხვაა, რომლის გარშემოც, ოცი წელია, ქართული საზოგადოებრივი აზრი და ფიქრი ტრიალებს, ყოველ შემთხვევაში არაოფიციალურად მაინც. თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა უკრაინის კრიზისის დასრულების შემდეგ გამიადვილდება, რადგან დღეს გვეძლევა საშუალება, რეალისტურად შევაფასოთ მეგობრებისა და მოწინააღმდეგეების რეალური სახეც და შესაძლებლობებიც. მაგალითად, რა შეუძლია დასავლეთს? ლაკმუსის ქაღალდად იქცა უკრაინა არამხოლოდ დასავლეთისთვის, არამედ საქართველოსთვისაც. **პუტინი ძლიერად გამოიყურება, დასავლეთის სანქციებმა და მუქარამ რუსეთის პრეზიდენტს ვერც ვერაფერი დააკლო და ვერც შეაცვლევინა. ჩვენ მხოლოდ მოთმინებით უნდა დაველოდოთ, როდის დაცხრება ვნებათაღელვა, პუტინი დაიხევს უკან, თუ დასავლეთი თავის უძლურებას აღიარებს? — მაშინ საქართველოს ექნება უნიკალური შანსი, რეალურად დაინახოს არსებული ვითარება; დავინახავთ, ვის რა შეუძლია.** დასავლეთს თუ გადაწყვეტილი აქვს, წინ აღუდგეს რუსეთს, ამაზე უკეთესი საშუალება მას აღარ მიეცემა. უკრაინა, რომელიც დასავლეთს ასჯერ ძვირად უღირს, ვიდრე საქართველო, და მისთვის ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რისი გაკეთება შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის.

**— თქვენ წინა შეკითხვაზე სრულყოფილად არ მიპასუხეთ. 20-წლიან გზაზე რუსეთი მტრად გადავიკიდეთ, სახელმწიფო სტრუქტურები დაგვეშალა, აღარ არსებობს კვლევითი ინსტიტუტები, მრეწველობა და უზნეობამ წალეკა ყველაფერი.**

— სულიერება, მენტალობა — ამის დაკარგვა მთლად უცხო ქვეყნების ბრალი არ არის, მუდამ განტევების ვაცის ძებნას ნუ ვცდილობთ. ქვეყანა ჩვენ თვითონ დავანგრიეთ და თურქეთში გავყიდეთ, მაშინ დასავლეთი აქ ასე აქტიური არ იყო, თუმცა საფრთხეები არსებობს... მაგალითად, შეტევა ეკლესიაზე, ერთდერთ ავტორიტეტულ ინსტიტუტზე, და ამას არ აკეთებენ ათეისტი კომუნისტები, რაც გაცილებით საშიშია, **როდესაც სასულიერო პირებს ხვრეტდნენ, მაშინ ეკლესია ძლიერდებოდა. დღეს კი ბევრად უფრო საშიში ვითარებაა, ქვეყნის წამყვანი პარტიის წამყვანი წევრი პატრიარქზე პარლამენტის ტრიბუნიდან ქილიკობს. ეკლესიების აშენებით არ მოვტყუვდეთ, მტერი ძლიერია.**

როდესაც მენტალობის, ზნეობის, სულიერებისა და ეროვნულობის საკითხზე ვსაუბრობ, ასეთ დროს, იაპონიის მაგალითი ხშირად მომყავს, ის დემოკრატიულიც არის და მენტალობაც შეინარჩუნა.

რა უჭირს ჩვენს ხელისუფლებას, რომ ერთ მშვენიერ დღეს გონს მოეგოს და თავის მინისტრებს აუკრძალოს სამინისტროებში ბიუჯეტის ხარჯზე ათასობით ლარის ყავის დალევა, ორასიათასლარიანი ჯიპით მგზავრობა, ოთხციფრიანი ხელფასი, მაშინ, როდესაც პროფესორს 50-ჯერ ნაკლები ხელფასი აქვს? ასეთ ვითარებაში ევროპულ გზაზე სიარული და საუბარი ზედმეტია. **რაზე უნდა ილაპარაკო, როდესაც შენი მთავრობა 17 მაისს ლგბტ-ების მიტინგზე (რომელიც სულ რამდენიმე დღეში მოგვიახლოვდება) ჟურნალისტებს კრიტიკული მასალის დაწერის უფლებასაც არ მისცემს იმიტომ, რომ ასოციაციირების ხელშეკრულებაში ასე წერია და მთავრობა ამას არ აპროტესტებს?** ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩვენ არ ვიცით დასავლური ღირებულებები რა არის, ძალიან ცდება. ის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, ლექია. სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა ძნელია, ხოლო ლექის ათვისება, — ადვილი. **საბერძნეთში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული. აქ ერთი ამბავია და ცდილობენ, რომ მართლმადიდებლობა ბაპტისტებსა და იეღოველებს გაუთანაბრონ. როდესაც კამათი დემაგოგიურ დონეზე მიდის — თუ შენ ლგბტ-ს წინააღმდეგი ხარ, ე.ი. რუსეთის აგენტი ხარ, გეტყვით, რომ დემაგოგებთან საუბარი არ ღირს.**

წინააღმდეგი ვარ იმ პრეზიდენტის, პრემიერის და მინისტრის, რომელიც ლგბტ-ს მტენის, ქვეყანაში ხალხი შიმშილით უკვდება და 10 ათას ლარს ყავაში ხარჯავს. ხმას არავინ იღებს იმაზე, რომ წამლები ძვირდება, უმუშევრობამ იმძლავრა.

**— დაიწყო თუ არა იგივე პროცესები უკრაინაში, რომლებიც საქართველომ უკვე გამოიარა? იქაც, ვითომ რუსეთისგან თავი დავიცვათო, ვაინაციონალები ხელისუფლებაში მოყავთ. იქაც ცდილობენ, მოსპონ თვითმყოფადობა, ზნეობა, სულიერება, დოვლათი, მეცნიერება და განათლება. სააკაშვილსაც ამიტომ ხომ არ სთავაზობენ დიდ თანამდებობებს, რომ მან „ევროპული საქმე“ საქართველოში ბრწყინვალედ შეასრულა?**

— უკრაინაში რუსულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი კანონით შეუჩერეს, მაგრამ ახლა ეს კანონი გააუქმეს. უკრაინის კრიზისი ძალიან სერიოზულია, გასული საუკუნის კუბის კრიზისის შემდეგ მსგავსი რამ მსოფლიოში არ ყოფილა. ეს არის უდიდესი დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის. ამ კრიზისის დასრულების შემდეგ საქართველოს ძალიან დიდი და სერიოზული დაფიქრება მართებს, ეს ღია გაკვეთილად უნდა მივიღოთ.

**რაც შეეხება სააკაშვილს, მას რუსეთის წინააღმდეგ იყენებენ, ყოფილი პრეზიდენტი „რუსული აგრესიის ცოცხალი მსხვერპლია“. აქვს ქარიზმა, ორატორია, ამიტომ თვლიან, რომ საჩუქარია, ის მათ თანაუგრძნობს. თან, თუ დააკვირდით, 2008 წლის აგვისტოს ომს ისინი სულ სხვანაირად აღიქვამენ — აღარ ახსოვთ ტალიავინის დასკვნა, აღარავინ ახსენებს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, და ხედავენ ორმეტრიან კაცს, რომელიც რუსეთმა დაჩაგრა.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# «მიშიაკით» მოწამლულები

**სამედიცინო ლაბორატორიებში ექსპერიმენტებს, ძირითადად, ბოცვრებსა და ვირთხებზე ატარებენ და, თუ ექსპერიმენტი გაამართლებს, შემდეგ მას ადამიანებზე ცდიან.**







საქართველოს მოსახლეობას ლაბორატორიის ცხოველებად გადაქცევა ამერიკამ მოუნდომა. სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმას, რომ **ამერიკელთა პროექტი — მიხეილ სააკაშვილი, ჩვენზე ცხრა წლის განმავლობაში ატარებდა ექსპერიმენტებს და მისი უკვდავი ფრაზა, ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგია უნდა შევცვალო და გავასუფთაოო, მთავარი მინიშნება იყო იმისა, რას აპირებდა და როგორ აპირებდა ძველი ხელისუფლება. „მიშიაკმა“ მოქმედება 2003 წელს დაიწყო და 2005 წლისთვის საწამლავის დოზა ისე გაიზარდა, რომ ექსპერიმენტს არა მხოლოდ ვირთხები, მოსახლეობაც ეწირებოდა; ეწირებოდა ყველგან — ქუჩაში, ციხეში... ისეთ დაცულ ადგილებშიც კი, როგორიცაა, მაგალითად, შავნაბადას რეზიდენცია. საშველი არ ჩანდა.** ქართველი ხალხი მშვიდად ითმენდა ექსპერიმენტს და პრინციპი, მე არ მეხებიან, ე. ი. არა უშავს, დიდხანს გაგრძელდა. საბოლოოდ კი ყველას შეეხენ, დიდი თუ მცირე დოზით ყველამ დააგემოვნა „მიშიაკი“ და განადგურების საფრთხეც ყველამ თვალნათლივ დაინახა. გარდა საწამლავისა, მსხვერპლს დანატრებულ პითონებსაც არაერთხელ მიუგდეს ჩვენი საზოგადოების წევრები საჯიჯგნად და ისინიც ჭამდნენ, ყლაპავდნენ, ინელებდნენ...

რეალურად, ყველამ იცოდა, რა და როგორ ხდებოდა, ისიც გათვლილი იყო, რა გველოდა, მაგრამ **9 წლის შემდეგ „მიშიაკს“ შენახვის ვადა გაუვიდა და ამერიკელებმა უკან გაიხმეს. ვეჭვობ, რომ მათ ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, „მიშიაკი“ უფრო დახვეწეს, უფრო მომწამვლელი გახადეს და გემოც სხვანაირი, უფრო არომატული მისცეს, მოქმედების ვადა 9 წელზე ხანგრძლივი რომ ჰქონდეს...**

როგორც ჩანს, საქართველოზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გარკვეულწილად გაამართლა და ახლა „მიშიაკის“ მოქმედების არეალის გაზრდა გადაწყდა. შესაბამისად, საწამლავი გადაისროლეს უკრაინიაში, სადაც მის გასასაღებლად ძალიან კარგი გარემოა შექმნილი და „მიშიაკმაც“ მოქმედება უკვე დაიწყო. მართალია, ქართველი მოსახლეობა თავგამოდებით გაყვირის, ეგ „მიშიაკი“ მომაკვდინებელიაო, მაგრამ ისე ჩანს, ამ საწამლავს უკრაინაშიც ისევე ჰყავს მომხრეები, როგორც თავის დროზე ჩვენთან ჰყავდა. თანაც, თუ 2003 წელს ჩვენთან „მიშიაკის“ გამომყენებლები გამოუცდელნი იყვნენ, ახლა დახელოვნებულნი არიან — მკვლელობისთვის საჭირო დოზა ზუსტად იციან და ძველ შეცდომებს ნაკლებად დაუშვებენ. ისე როგორ იქნებოდა, „მიშიაკი“ ამხელა ქვეყანას მარტო მორეოდა და ამიტომაც, **მალე უკრაინაში საწამლავის ისეთი სახეობების გამოჩენას ელიან, როგორიცაა „დათა“ (დათა ახალაია) და „ჰარი პოტერი“ (ზურაბ ადეიშვილი). კულუარული მკვლელობების დიდოსტატებს მოიერიშე და ოჯახების განადგურებაში დახელოვნებული „ჩმორიც“ დაემატება და ნელ-ნელა დაიწყება იმ უკრაინული დემოკრატიის შენება, რომელიც ამ ქვეყანას ტერიტორიებს ეტაპობრივად დააკარგვინებს, მოსახლეობას სიღარიბის ზღვრამდე მიიყვანს, ციხეებს გაავსებს და ქუჩაში „შემთხვევით“ დაცხრილული ხალხის რაოდენობას გაზრდის.**

წესითა და რიგით, თუ უკრაინელთა ბედი გვაღელვებს, ახლა ბოლო ხმაზე უნდა ვყვიროდეთ, რომ „მიშიაკი“ მომაკვდინებელია და ახლოს არ გაეკარონ, მაგრამ ამის სანაცვლოდ, მშვიდად ვაკვირდებით, როგორი მცირე დოზებითა და დახვეწილად შეჰყავთ საწამლავი უკრაინის ვენებში. ევროპა და ამერიკა კი „მიშიაკს“ სატელევიზიო ეთერსაც უთმობს, ტაშსაც უკრავს და მიმქრალ „დემოკრატიის შუქურას“ სულს უბერავს, რათა მისი არსებობა ისევ იგრძნონ, ისევ იცნონ და ისევ აღიარონ.

რა შედეგი ექნება ამას, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ჩვენ კი კიდევ ერთხელ ვიტყვით, — „მიშიაკი“ ძალიან მავნებელია ჯანმრთელობისთვის, მისი მიღება უცილობელ სიკვდილს იწვევს.

**დავით მინდიაშვილი**

„რა მოხდება, თუკი რუსეთის გავლენა გამოაშკარავდება კანადაში ან მექსიკაში და ამ ქვეყნების რომელიღაც რეგიონები განაცხადებენ, რომ უნდა შეუერთდნენ პუტინის ეკონომიკურ კავშირს ან სამხედრო ბლოკს? რა თქმა უნდა, ამერიკის პრეზიდენტიც ისევე მკაცრად მოიქცევა, როგორც პუტინი, შესაძლოა, უფრო მკაცრადაც!“

დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სკანდალური სატელეფონო საუბრის ჩანაწერი: «სნაიპერების უკან არა იანუკოვიჩი, არამედ ვიღაც დგას კოალიციიდან»

**ინტერნეტში გავრცელდა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის — კეტრინ ეშტონისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ურმას პაეტის საუბარი; ისინი მსჯელობენ იმის შესახებ, რომ კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე მოქმედი სნაიპერები ოპოზიციის ლიდერებმა დაიქირავეს.**

**„ყველა სამხილი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანები ორივე მხრიდან — პოლიციელები და ხალხი ქუჩაში ერთი და იმავე სნაიპერებმა დახოცეს,** — აღნიშნავს ურმას პაეტი, — **არსებობს ფოტოსურათები, აგრეთვე, ექიმების ჩვენებები: ერთი ხელწერა, ერთი ტიპის ტყვიები. ახლა სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ სნაიპერების უკან არა იანუკოვიჩი, არამედ ვიღაც დგას კოალიციიდან“.**

**„საინტერესოა, მაშინ საჭიროა გამოძიება“,** — უპასუხებს ეშტონი.

სატელეფონო საუბრისას, რომელიც უკრაინის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებამდე გაიმართა, ესტონეთის საგარეო უწყებისა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელებმა უკრაინის მთავრობის ახალ კაბინეტზეც იმსჯელეს:

**„სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არ ენდობიან კოალიციის წარმომადგენლებს, რადგან ამ უკანასკნელთ ბინძური წარსული აქვთ“,** — განაცხადა პაეტმა უკრაინის კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურებზე მსჯელობისას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებში ავტორიტეტით მხოლოდ პეტრე პოროშენკო სარგებლობს.




«ყველა სამხილი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანები ორივე მხრიდან — პოლიციელები და ხალხი, ქუჩაში, ერთი და იმავე სნაიპერებმა დახოცეს. არსებობს ფოტოსურათები, აგრეთვე, ექიმების ჩვენებები: ერთი ხელწერა, ერთი ტიპის ტყვიები»

**„პარლამენტის წევრები უზარმაზარ ზემოქმედებას განიცდიან, მათ სახლებში ეჭრებიან დაუპატიჟებელი სტუმრები, ერთ პარლამენტარს კი პირდაპირ პარლამენტის შენობის წინ სცემეს“,** — ამბობს პაეტი, რომელიც დასძენს, რომ **„უკრაინაში არიან რუსული ხომალდები და რუსეთმა შეიძლება მოქმედება დაიწყოს“.**

**„საჭიროა მაიდანზე მყოფი ადამიანების დარწმუნება, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ისინი ერთად უნდა იყვნენ. ჩვენ ვამზადებთ ფინანსურ დახმარებას მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩვენ გვჭირდება მთავრობა იმისათვის, რომ ევროკავშირის დახმარება მივცეთ. მხოლოდ შენობების ბლოკირება და ბარიკადების აგება საკმარისი არ არის,“** — უპასუხებს ეშტონი.

## ამერიკელი ექსპერტი: პუტინს თავს მოახვიეს უკრაინის კრიზისი




**ნიუ იორკისა და პრინსტონის უნივერსიტეტების პროფესორმა, ისტორიკოსმა სტივენ კოენმა ტელეკომპანია CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უკრაინის კრიზისში ბრალი არ მიუძღვის, მის ადგილას აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც ზუსტად ასე მოიქცეოდა ან უფრო უარესად.**

**„პუტინი მკვლელი არ არის, ის არ არის ნეოსაბჭოთა იმპერიალისტი, რომელიც ცდილობს სსრკ-ის აღდგენას. ის არც ამერიკის წინააღმდეგ არის განწყობილი,“** — განაცხადა კოენმა.

**„პუტინი თავიდანვე პრორუსულად იყო განწყობილი. ის, უკვე 14 წელიწადია, ხელისუფლების სათავეშია. მისი ამოცანა, როგორც მას და ბევრ რუსს წარმოუდგენია, არის რუსეთის აღდგენა 1991 წლის კატასტროფის, სსრკ-ის დაშლის შემდეგ,“** — მიიჩნევს ნიუ იორკისა და პრინსტონის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი.

**„არ დაგავიწყდეთ, რომ მეოცე საუკუნეში რუსეთმა ორჯერ გადაიტანა კრახი. პირველად — 1917 წელს. ამიტომ პუტინის ამოცანაა, ქვეყანას დაუბრუნოს სტაბილურობა, დიდება, აყვავება, რასაც უნდა გულისხმობდნენ ამ სიტყვებში თვითონ რუსეთში, და, ამასთანავე, აღადგინოს ნაციონალური უსაფრთხოების ტრადიციული ზონები რუსეთის საზღვრებთან. ამ ზონებში შედის უკრაინაც. უკრაინის კრიზისი პუტინის პროვოცირებული არ არის. მას ეს თავს მოახვიეს, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რეაგირების გარდა, რასაც, ვხედავთ, რომ აკეთებს,“** — განმარტა სტივენ კოენმა.

**„მე ვიტყოდი, რომ ბოლო 400 წლის განმავლობაში პუტინი რუსეთის ყველაზე ნაკლებად ავტორიტარული ლიდერია, გორბაჩოვის და, შესაძლოა, პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი პრეზიდენტის — ელცინის შემდეგ. თუმცა ელცინი არის თუ არა ასეთი, საკამათოა. მოდი, მას რუსეთის ყველაზე რბილი ავტორიტარული მმართველი ვუწოდოთ,** — განაცხადა კოენმა, რომელმაც ებრაელთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზეც ილაპარაკა — **„რუსეთში ებრაელი მოსახლეობის სტატუსი შეიძლება მივიღოთ იმის მაჩვენებლად, როგორ ეპყრობა რუსეთის ხელისუფლება ხალხს. და რუსეთის ისტორიაში ებრაელებს პუტინზე უკეთესად არავინ მოპყრობია. თუკი ჩემი ნათქვამის არ გჯერათ, ისრაელს ჰკითხეთ.“**

ჟურნალისტის კითხვას, მიუთითებს თუ არა ნეოიმპერიალისტურ მიდრეკილებებზე რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანა, სტივენ კოენმა ასეთი პასუხი გასცა:

**„რა მოხდება, თუკი რუსეთის გავლენა გამოაშკარავდება კანადაში ან მექსიკაში და ამ ქვეყნების რომელიღაც რეგიონები განაცხადებენ, რომ უნდა შეუერთდნენ პუტინის ეკონომიკურ კავშირს ან სამხედრო ბლოკს? რა თქმა უნდა, ამერიკის პრეზიდენტიც ისევე მკაცრად მოიქცევა, როგორც მოიქცა პუტინი, შესაძლოა, უფრო მკაცრადაც!**

საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის იურისტებს ძალიან გაუჭირდებათ იმის დასაბუთება, რატომ შეიძლება იყოს უკრაინის ამჟამინდელი მთავრობა ლეგიტიმური. ეს არის მთავრობა, რომელმაც მთლიანად დაანგრია უკრაინის კონსტიტუციური წყობილება, ხელისუფლებას ჩამოაშორა არჩეული პრეზიდენტი, მიიღო ანტირუსული კანონები. ამ ხელისუფლებას ქუჩაში მოქმედი უკიდურესად ექსტრემისტული ძალები აკონტროლებენ“, — განაცხადა სტივენ კოენმა.

## ამერიკელი გენერალი ხელქვეითებზე სექსუალური ძალადობის გამო დააპატიმრეს

**რამდენიმე დღის წინათ ფორტ-ბრეგში (აშშ) გამართულ სასამართლო პროცესზე გენერალმა სინკლერმა აღიარა, რომ ხელქვეითებთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. გენერლის თქმით, მან რამდენიმეჯერ უღალატა ცოლს, რაც აშშ-ის არმიის ოფიცრისთვის მძიმე დანაშაულია, აგრეთვე, ინახავდა პორნოგრაფიას, თუმცა უარყოფს ბრალდების მთავარ პუნქტს — სექსუალურ ძალადობას.**

სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა საგამოძიებო ორგანოებს მიმართა და განაცხადა, რომ მისი და გენერლის ურთიერთობა 3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. სინკლერი მსხვერპლს ორალურ სექსს აიძულებდა, ხოლო როდესაც ქალი ურთიერთობის გაწყვეტას შეეცადა, გენერალი მას ოჯახის წევრების დახოცვით დაემუქრა.

თუკი მეორეხარისხოვანი ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში გენერალს თანამდებობრივი დაქვეითება და ფულადი ჯარიმა ელის, სექსუალური ძალადობის გამო მას უვადო პატიმრობა ემუქრება.

2013 წელს აშშ-ის არმიაში სექსუალური ძალადობის რამდენიმე შემთხვევა აღირიცხა. მაისში სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააპატიმრეს პოდპოლკოვნიკი ჯეფრი კრუშინსკი, რომელიც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში სექსუალური დანაშაულის პრევენციის პროგრამას ხელმძღვანელობდა. იმავე პერიოდში დააპატიმრეს საჰაერო ძალების კიდევ ერთი ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი ჯეიმს ვილკერსონი, თუმცა ყველაზე რეზონანსული იყო ტეხასში განლაგებული ავიაბაზა Lackland Sir Force Base-ს სკანდალი. ამ ავიაბაზაში 60 ახალწვეული ქალი გახდა ძალადობის მსხვერპლი.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკელები, რომლებიც, ბოლო 20 წელიწადია, მიეჩვივნენ ყველაფრის მისაკუთრებას და თავიანთი სურვილის მიხედვით განკარგვას, შოკში არიან. ამერიკელებმა რეალობის აღქმის უნარი დაკარგეს, ამიტომაც შეესივნენ ახლა უკრაინას, მაგრამ, ვფიქრობ, ტყუილუბრალოდ: ისინი დამარცხდნენ სირიაში და დამარცხდებიან უკრაინაშიც!“**



## აშშ-ს ნაგვის კუნძული უახლოვდება

**მილიონი ტონა ნაგავი, რომელიც ცურავს წყნარ ოკეანეში, ჰავაის კუნძულსა და კალიფორნიას შორის, მალე მიაღწევს აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს.**

ტეხასის შტატის ზომის (700 კვ.მ) ნაგვის კუნძული 2011 წელს წარმოიქმნა, მას შემდეგ, რაც იაპონიას ცუნამი დაატყდა, ნაგვის კუნძული შედგება ნავებისა და სახლების ნამსხვრევებისგან, აგრეთვე, იმ საგნების ნარჩენებისგან, რომელთაც ადამიანი მოიხმარს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნაგვის კუნძული აშშ-ამდე 1-2 წელიწადში მიაღწევს და ალასკის ან ჰავაის სანაპიროს შეეჯახება.



## ამერიკელები ყირგიზეთს ტოვებენ

**აშშ-მა ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკის აეროპორტ მანასში სატრანზიტო გადაზიდვების ცენტრის დახურვა დაიწყო. აშშ-სა და ყირგიზეთს შორის მიღწეული შეთანხმებით, სატრანზიტო გადაზიდვების ცენტრი საბოლოოდ 10 ივლისს უნდა დაიხუროს. ერთადერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, ეკოლოგიური ზარალის ანაზღაურებაა — ყირგიზები ამერიკული საწვავმზიდის ჩამოვარდნის შედეგად გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო თანხას ითხოვენ.**

აშშ-ის სამხედრო ავიაბაზა, რომელიც ბიშკეკიდან 30 კმ-ით არის დაშორებული, არაერთხელ გაეხვა სკანდალში. რესპუბლიკის მოსახლეობამ რამდენიმეჯერ გამართა საპროტესტო აქცია ქვეყნიდან ამერიკელი სამხედროების გაძევების მოთხოვნით, რადგან ამერიკელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, ანუ ბაზის მთელმა კონტიგენტმა, მომსახურე პერსონალის ჩათვლით, დიპლომატის სტატუსი მიიღეს და ხელშეუხებელი პირები გახდნენ (სხვათა შორის, ანალოგიური სტატუსი აქვთ ამერიკელ სამხედროებს საქართველოშიც — რედ.). ყირგიზეთში ამერიკელ სამხედროებს, რაც უნდა ჩაედინათ, სასამართლო არ ემუქრებოდათ. ერთმა ოფიცერმა ავტომობილით ორი ბიშკეკელი გაიტანა, მაგრამ, რადგან დიპლომატიური იმუნიტეტი იცავდა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, უბრალოდ, სხვაგან გადაიყვანეს.

ყირგიზელთა უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია 2013 წლის მაისში, როდესაც ამერიკულმა თვითმფრინავმა „KC-135“-მა (საწვავმზიდი) კატასტროფა განიცადა და ყირგიზეთის სამხრეთი ტერიტორია ეკოლოგიურად დააზიანა. ყირგიზები კომპენსაციას მოითხოვენ, ამერიკელები კი თანხის გადახდაზე არ თანხმდებიან.

# ამერიკის მარიონეტები ყველას ყელში ამოუვიდა

**დრო, როდესაც ამერიკელები და მისი მოკავშირეები ხალხებს ტვინებს ურეცხავდნენ, მიდის, — განაცხადა მწერალმა, ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს გაზეთის „ალ-უტანის“ ჟურნალისტმა ფარიდა ალ-შუბაშიმ, რომლის თვალსაზრისსაც ქვემოთ გთავაზობთ:**






— გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა, საუდის არაბეთმა და ბაჰრეინმა თავიანთი ელჩები გამოიწვიეს ყატარიდან. ამ სამმა სახელმწიფომ ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ყატარის პოლიტიკა მიმართულია რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ.

ამ პატარა ქვეყანას ჩვენდამი მტრულად განწყობილი დიდი სახელმწიფო ჩვენი მომავლისა და იმედის წინააღმდეგ იყენებს. 30 ივნისის ეგვიპტის რევოლუციის (მუჰამედ მურსის დამხობა) შემდეგ არაბულმა ქვეყნებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან ჩვენ, ყველანი უფსკრულის პირას ვიდექით. ეს, ძირითადად, ყატარის წამქეზებლურმა როლმა განაპირობა. ყატარელები დაუფარავად აფინანსებენ ტერორისტებს, რომლებიც დევნიან და კლავენ ქრისტიანებს, ისინი ასევე არ ინდობენ მუსლიმანებს, რომლებიც მათ არ ეთანხმებიან.

ყატარი და მისი ბატონი — აშშ თვლიან, რომ კვლავ შეძლებენ ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვას, მაგრამ არაბების უდიდესი ნაწილი უკვე გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ ამერიკელთა გავლენის ქვეშ ყოფნა კარგს არაფერს უქადით.

ეგვიპტეში ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ადამიანი მიექანება სიღარიბის უფსკრულში და, ამასთანავე, ყოველდღიურად ჩნდებიან მდიდრები, რომლებიც ფუფუნებაში ცხოვრობენ. სოციალური უთანასწორობა ყოველთვის იყო, მაგრამ ასეთი კონტრასტული — არასოდეს. ეს ყველაფერი ამერიკული რეცეპტების დამსახურებაა. ადამიანების ასეთ ფენებად დაყოფა ამერიკული ველური კაპიტალიზმის შედეგია. ამ ველური კაპიტალიზმის დამცველებად კი მოგვევლინენ ზოგიერთი ადგილობრივი და შემოსული ტერორისტები, რომლებიც ყატარიდან ფინანსდებიან.

ვფიქრობ, რომ **ის არაბული ქვეყნები, რომლებმაც ყატარიდან ელჩები გამოიწვიეს, აგრეთვე, სხვა ქვეყნებიც, რომლებსაც ჯერ არ გაუწყვეტიათ დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყანასთან, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები რეგიონში არა მხოლოდ ერთი ან ორი არაბული ქვეყნის, არამედ მთელი არაბული სამყაროს განადგურებას ცდილობენ**. ყატარი ამერიკელების ხელში, უბრალოდ, ინსტრუმენტია. ყატარის ტერიტორიაზე განლაგებულია ორი დიდი ამერიკული სამხედრო ბაზა და, შეიძლება ითქვას, თვითონ ყატარია ამ ბაზების სტუმარი. **ყატარმა თვითონ გადაწყვიტა, ვის მხარეს იყოს, მაგრამ ამ ქვეყნის მიერ დაფინანსებული ტერორის დრო იწურება. 30 ივნისს ეგვიპტეში მომხდარმა რევოლუციამ დაამხო ყატარის მიერ დაქირავებულთა ხელისუფლება და ჩაფუშა ამერიკელთა გეგმები.** როგორც კი ამერიკელების მიერ დაფინანსებული მოკავშირე-ისლამისტები ეგვიპტის ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, მაშინვე დაიწყეს არაბებს შორის შუღლის ჩამოგდება რელიგიურ საკითხებზე. ამიერიდან კი ეგვიპტე და, საერთოდ, არაბები თვითონ გადაწყვეტენ, როგორ მოიქცნენ და როგორი მომავალი ააშენონ.

ამერიკელები მშვიდად ვერ უყურებენ, როგორ ცხოვრობენ სხვა ხალხები მშვიდად და მეგობრულად. მათ ეჩვენებათ, რომ ყველა, ვინც მეგობრობს, აუცილებლად მათ წინააღმდეგ იმოქმედებს, ამიტომაც ცდილობენ, ხალხები ერთმანეთს წაჰკიდონ და მათ შორის შუღლი ჩამოაგდონ. ზოგჯერ ეს გამოსდით, მაგრამ მიზანს ხშირად ველარ აღწევენ.

აი, უკვე სამი წელიწადია, ლაპარაკობენ, რომ სირიაში მიმდინარეობს „რევოლუცია“ და სვამენ კითხვას: ამდენ ხანს რით ვერ დასრულდა? პასუხი მარტივია: არავითარი რევოლუცია იქ არ არის. სირიელი ხალხი მედგრად ებრძვის უცხოეთიდან დაფინანსებულ აგრესიას. სირიაში არასოდეს ყოფილა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება. ეს იქ პოლიტიკური ისლამის გავრცელების შემდეგ დაიწყო, რომელსაც ხელი აშშ-მა შეუწყო. ამერიკელები სირიის მიმართ აგრესიას ყატარის ფულით ახორციელებენ, სირიელი ხალხი კი მათ მედგრად ეწინააღმდეგება. ამის გამო კი **ამერიკელები, რომლებიც, ბოლო 20 წელიწადია, მიეჩვივნენ ყველაფრის მისაკუთრებას და თავიანთი სურვილის მიხედვით განკარგვას, შოკში არიან. ამერიკელებმა რეალობის აღქმის უნარი დაკარგეს, ამიტომაც შეესივნენ ახლა უკრაინას, მაგრამ, ვფიქრობ, ამაოდ: ისინი დამარცხდნენ სირიაში და დამარცხდებიან უკრაინაშიც.** ამერიკის მარიონეტები ყველას ყელში ამოუვიდა!

# ფლორიდის მცხოვრებმა კუ-კლუქს-კლანის დროშა აღმართა



**კელსი ჰეიესმა რასისტული ტერორისტული ორგანიზაციის დროშასთან ერთად სახლის სახურავზე კონფედერაციის დროშაც აღმართა, აგრეთვე, სახრჩობელა წარწერით „მიმდინარეობს შერჩევა“. ამ საქციელმა მეზობლები გააღიზიანა, განსაკუთრებით — შავკანიანები.**

კელსი ჰეიესმა, რომელიც თავს რაინდული პარტია კუ-კლუქს-კლანის მიმდევარს უწოდებს, კუ-კლუქს-კლანისა და კონფედერაციის დროშები სახლის სახურავზე 4 მარტს აღიმართა. ჰეიესმა განაცხადა, რომ ამაყობს თავისი ისტორიული მემკვიდრეობით და, თუ პუერტორიკოელს აქვს უფლება, გამოფინოს თავისი ქვეყნის დროშა, მასაც აქვს ალმის აღმართვის უფლება.

მეზობლები ძალიან შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ მათ გვერდით ცხოვრობს მომხრე იმ ორგანიზაციისა, რომელიც წლების განმავლობაში კლავდა და სდევნიდა შავკანიანებს.

კუ-კლუქს-კლანმა ამერიკის ისტორიაში საშინელი კვალი დატოვა — სწორედ ამ ორგანიზაციამ დაამკვიდრა ლინჩის წესი — სასჯელის აღსრულება სასამართლოსა და გამოძიების გარეშე. აშშ-ის კონფედერაციული არმიის ყოფილმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა XIX საუკუნეში, სამოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ, შექმნეს საიდუმლო ორგანიზაცია კუ-კლუქს-კლანი, ანუ სამხრეთის უხილავი იმპერია.



**კუ-კლუქს-კლანის წარმომადგენლები ებრძოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ არა მხოლოდ აფროამერიკელებს, არამედ ებრაელებს, კომუნისტებსა და ჰომოსექსუალებს**.

მიუხედავად შელახული რეპუტაციისა, დღეს ამ ორგანიზაციისადმი ინტერესი იზრდება. თეთრ სამოსელში გამოწყობილი ადამიანები რიტუალებს ცეცხლმოკიდებული ჯვრებით (კუ-კლუქს-კლანის სიმბოლო) ატარებენ. თეთრი რასის უპირატესობის იდეის მიმდევრები არც კონფედერაციის დროშისა და ნაცისტური მისალმებისადმი არიან გულგრილნი.

ალსანიშნავია, რომ **აშშ-ის ხელისუფლება ვერ ხედავს მუქარას, რომელიც რადიკალურად განწყობილი რასისტებისგან მოდის. მაგალითად, 2013 წელს გეტისბერგის ნაციონალური სამხედრო პარკის ხელმძღვანელობამ კუ-კლუქს-კლანს ნება დართო, ჩაეტარებინა მიტინგი, რომელიც ქვეყანაში არალეგალურად შემოსული იმიგრანტებისა და პირადად ბარაკ ობამას წინააღმდეგ იყო მიმართული.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სკანირების აპარატს ოპერატორის ან ავტონომიური პროგრამის მეშვეობით შეუძლია, რადიაციული გამოსხივების მძლავრი წერტილოვანი დარტყმები განახორციელოს ამორჩეულ მსხვერპლზე. ამის შემდეგ ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება ავთვისებიანი სიმსივნე. ჩავესის ლიკვიდაციის სქემა მართული რადიაციისა და ქიმიური პრეპარატების გამოყენებას ითვალისწინებდა, იმ პრეპარატებისა, რომლებიც ამერიკელებმა პენსილვანიაში უპატრონო ონკოპაციენტებზე გამოსცადეს.**

# «კიბოს შეთქმულება»

## უგო ჩავესი ამერიკელებმა რენტგენის სკანერით მოკლეს

**აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სამედიცინო ცდები პენსილვანიის შტატის კიბოს საწინააღმდეგო ცენტრში განახორციელა, სადაც ხშირად ატარებენ ექსპერიმენტებს უპატრონო ონკოპაციენტებზე. იქ კიბოს გამომწვევი ახალი პრეპარატები დაამზადეს, პარალელურად, ჯონს ჰოპკინსის სახელობის სამხედრო ლაბორატორიაში შექმნეს რენტგენის სხივების მოდერნიზებული სკანერი, გააძლიერეს მისი სიმძლავრე და სხივების კონის მიმართულება. ამ პროექტში, კონგრესის ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, რამდენიმე უწყება მონაწილეობდა: პენტაგონი; თავდაცვითი პროექტების სააგენტო; ენერგეტიკის სამინისტრო; რადიაციისგან დაცვის ბიურო; ციხეების ფედერალური ბიურო, რომელშიც რადიოქიმიურ ცდებს პატიმრებზე ატარებდნენ, და, რა თქმა უნდა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.**
**ექსპერიმენტები 2009 წლის ნოემბერში დასრულდა, კანკუნის სამიტამდე სამი თვით ადრე.**

2011 წელს სამხრეთ ამერიკის პრეზიდენტებს კიბო ეპიდემიასავით მოედო. სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს პარაგვაის ამჟამად უკვე სახელმწიფოს ყოფილ პირველ პირს — ფერნანდო ლუგოს, ბრაზილიის ყოფილ პრეზიდენტს — ლულა და სილვას, არგენტინის სახელმწიფოს მეთაურს — კრისტინა დე კირშნერს, კოლუმბიის ლიდერს — ხუან სანტოსსა და ვენესუელის პრეზიდენტს — უგო ჩავესს.

უგო ჩავესისთვის დაავადება სასიკვდილო აღმოჩნდა. ის 2013 წლის 5 მარტს გარდაიცვალა. თვითონ კომანდანტე თვლიდა, რომ მას კიბო შემთხვევით არ გასჩენია, ამბობდა, რომ რეგიონის იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ანტიამერიკული პოლიტიკით გამოირჩევიან, დაწყებულია „კიბოს შეთქმულება“. როგორც ჩანს, ეს ჭეშმარიტებასთან ახლოს იყო.

პრეზიდენტებს კიბოს დიაგნოზი მექსიკის ქალაქ კანკუნში 2010 წლის 20 თებერვალს გამართული სამიტიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ დაუსვეს. ამ შეხვედრაზე გამოცხადდა სამხრეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგობრობის შექმნის შესახებ. უგო ჩავესის ჩანაფიქრის მიხედვით, ამ სტრუქტურას კონკურენცია უნდა გაეწია ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციისთვის, რომელშიც წამყვან როლს აშშ თამაშობდა. მაგრამ ამერიკის კონტინენტზე აშშ-ის ძლიერების შერყევის მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა.

**ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, სწორედ მექსიკის ქალაქ კანკუნში მოხდა თავდასხმა უგო ჩავესზე რადიაციისა და კანცეროგენური ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. ამერიკელები ამ ოპერაციისთვის წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ და ასეულობით მილიონი დოლარი დახარჯეს.**

### „მექსიკური დოსიე“

უგო ჩავესის იდუმალებით მოცულ გარდაცვალებას ნათელი მოეფინა ე. წ. მექსიკური დოსიეს შესწავლის შემდეგ. აშშ-ის კონგრესმა გადაწყვიტა, გაერკვია, როგორ მუშაობდა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტო მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკელი პოლიციელები კონგრესმა მექსიკური ნარკოკარტელებისთვის ხელის შეწყობაში დაადანაშაულა. გაირკვა, რომ ისინი „ოპერატიული ღონისძიებების“ საბაბით ნარკოტიკების გაყიდვით მიღებულ ფულს ათეთრებდნენ, გარდა ამისა, იარაღით ამარაგებდნენ (რა თქმა უნდა, ფულის სანაცვლოდ) ნარკოტიკებით მოვაჭრეებს.

კონგრესმენთა ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, აშშ-მა თავის კონტროლს დაუქვემდებარა მექსიკელ დამნაშავეთა დაჯგუფებების ნაწილი და ასე მოამზადა მექსიკაში საიდუმლო სპეცოპერაციის ჩასატარებლად ნიადაგი — მექსიკაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტურა ამოქმედდა.

### სიკვდილის სხივი

**უგო ჩავესის ლიკვიდაციის გეგმა 2009 წელს შეიმუშავეს და ეს მოხდა თეთრ სახლში, პრეზიდენტ ბარაკ ობამას კაბინეტში,** — დარწმუნებულია რუსი ისტორიკოსი და ანალიტიკოსი ბორის ბორისოვი, რომელიც ამბობს, რომ **აშშ-ის კონგრესის მიერ ე. წ. მექსიკური დოსიეს საქმის გამოძიების შედეგად ცნობილია უგო ჩავესის ლიკვიდაციის საკითხზე ობამას კაბინეტში გამართული თათბირის თარიღი და დღის წესრიგი.**

იმხანად უკვე ყველამ იცოდა ვენესუელის პრეზიდენტის გეგმის შესახებ, რომ ის ვანკუ-



დაცვა უგო ჩავესს ტყვიისგან იფარავდა, მაგრამ „სიკვდილის სხივის“ წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა



პარაგვაის ექს-მეთაური ფერნანდო ლუგო. დიაგნოზი: ლიმფური ქსოვილის კიბო. 3-წლიანი მკურნალობის შემდეგ შეიმჩნევა რემისია



არგენტინის პრეზიდენტი კრისტინა დე კირშნერი. დიაგნოზი: ფარისებრი ჯირკვლის კიბო, გადაიტანა მძიმე ოპერაცია და დაიწყო პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება



ბრაზილიის ექსპრეზიდენტი ლულა და სილვა. დიაგნოზი: ხორხის კიბო. ქიმიოთერაპიის შემდეგ შეიმჩნევა რემისია



კოლუმბიის პრეზიდენტი ხუან სანტოსი. დიაგნოზი: პროსტატის კიბო. ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელდა.

ვერის სამიტიდან მოკლე ხანში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგობრობის შექმნას აპირებდა.

**აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სამედიცინო ცდები პენსილვანიის შტატის კიბოს საწინააღმდეგო ცენტრში განახორციელა, სადაც ხშირად ატარებენ ექსპერიმენტებს უპატრონო ონკოპაციენტებზე. იქ კიბოს გამომწვევი ახალი პრეპარატები დაამზადეს, პარალელურად, ჯონს ჰოპკინსის სახელობის სამხედრო ლაბორატორიაში შექმნეს რენტგენის სხივების მოდერნიზებული სკანერი, გააძლიერეს მისი სიმძლავრე და სხივების კონის მიმართულება. ამ პროექტში, კონგრესის ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, რამდენიმე უწყება მონაწილეობდა: პენტაგონი; თავდაცვითი პროექტების სააგენტო; ენერგეტიკის სამინისტრო; რადიაციისგან დაცვის ბიურო; ციხეების ფედერალური ბიურო, რომელშიც რადიოქიმიურ ცდებს პატიმრებზე ატარებდნენ, და, რა თქმა უნდა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ექსპერიმენტები 2009 წლის ნოემბერში დასრულდა — კანკუნის სამიტამდე სამი თვით ადრე.**

სკანირების აპარატს, ოპერატორის ან ავტონომიური პროგრამის მეშვეობით შეუძლია, რადიაციული გამოსხივების მძლავრი წერტილოვანი დარტყმები განახორციელოს ამორჩეულ მსხვერპლზე. ამის შემდეგ ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება ავთვისებიანი სიმსივნე. ჩავესის ლიკვიდაციის სქემა მართული რადიაციისა და ქიმიური პრეპარატების გამოყენებას ითვალისწინებდა, იმ პრეპარატებისა, რომლებიც ამერიკელებმა პენსილვანიაში უპატრონო ონკოპაციენტებზე გამოსცადეს.

ამერიკელებმა საიდუმლო იარაღი 2009 წლის დეკემბერში ჩაიტანეს მექსიკაში. ამის გაკეთება რთული არ იყო. სამიტისთვის მზადების პროცესში კანკუნში ოფიციალურად ჩაიტანეს რადიოლოგიური მოწყობილობა და დარბაზებში, სადაც მოლაპარაკებები უნდა გამართულიყო, გამასხივების უახლესი სკანერები და რენტგენის მოწყობილობები დაამონტაჟეს. ადგილობრივ ხელისუფლებას ცენტიც არ დაუხარჯავს. მოწყობილობები ვაშინგტონმა დააფინანსა და ამისათვის 400 მლნ დოლარი დახარჯა.

თუმცა, როგორც ჩანს, ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ელოდნენ — დისტანციურად მართული სასიკვდილო სხივი დროულად არ გამოირთო და სკანერში ჩავესის გავლის შემდეგ სამხრეთ ამერიკის კიდევ რამდენიმე ლიდერიც დასხივდა. შედეგად ბევრისთვის ეს დასხივება სასიკვდილო დაავადებით დასრულდა.

**P.S. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „მექსიკური დოსიეს“ საქაღალდეში უამრავი დოკუმენტია, რომელთა მოცულობაც 80 ათას გვერდს აღწევს, თუმცა კონგრესის კომისიას ჯერჯერობით დოკუმენტების მხოლოდ 10%-ზე მიუწვდება ხელი. და, ალბათ, გამოჩნდება ედვარდ სნოუდენის მსგავსი პიროვნება, რომელიც ფარდას ახდის აშშ-ის სახიფათო თამაშებს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**THE TELEGRAPH: რამდენიმე წამყვანი სენატორი-რესპუბლიკელი მოუწოდებს აშშ-ის პრეზიდენტს მოსკოვის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გამოყენებისკენ, მაგრამ ეს ოდნავაც არ მიგვაახლოებს იმ კრიზისის გადაწყვეტასთან, რომელმაც დასავლეთის შესაძლებლობების ზღვარი გამოავლინა: ძალის გამოყენების ნებისმიერი მუქარა ან უსაფრთხოების გარანტიები ეყრდნობა მოსალოდნელ საომარ კონფლიქტს. ამ კონფლიქტში კი, როგორც ყველამ იცის, ნატო არაფრის გულისთვის არ ჩაერევა.**

# ვაშინგტონს ძალა არ აქვს უკრაინისთვის საბრძოლველად

**ვიდრე ამერიკული საგარეო პოლიტიკის „ავი ძაღლი“ — სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი ჯონ კერი — აგრესიულ რეპლიკებს ისვრის რუსეთის ხელისუფლების მისამართით, დასავლურმა პრესამ უკრაინასთან დაკავშირებული გაურკვეველი პოლიტიკის გამო ბარაკ ობამა ერთსულოვნად გააკრა სამარცხვინო ბოძზე.**



**მოსკოვმა დაანგრია აშშ-ის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა, უკრაინაში დამჯერი რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით, ამერიკელებს კი სურდათ, რამენაირად მაინც გამოეშვათ ორთქლი**

მკვეთრი განცხადებების გაკეთება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობებში შედის, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ სწორედ ჯიმ კერი დაჰპირდა კიევის ახალ მთავრობას ყოველგვარ მხადაჭერას, კრემლს კი — საერთაშორისო იზოლაციას, დიდი რვიანიდან გარიცხვასაც კი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. **მოსკოვმა დაანგრია აშშ-ის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა, უკრაინაში დამჯერი რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით, ამერიკელებს კი სურდათ, რამენაირად მაინც გამოეშვათ ორთქლი.** მეორე მხრივ, ბარაკ ობამას რეაქცია (არადა, სწორედ ეს ინდიკატორი უნდა ვაღიაროთ განმსაზღვრელად აშშ-ის საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიაში) საოცრად მდორე აღმოჩნდა.

28 თებერვალს ობამა უკრაინასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებით გამოვიდა. მან შეშფოთება გამოთქვა და ხაზი გაუსვა, რომ **„გარეშე ძალები თავს არ უნდა ესხმოდნენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“** და დასძინა, რომ **„საზღაური, შესაძლოა, ძალზე სერიოზული იყო“.** გარდა ამისა, ობამამ აღიარა, რომ სიტუაცია განიხილა ვლადიმერ პუტინთან და მომავალშიც განაგრძობს მასთან პირდაპირ კავშირს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ობამას გამოსვლის გაანალიზებისას, დასავლური მედიასაშუალებები აბსოლუტურად ერთსულოვანნი იყვნენ.

**„ყველა შოკირებულია პრეზიდენტის სისუსტით... მან თქვა, რომ ჩვენ არაფერს გავაკეთებთ“,** — ამბობდა კონსერვატიული ტელეარხის — Fox News-ის მიმომხილველი ჩარლზ კრაუტჰამერი. მან ობამას წინამორბედი საგარეოპოლიტიკური ჩავარდნები გაახსენა, ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის 44-ე პრეზიდენტი რეგულარულად აკეთებს „ძალიან ცოტას“ და „ძალიან გვიან“, შედეგად კი იძულებულია, ნეგატიურ შედეგებს შეეჯახოს. **ისლამისტური გადატრიალება ეგვიპტეში, შემდეგ სულმოკლე პოზიცია ლიბიაში, სადაც სამხედრო მოქმედებებზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მოუხდა და ბოლოს პუტინისგან „დამარცხება“ სირიის საკითხთან დაკავშირებით.**

**ობამასგან გამბედაობას ითხოვენ არამხოლოდ კონსერვატორები, არამედ ლიბერალებიც.** ამ უკანასკნელთა ყველაზე გავლენიანი ბეჭდვითი ორგანო The Washington Post-ი წერს, რომ **„ყირიმში რუსეთის მოქმედებების განსჯა არ კმარა“.** გაზეთის მტკიცებით, **„დასავლეთის რეაგირება სატელეფონო ზარებით შემოიფარგლებოდა“:** დევიდ კემერონი და ანგელა მერკელი ესაუბრნენ პუტინს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დაურეკა. **„ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი არ არღვევს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, კერი კი მზად არ იყო, მისთვის რაიმე საწინააღმდეგო ეთქვა“,** — წერს გაზეთი.

იქნებ საქმე ისაა, რომ დღეს თეთრ სახლს არაფერი გააჩნია კრემლისთვის დასაპირისპირებელი უკრაინის საკითხში? ამ თვალსაზრისს იზიარებს New York Times-ის მიმომხილველი პიტერ ბეიკერი. თავის სტატიაში იგი ამბობს, რომ **აშშ-ს ძალზე ცოტა რეალური შესაძლებლობა აქვს, იძულებით გადაახდევინოს რუსეთს ის დიდი ხარჯები, რომლითაც ობამა იმუქრებოდა თავის გამოსვლაში.** ამასთან, უკანასკნელი წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ, **„როდესაც რუსეთი თვლის, რომ საქმე მის ინტერესებს ეხება, ის მზადაა, ნებისმიერ შედეგებს გაუძლოს“.**

ჯონ კერის ხმამაღალი განცხადებები იმის თაობაზე, რომ რუსეთს „დიდი რვიანიდან“ გარიცხავენ, ჟურნალისტებმა ცივსისხლიანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. **„როდესაც ციფრებს უყურებ, ნათელი ხდება, რომ რუსეთის წინააღმდეგ, უბრალოდ, არ არსებობს ზემოქმედების ბერკეტები — მის წილად მოდის ამერიკული ვაჭრობის 2%-ზე ნაკლები, ევროპა კი ძველებულად მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული რუსეთის გაზზე,** — წერს The Telegraph-ი. — **რამდენიმე წამყვანი სენატორი-რესპუბლიკელი მოუწოდებს აშშ-ის პრეზიდენტს მოსკოვის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გამოყენებისკენ, მაგრამ ეს ოდნავაც არ მიგვაახლოებს იმ კრიზისის გადაწყვეტასთან, რომელმაც დასავლეთის შესაძლებლობების ზღვარი გამოავლინა: ძალის გამოყენების ნებისმიერი მუქარა ან უსაფრთხოების გარანტიები ეყრდნობა მოსალოდნელ საომარ კონფლიქტს. ამ კონფლიქტში კი, როგორც ყველამ იცის, ნატო არაფრის გულისთვის არ ჩაერევა“.**

„არც აშშ-ს, არც ნატოს არ შეუძლიათ რაიმეს გაკეთება, — განაგრძობს იულია იოფე ლიბერალურ ჟურნალ New Republic-ის საიტზე. — **მათ ეს აჩვენეს საქართველოს მაგალითზე, რადგან არავის სურს ომის გაჩაღება ბირთვულ რუსეთთან.** ასე რომ, ვიდრე ვაშინგტონი და ბრიუსელი „წითელი ზოლის“, სუვერენიტეტისა და დიპლომატიის შესახებ ლუღლუღებენ, რუსეთი გააკეთებს იმას, რასაც საჭიროდ თვლის, და ჩვენ ვერაფრით შევძლებთ მისთვის ხელის შეშლას“.

„ამჟამად ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია უკრაინის გადასარჩენად, — დასვა წერტილი უმცროსი ბუშის თანაშემწის მოადგილემ ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ჯეიმს კ. ჯეფრიმ. — **თუმცა, მოდი ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ: მთელ ამ მსჯელობებში საუბარი სულაც არ არის „უკრაინის გადარჩენაზე“. საკითხი ასე უნდა დაისვას: გარისკავს თუ არა ამერიკა საკუთარი რეპუტაციით იმ მარიონეტების მხარდაჭერით, როლებმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს შეიარაღებული გადატრიალების გზით, თუ გვერდზე გადგება, რათა რუსეთმა დაასრულოს თავისი „სამშვიდობო მისია“ საკუთარი საზღვრის უშუალო სიახლოვეს?“**

უცხოელი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების ნახევარი აცნობიერებს კონფლიქტის ნამდვილ არსს და პირდაპირ აკისრებს პასუხისმგებლობას დასავლეთს.

**„უკანასკნელი თვეების განმავლობაში ევროკავშირი და აშშ აგრესიულად მიისწრაფვოდნენ უკრაინის რუსეთისგან გამოყოფისკენ და ჩაითრიეს ის თავიანთ ბრძოლაში, თუმცა მშვენივრად ესმოდათ, რომ ეს მოსკოვს განარისხებდა. ნაცვლად იმისა, ვაღიაროთ, რომ ცივი ომი დასრულდა, ჩვენ კვლავ გავაჩაღეთ ეს ომი საპატიო მიზეზის გარეშე რუსეთის მეგობრების წახალისებით ევროკავშირსა და ნატოში შესასვლელად, თითქოს საბჭოთა კავშირი ჯერაც არსებობს“,** — წერს ბრიტანული Daily Mail-ი.

ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული ამერიკული ინტერნეტ-რესურსი Bloomberg-ი ასევე ამართლებს პუტინს და აცხადებს, რომ რუსეთის ლიდერი მრავალი წლის მანძილზე ცდილობდა, „დასავლელი პარტნიორებისთვის“ აეხსნა ყირიმიდან მოსკოვის გაძევების და უკრაინელ ნაციონალისტებთან თამაშის საფრთხე, მაგრამ აშშ, ევროკავშირი და ნატო ჯიუტად არ უსმენდნენ მას...

და მაინც, ობამას მხოლოდ საკუთარი სისუსტე არ აიძულებს, უკიდურესად ფრთხილი განცხადებებით შემოიფარგლოს. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თეთრმა სახლმა, დადო რა სასწორზე უკრაინა და რუსეთი, სწორი არჩევანი გააკეთა.

მოსკოვთან ურთიერთობების გარისკვა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ რისთვის? ახალმა ხელისუფლებამ ერთ კვირაში ჩააგდო ქვეყანა ანარქიაში, თავი გამოიჩინა ნგრევით, და წმენდით, მიიღო მთელი რიგი პროვოკაციული კანონები, გაუშვა უკრაინის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კულტურულ-ენობრივი სეგრეგაციის პროცესი. სხვათა შორის, **აშშ-ც, ევროკავშირიც და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც რატომღაც არ ჩქარობენ კიევისთვის დიდი ხნის წინათ დაპირებული კრედიტის მიცემას...**

როგორც ჩანს, ბარაკ ობამამ გადაწყვიტა, ამჯერად ემოციები გამოერთო და real politics-ის კანონებით ეხელმძღვანელა. რუსეთი ხომ ძალზე ღრმადაა ინტეგრირებული საერთაშორისო პოლიტეკონომიკურ პროექტებში. უფრო მეტიც, **ვაშინგტონმა საკუთარი თავი კრემლზე დამოკიდებული გახადა მთელ რიგ საკითხებში: სირიის ქიმიური იარაღის ლიკვიდაცია, ავღანეთიდან ამერიკული კონტინგენტის ევაკუაცია, ირანის ბირთვული პროგრამა და ასე შემდეგ.**

აი, ამიტომაც იქნება ვაშინგტონი საბოლოო ჯამში იძულებული, კანონზომიერად აღიაროს ყირიმში საომარი კონფლიქტის პროფილაქტიკა, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით ტარდება. იმის ირიბი მტკიცებულება, რომ ამერიკელებმა სწორედ ასეთი სცენარი აირჩიეს, ოდნავ შესამჩნევი დეტალებია. მაგალითად, **ამ დღეებში ბარაკ ობამამ იგნორირება გაუკეთა ძალოვნების შეკრებას თეთრ სახლში და უკრაინაში შექმნილი მდგომარეობის განხილვას.** იმავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ფაქტი: **რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-მა გაიწვია საკუთარი ელჩი გეგმიურ შეცვლასთან დაკავშირებით. ისე გამოვიდა, რომ ახლა ვაშინგტონს მშვენიერი მიზეზი აქვს, არ გამოიყენოს დიპლომატიური ზეწოლის უკიდურესი ფორმა — ელჩის გაწვევა. ნუთუ დამთხვევაა?**

fbii.org




## ყოველი მეათე ამერიკელი თვლის, რომ HTML ვენერიული დაავადებაა

**აშშ-ის ყოველი მეათე მცხოვრები HTML-ს (Hypertext Markup Languare — „ჰიპერტექსტის მარკირების ენა“.**

**ინტერნეტში დოკუმენტების განთავსების ენა) თვლის დაავადებად, რომელიც სქესობრივი გზით გადადის.**

ექსპერტებმა, რომლებმაც 2400 ამერიკელი გამოჰკითხეს, რესპონდენტებს გააცნეს ტექნოლოგიური და ტექნიკური ტერმინების სია და სთხოვეს, მათი სწორი განსაზღვრება ამოერჩიათ.

რესპონდენტთა 23 პროცენტმა განაცხადა, რომ HP3 — ეს არის რობოტი „ვარსკვლავური ომებიდან“, 12 პროცენტის აზრით კი USB რომელიღაც ევროპული ქვეყნის აბრევიატურაა. 27 პროცენტი თვლის, რომ გიგაბაიტი სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული მწერია.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი კვლევის შედეგების მიხედვით, უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში აშშ-ის ელჩის თანამდებობას სავსებით რეალური ღირებულება აქვს და მეორეც, ელჩის თანამდებობის მისაღებად არ არის აუცილებელი დიპლომატიური მუშაობის გამოცდილება... ნორვეგიაში დანიშნულმა ჯორჯ ტსუნისმა ისიც კი არ იცოდა, რომელი პარტია მართავს ამ ქვეყანას.**

# ამერიკაში დიპლომატიით პროფანები არიან დაკავებულნი

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ვიქტორია ნულანდისა და უკრაინის ელჩის — ჯეფრი პაიეტის იმ სატელეფონო საუბრის დეტალები, რომელშიც ამერიკული დიპლომატიური უწყების მეორე პირი ევროპელ პარტნიორებს „აგზავნის“, არ გამოიყურება რაღაც უჩვეულო სიახლედ. მაღალი რანგის ამერიკელ ჩინოვნიკებს უარესებიც წამოუროშავთ. საკმარისია, გავიხსენოთ რუსეთში აშშ-ის უკანასკნელი ელჩის — მაიკლ მაკფოლის რეპლიკა, რომელიც მან ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხის კამერის წინ ბრძანა: „აღმოჩნდა, რომ ეს ველური ქვეყანაა...“ მაკფოლის უშუალო ხელმძღვანელმა ჯონ კერიმ კი არც თუ დიდი ხნის წინათ გამოაცხადა, რომ ვაშინგტონი თეირანს არ მისცემდა უფლებას, განევითარებინა მშვიდობიანი ატომური პროგრამა. და ეს მოხდა უშუალოდ მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ჟენევაში ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შედეგად მხარეები, როგორც იქნა, შეთანხმდნენ საწინააღმდეგოზე. და რად ღირს მისი უკანასკნელი გულახდილობა იმის თაობაზე, რომ თავისუფალ არჩევნებს „ყოველთვის არ მივყავართ დემოკრატიამდე“.**



**G20-ის სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტი მაშინ «ჩაფლავდა», როდესაც ჩართული მიკროფონის გვერდით მდგომმა, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად, ისრაელის პრემიერის, ბენიამინ ნეთანიაჰუს, ძვლების დათვლა დაიწყო**

ბარაკ ობამას ღმერთი და კონსტიტუცია ავალებს, ყურადღებით აწონ-დაწონოს ყველა სიტყვა, რომელსაც კი სახალხოდ წარმოთქვამს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ისიც შორსაა ამისგან. 2011 წლის აპრილში ყატარის ემირ ხამად ბენ ხალიფა ალ-ტანისთან ოფიციალური შეხვედრისას ობამამ აღფრთოვანებით ისაუბრა ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის განვითარების საქმეში შეტანილ „უდიდეს წვლილზე“. ორი საათის შემდეგ კი თავის გარემოცვას და ჟურნალისტებს აუწყა, რომ ამ მიმართულებით თავად ყატარში შესამჩნევი ძვრები არ არის. **ექვსი თვის შემდეგ G20-ის სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტი მაშინ „ჩაფლავდა“, როდესაც ჩართული მიკროფონის გვერდით მდგომმა, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად ისრაელის პრემიერის, ბენიამინ ნეთანიაჰუს, ძვლების დათვლა დაიწყო.**

ვილას უნდა უკვირდეს, რომ ასეთი პრეზიდენტის ხელში აშშ-ის საგარეოპოლიტიკური მანქანა ჭრიალით მოძრაობს და სულ უფრო ხშირად ვარდება სკანდალურ ორმოებში, რითაც დაცინვის უამრავ მიზეზს იძლევა.

მორიგი ასეთი მიზეზი გახდა სენატის მაპროფილებელი კომიტეტის წევრების სავალდებულო შეხვედრა პრეზიდენტ ობამას მიერ ახლადდანიშნულ ამერიკელ ელჩებთან. **აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთაგან არგენტინის, უნგრეთის, ისლანდიისა და ნორვეგიის ელჩები არ იყვნენ საკადრო თანამშრომლები და, როგორც გაირკვა, ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმ ქვეყნებზე, რომლებშიც დაინიშნენ.** მაგალითად, **ნორვეგიაში დანიშნულმა ჯორჯ ტსუნისმა ისიც კი არ იცოდა, რომელი პარტია მართავს ამ ქვეყანას. უნგრეთის ელჩი კოლინ ბელი კი ოკეანის გაღმა მიემართებოდა მტკიცე გადაწყვეტილებით, განესაჯა უნგრელი ნაციონალისტები ებრაელთა შევიწროებისთვის.** ეს იყო თითქმის ყველაფერი, რისი გარკვევაც მან მოახერხა თავისი მომავალი სამსახურის თაობაზე.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი კვლევის შედეგების მიხედვით, უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში აშშ-ის ელჩის თანამდებობას სავსებით რეალური ღირებულება აქვს და მეორეც, ელჩის თანამდებობის მისაღებად სულაც არ არის აუცილებელი დიპლომატიური მუშაობის გამოცდილება.**

ცხადია, ობამა პირველი არ არის, ვინც თავის ერთგულ მომხრეებს მშვიდ და საცხოვრებლად სასიამოვნო ქვეყნებში ელჩად მუშაობით აჯილდოებს, რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში ასეთები ელჩებს შორის თითქმის 40%-ს შეადგენდნენ, კლინტონის პრეზიდენტობისას კი — 35%-ს.

მაგრამ **ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს ამა თუ იმ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა შორის არაპროფესიონალების რაოდენობა მნიშვნელოვნად გადასცდა ნახევარს. აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, სწორედ პრეზიდენტს აქვს უპირატესი უფლებამოსილება, დანიშნოს ელჩები. დიპლომატიურ თანამშრომლებს შორის, რომლებიც სახელმწიფო მოხელეები არიან, ელჩები „თანაბარი შესაძლებლობების“ პრინციპით უნდა შეირჩნენ.**

მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს ყველა ეთნიკური ჯგუფის წევრი და მოსახლეობის ყველა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელი. საკადრო დიპლომატებს ამგვარი წესრიგი არ მოსწონთ. **„რატომაა ჩვენი პროფესია ერთადერთი, სადაც მისაღებია გამოცდილების არმქონე ადამიანის დანიშვნა?** — აღშფოთებულია ამერიკის დიპლომატიური სამსახურის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი სტივენ კაშკეტი. — **ხომ არავის მოუვა აზრად, საავადმყოფოს ხელმძღვანელად სამედიცინო ცოდნის არმქონე ადამიანი დააყენოს!“**

დენის ჯეტი, კაშკეტის ყოფილი კოლეგა, რომელმაც 28 წელი იმსახურა სახელმწიფო დეპარტამენტში და ელჩად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, ახლა პენსილვანიის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. იქ მან იოჰანეს ფედერკესთან ერთად მასშტაბური კვლევა ჩაატარა და გამოავლინა შემდეგი კანონზომიერება: **რაც უფრო მეტი სახსრები მოიზიდა სპონსორმა ბარაკ ობამას საარჩევნო კამპანიაში, მით მეტი შანსი აქვს, ამერიკის ელჩის თანამდებობაზე აღმოჩნდეს ტურისტებით მდიდარ და უსაფრთხო ქვეყანაში.**

**დილეტანტი დიპლომატების კლუბში შესასვლელი ბილეთის ღირებულება,** ჯეტის და ფედერკეს კვლევების თანახმად, **550 ათასი დოლარიდან იწყება.**

პენსილვანიის უნივერსიტეტის კვლევების შედეგები დაადასტურეს აშშ-ის საზოგადოებრივი ინტეგრაციის ცენტრის ექსპერტებმა მიშელ ბეკელმა და კრის ზუბაკმა, რომლებმაც სპეციალური რუკა და ბარაკ ობამას 23 ფანდრაიზერის (ასე უწოდებენ აშშ-ში მათ, ვინც პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებს აფინანსებენ) სია შეადგინეს.

**ამ ადამიანებმა აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიაში 16 მილიონი დოლარი მოიზიდეს და შედეგად, მიუხედავად დიპლომატიური გამოცდილების არქონისა, ევროპაში ამერიკის მეგობარი ქვეყნების ელჩების კომფორტულ სავარძლებში აღმოჩნდნენ.**

აქ ხომ არ იმალება საგარეოპოლიტიკურ არენაზე ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მუდმივი წარუმატებლობის და იმავე ევროპაში ანტიამერიკული განწყობილებების სტაბილური ზრდის ნამდვილი მიზეზები? **თეთრი სახლის და კონკრეტულად სახელმწიფო დეპარტამენტის ავტორიტეტს არ ზრდის არც ის ხმამაღალი სკანდალები, რომლებიც სულ უფრო ხშირად ჟონავს დიპლომატიური კულუარებიდან.**

ობამას პირველი საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ამერიკაში გავლენიანი კენედების კლანის მხარდაჭერა დაეხმარა მას თავიდან პრაიმერიზში, შემდეგ კი თეთრი სახლისთვის ბრძოლაში გამარჯვება მოეპოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის დაწყებამდე ობამამ უამრავჯერ განაცხადა, რომ პოლიტიკური დანიშვნების წინააღმდეგია და სახელმწიფო დეპარტამენტში არსებულ ყველა სერიოზულ თანამდებობაზე მხოლოდ გამოცდილ საკადრო დიპლომატებს დანიშნავდა, მხარდამჭერთათვის მადლობა რომ არ გადაეხადა, უბრალოდ, არ შეეძლო.

**2013 წლის ზაფხულში ობამამ იაპონიაში აშშ-ის ელჩად გააგზავნა ამერიკის მოკლული პრეზიდენტის ქალიშვილი კეროლაინი, რომელსაც არანაირი დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონდა, თავს არიდებდა ზედმეტად ხალხში გამოჩენას და განსვენებული მამის სახელობის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. იმის თქმაც კი ზედმეტია, რომ ახლადგამოჩეკილმა დიპლომატმა ბევრი არაფერი იცოდა აზიის შესახებ და საერთოდ არაფერი გაეგებოდა იაპონური ენისა.**

ლუის სასმენმა, კეროლაინ კენედისგან განსხვავებით, მშვენივრად იცის იმ ქვეყნის ენა, რომელშიც მუშაობს. გასაკვირი არცაა, რადგან ყოფილი იურისტი და ბანკირი, უკვე მეოთხე წელია, დიდ ბრიტანეთში ამერიკის საელჩოს უდგას სათავეში. დიპლომატიური გამოცდილება და დამსახურებები არ გააჩნია, სამაგიეროდ, ობამას საარჩევნო ფონდში 2,3 მილიონი დოლარი შეაგროვა.

საინტერესოა, რომ ლონდონური თბილი სავარძელი სასმენმა ახლანდელი პრეზიდენტის სხვა მსხვილ სპონსორთან — ჟურნალ Vogue-ს მთავარ რედაქტორ ანა ვინტურთან ორთაბრძოლაში მოიპოვა. მისი დანიშვნის შესახებ გავრცელებულ ხმებს გაერთიანებულ სამეფოში იმდენად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა, რომ თეთრი სახლი იძულებული გახდა, სხვა კანდიდატზე ეფიქრა.

**თუ რა შეიძლება მოჰყვეს ელჩების ამგვარად დანიშვნას, ნათლად გვიჩვენებს 11 თვის მანძილზე ლუქსემბურგში აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობის სათავეში მდგარი სინტია სტროუმის სკანდალური გადადგომა.**

სხვათა შორის, **ერაყში ამერიკის საელჩოც ვერ გადაურჩა სკანდალს, როდესაც გაირკვა, რომ მისიის ორი ათასი თანამშრომლიდან ერთეულები ფლობენ არაბულ ენას...**

მწერალი ნიკოლას კრალევი, მუშაობდა რა წიგნზე „ამერიკის მეორე არმია“, ასობით ამერიკელ დიპლომატს შეხვდა და მივიდა ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე: **ობამას დანიშნულთაგან უმეტესობას წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა უხელმძღვანელოს საელჩოს და როგორ უნდა აწარმოოს დიპლომატია XXI საუკუნეში. სიტუაცია იმდენად სასაცილო არაა, რამდენადაც სახიფათოა — ბირთვული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას პროფანები ხელმძღვანელობენ და საეჭვოა, ამგვარი სტრატეგია სასიკეთოდ დასრულდეს.**

fbii.org

## «აუმ სინრიკეს» ერთ-ერთი ლიდერი გაასამართლეს

**ტოკიოს საოლქო სასამართლომ რელიგიური სექტა „აუმ სინრიკეს“ წევრს — მაკოტო ჰირატას, რომელიც 17 წლის განმავლობაში იმალებოდა, 9 წლით აღუკვეთა თავისუფლება.**

ჰირატას ბრალი ედებოდა 1995 წლის თებერვალში ნოტარიუსის (რომელიც სექტის მოღვაწეობას იძიებდა) მოტაცებაში, ტოკიოს ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლისა და სექტის შტაბ-ბინის აფეთქებაში. იაპონელი სამართალდამცველები 17 წლის განმავლობაში ამაოდ ეძებდნენ ჰირატას, ვიდრე ის 2011 წლის 31 დეკემბერს თვითონ არ გამოცხადდა პოლიციაში. რელიგიური სექტა „აუმ სინრიკე“ („აუმის ჭეშმარიტების სწავლება“) 1987 წელს დააარსა სიოკო ასაჰარამ (ტიძაუო მაცუმოტო). სექტის წევრთა რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემით, 30-დან 50 ათასამდე აღწევდა.

1994 წელს „აუმ სინრიკეს“ ადეპტებმა ქალაქ მაცუმოტოში (ნაგანოს პრეფექტურა) მომწამვლელი გაზი (ზარინი) გაუშვეს, შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა. 1995 წლის მარტში კი სექტანტებმა მომწამვლელი გაზი ტოკიოს მეტროპოლიტენში გაუშვეს და 13 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. 6,3 ათასი კაცი კი მძიმედ მოწამლეს. 1995 წლის მარტიდან „აუმ სინრიკეს“ მოღვაწეობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აიკრძალა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომი მომგებიანი საქმეა. შეიარაღებული კონფლიქტების ესკალაცია ამერიკის ეკონომიკას სერიოზული „ანტიკრიზისული“ მხარდაჭერით უზრუნველყოფს. ასე რომ, ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და მსხვილი სამხედრო-სამრეწველო კომპანიების ურთიერთმომგებიანი კავშირები დანარჩენი კაცობრიობის სისხლზე შენდება.**

# პენტაგონისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სისხლიანი ბიზნესი



**ათი წლის მანძილზე აშშ-ის წლიური სამხედრო ბიუჯეტი 2,5-ჯერ გაიბერა — 300-დან 750 მილიარდ დოლარს მიაღწია. 90-იან წლებში დროებითი სიმშვიდის შემდეგ აშშ არა მხოლოდ თავად იარაღდება აქტიურად, არამედ აიარაღებს საეჭვო რეჟიმებს, მეამბოხე დაჯგუფებებსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც არ მალავენ საკუთარ ანტიადამიანურ იდეოლოგიას...**

დამოუკიდებელ დამკვირვებელსაც კი თეთრი სახლისა და კონგრესის საგარეოპოლიტიკური რიტორიკა გადამეტებულად აგრესიულად ეჩვენება. მაგრამ კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ ამ აგრესიულ რიტორიკას მუდამ ახლავს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დააკმაყოფილებს პენტაგონის ახალ მოთხოვნებს და გაამარტივებს ამა თუ იმ ქვეყნისთვის იარაღის მიყიდვას. **ომი მომგებიანი საქმეა. შეიარაღებული კონფლიქტების ესკალაცია ამერიკის ეკონომიკას სერიოზული „ანტიკრიზისული“ მხარდაჭერით უზრუნველყოფს. ასე რომ, ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და მსხვილი სამხედრო-სამრეწველო კომპანიების ურთიერთმომგებიანი კავშირები დანარჩენი კაცობრიობის სისხლზე შენდება.**

სტოკჰოლმის ინსტიტუტის (SIPRI) კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა ხუთი ამერიკული კონცერნი, რომლებიც ყოველწლიურად 150 მილიარდი დოლარის იარაღსა და საბრძოლო მასალებს ყიდის.



### NORTHROP GRUMMAN

**2013 წელს იარაღისა და საბრძოლო კომპონენტების გაყიდვები: 22 მილიარდი დოლარი**

**საერთო დასაქმება: 68 ათასი თანამშრომელი**

**სექტორი: თვითმფრინავები, რაკეტები, გემები, სადაზვერვო სისტემები**

**Northrop Grumman-ის პორტფოლიოს „მარგალიტები“: სახელგანთქმული სტრატეგიული ბომბდამშენი B-2 Spirit (იგივე „სტელსი“) და სადაზვერვო უპილოტო თვითმფრინავი Global Hawk.**

უკანასკნელი წლების მანძილზე კომპანია სპეციალიზდება იმ საბრძოლო დრონების შექმნაზე, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ამერიკული გემებიდან და თვითმფრინავებიდან გაშვებისთვის ეგრეთ წოდებულ ტერორიზმთან ომში. მათი მსხვერპლი გახდა ერაყის, ავღანეთის, პაკისტანის, სომალის, იემენის, ლიბიის ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე.

**2010 წელს Northrop Grumman-ის შტაბ-ბინა ვაშინგტონში გადავიდა, რათა სახელმწიფო დამკვეთებთან უფრო ახლოს ყოფილიყო, მაგრამ ამ მოვლენამდე დიდი ხნით ადრეც პრესამ არაერთხელ გამოავლინა კომპანიის ტოპ-მენეჯერების კავშირები კონგრესის წარმომადგენლებთან.**

ცნობილია, რომ Northrop Grumman-მა 8,5 მილიონი დოლარი გამოყო 1990-2002 წლებში საპარლამენტო საარჩევნო კამპანიების მხარდასაჭერად. მილიონ დოლარზე მეტი მიიღეს 2005-2006 წლებში კონგრესში არჩევნებისას კანდიდატებმა. ეს თანხა ჩამოუვარდებოდა მხოლოდ General Dynamics-ისა და Lockheed Martin-ის მიერ გაღებულს.

იყო დრო, როდესაც **უმცროსი ჯორჯ ბუში NORTHROP GRUMMAN-ის ტოპ-მენეჯერს — ჯეიმს ჯ. როშს პენტაგონის მეთაურობის კანდიდატადაც კი განიხილავდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სექსუალურ სკანდალში გაეხვა და კანდიდატურაც ამის გამო უარყვეს.** უმცროსი ბუშის ადმინისტრაციაში ამ კომპანიის შვიდმა თანამშრომელმა თუ კონსულტანტმა მაინც დაიკავა თანამდებობა... მათ შორის იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლ ვულფოვიცი, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი ლიუის ლიბი, ნასას დირექტორი შონ ოკიფა.

**Northrop Grumman-ს არაერთხელ აკრიტიკებდნენ. 2003 წელს მან 111 მილიონი გადაიხადა, რათა წინასწარვე ცნობილი გამოუსწორებელი წუნის მქონე თვითმფრინავების ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის ჩაბარების სკანდალი ჩაეხშო.** 2009 წელს 325 მილიონი დოლარი დასჭირდა თანამგზავრული დეფექტების ირგვლივ გამოძიების გამო სარჩელის უკან გამოთხოვას.

მიუხედავად ამისა, კომპანიას მშვენიერი მომავალი აქვს — მისმა ხელმძღვანელობამ თეთრ სახლში შეიტანა იმ რეჟიმებისა და დაჯგუფებების გაფართოებული სია, რომელთათვისაც ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების მიყიდვა შეიძლება. ამ შემთხვევაში Northrop Grumman-ის შემოსავლები გაიზრდება და, როგორც აღმასრულებელი დირექტორი უესლი ბუში ირწმუნება, მომავალი წლიდანვე.



### RAYTHEON

**2013 წელს იარაღისა და საბრძოლო კომპონენტების გაყიდვები: 24 მილიარდი დოლარი**

**საერთო დასაქმება: 68 ათასი თანამშრომელი**

**სექტორი: ელექტრონიკა, რაკეტები, კოსმოსური სადაზვერვო სისტემები**

ყველაზე კარგად კომპანიას მართვადი და ბალისტიკური რაკეტები გამოსდის, მაგალითად, დედამიწის ყველა კუთხეში სავალალოდ ცნობილი Patriot, Stinger და Tomahawk. **ბოლო წლებში კომპანიის გამომგონებლებმა შეიმუშავეს კომპიუტერული პროგრამა RAPID, რომელიც სოციალური ქსელების საშუალებით ადამიანთა გადაადგილების შესწავლის საშუალებას იძლევა.**

„ყურეში ომის“ შემდეგ ჯორჯ ბუშ უმცროსმა Patriot-ს მნიშვნელოვანი რეკლამა გაუკეთა, როდესაც განაცხადა, რომ მან 42-დან 41 ერაყული რაკეტა დაიჭირა, რამაც Raytheon-ის პროდუქციისადმი ინტერესი გაზარდა. მაგრამ კონგრესში ჩატარებულმა გამოძიებამ გამოავლინა, რომ ბუშმა იცრუა.

**RAYTHEON-ის შემოსავლების დიდი ნაწილი ფედერალური თავდაცვითი კონტრაქტებისგან შედგება, ამის გამო კომპანია აქტიურად იზიდავს ფედერალურ პოლიტიკოსებს. მაგალითად, მისი კონსულტანტია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე რიჩარდ არმიტაჟი, დირექტორთა საბჭოში კი შედიან ცსს-ს ექსდირექტორი ჯონ დეიჩი და ექსსენატორი უორენ რუდმანი.**

კომპანიის ხელმძღვანელობა კაცთმოყვარეობით არ გამოირჩევა, **2010 წელს გაირკვა, რომ Raytheon-ი ცდიდა „არალეტალურ იარაღს“ კალიფორნიის ციხის პატიმრებზე.** ამ ფორმულირების უკან კი იმალება უახლესი იარაღი, რომელიც ადამიანის სისხლძარღვებზე არაადამიანურ ზეწოლას ახდენს.



### GENERAL DYNAMICS

**2013 წელს იარაღისა და საბრძოლო კომპონენტების გაყიდვები: 25 მილიარდი დოლარი**

**საერთო დასაქმება: 95 ათასი თანამშრომელი**

**სექტორი: არტილერია, თვითმფრინავები, ელექტრონიკა, სამხედრო თვითმფრინავები, სასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, გემები**

100 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც General Dynamics-მა პირველი ამერიკული სუბმარინი ჩაუშვა წყალში. ახლა კომპანია სიდიდით მესამეა ამერიკის მთელ სამხედრო სამრეწველო კომპლექსში. კომპანიის მთავარი სიამაყეა ყველაზე მასიური რეაქტიული გამანადგურებელი F-16 Fighting Falcon, მაგრამ სინამდვილეში საამაყო არაფერია — ის არავის უთმობს პირველობას აშშ-ისა და ნატოს მონაწილეობით ბოლო დროის კონფლიქტებში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვის მაჩვენებლებით.

როგორც უკვე ითქვა, **GENERAL DYNAMICS-ი ფინანსურ დახმარებას უწევდა კონგრესში ადგილებზე პრეტენდენტებს. 2005-2006 წლებში ამ მიზნებისთვის კომპანიამ 3 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა,** მაგრამ ეს შემოწირულობები სკანდალებისგან ყოველთვის ვერ იხსნიდა კომპანიას. 2008 წელს მან 4 მილიონი დოლარი გადაიხადა ხაზინაში სამხედრო ავიაციისა და წყალქვეშა ნავებისთვის წუნიანი კომპონენტების მიწოდების გამო სარჩელის დასარეგულირებლად.



### BOEING

**2013 წელს იარაღისა და საბრძოლო კომპონენტების გაყიდვები: 38 მილიარდი დოლარი**

**საერთო დასაქმება: 171.7 ათასი თანამშრომელი**

**სექტორი: თვითმფრინავები, ელექტრონიკა, რაკეტები, კოსმოსი**

ეს კომპანია ისტორიაში შევა როგორც B-52 Stratofortress-ის შემქმნელი. ეს მთავარი დამრტყმელი ძალა იყო აშშ-ისთვის ვიეტნამის ომში და მისი პილოტების სინდისზეა მშვიდობიან მოსახლეობას შორის ათასობით მსხვერპლი.

2003 წლის დეკემბერში პენტაგონმა შეაჩერა პროექტი საზღვაო ბომბდამშენ P-8 Poseidon-ის შესაქმნელად კომპანიის ტოპ-მენეჯერების წინააღმდეგ კორუფციაში ბრალდებების გამო. მალე ამან Boeing-ის გენდირექტორის, ფილიპ კონდიტას, გადადგომა განაპირობა, ერთ-ერთი თანამშრომელი კი ციხეში აღმოჩნდა. **2005 წელს კომპანიამ წააგო მთავარ კონკურენტ Lockheed Martin-თან სამრეწველო ჯაშუშობასთან დაკავშირებული საქმე, რის გამოც პენტაგონმა იგი 500 მილიონი დოლარით დააჯარიმა.**

**2009-2010 წლებში კომპანია სამთავრობო სტრუქტურებში საკუთარი ინტერესების დაცვისთვის 17-17 მილიონ დოლარს ხარჯავდა.** 2008 წლის არჩევნებზე კი Boeing-ი ბარაკ ობამას კამპანიის სპონსორი გახდა.



### LOCKHEED MARTIN

**2013 წელს იარაღისა და საბრძოლო კომპონენტების გაყიდვები: 40 მილიარდი დოლარი**

**საერთო დასაქმება: 116 ათასი თანამშრომელი**

**სექტორი: თვითმფრინავები, ელექტრონიკა, რაკეტები, კოსმოსი**

კონცერნის პორტფოლიოში რაკეტები Trident, სამხედრო თვითმფრინავები P-3 Orion, F-16 Fighting Falcon, F-22 Raptor, C-130 Hercules და A-4aR Fightinghawk.

**2009-2010 წლებში კომპანიის ინტერესების ლობირების ხარჯებმა შესაბამისად 13,7 და 13,2 მილიონი დოლარი შეადგინა. კომპანია რეგულარულად ასპონსორებს კონგრესმენებს, სენატორებს, პრეზიდენტობის კანდიდატებს.**

თქმაც არ უნდა, რომ პოლიტიკოსები ამერიკული თავდაცვის ლიდერებს ვალში არ რჩებიან. მაგალითად, 2013 წლის მარტში სენატში მერილენდის შტატის წარმომადგენელმა დემოკრატების მეთაურმა რობერტ გარაჟიოლამ გაიტანა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც Lockheed Martin-მა შეძლო საგადასახო გადახდების უკან დაბრუნება და მილიონობით ამერიკული დოლარი მიიღო.

fbii.org

## პედოფილი — სკოლის დირექტორი

**ამერიკელმა სამართალდამცველებმა ჩაატარეს სპეცოპერაცია სახელწოდებით „გაბზარული გული“ და დააკავეს 14 ადამიანი, მათ შორის ქალაქ დუგლასვილის (ჯორჯიის შტატი, აშშ) დაწყებითი სკოლის დირექტორი ჯონ მაკგილი.**

56 წლის მაკგილს, რომელიც სკოლის დირექტორად 16 წლის განმავლობაში მუშაობდა, მიუგზავნეს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი, რომელიც მოზარდი გოგონას დედად წარუდგა და გარკვეული თანხის სანაცვლოდ თავისი არასრულწლოვანი შვილის სექსუალური მომსახურება შესთავაზა.

სამართალდამცველებმა მაკგილი სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როდესაც მან მიგზავნილ ქალს თანხმობა განუცხადა. პედოფილიის საქმის დანარჩენი ფიგურანტები 21-დან 64 წლამდე მამაკაცები არიან, რომლებიც განათლების სფეროში წლების განმავლობაში მუშაობდნენ.



**NORTH AMERICAN ISLAMIC TRUST-Ი „ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ 12,4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐᲨᲘ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ, ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲛᲔᲩᲔᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ NORTH AMERICAN ISLAMIC TRUST-ᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲙᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓᲐᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲔᲩᲔᲗᲨᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ.**

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲝᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ

**საიტზე Fox News ერთმა ახალმა ამბავმა ისე გაიელვა, რომ დიდი ხმაური არ გამოუწვევია, არადა, უნდა გამოეწვია. ხსენებული ისლამური ორგანიზაცია North American Islamic Trust (ჩრდილოამერიკული ისლამური ფონდი) არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარსდგა, არამედ აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაშიც შედიოდა, როგორც ტერორისტული საქმიანობის დასაფინანსებლად სახსრების გადაქაჩვის დანაშაულებრივი შეთქმულების წევრი. სასამართლო 2008 წელს შედგა და მთავარი მოპასუხე იყო Holy Land Foundation (წმიდა მიწის ფონდი), რომელმაც ღაზას სექტორში „ჰამასის“ ანგარიშზე გადარიცხა ფული.**



ᲨᲔᲘᲮᲘ ᲛᲣᲑᲐᲠᲐᲙ ᲒᲘᲚᲐᲜᲘ

ზუსტად ამ „ისლამურმა ფონდმა“ თავი ფერმერულ მეურნეობად გამოაცხადა და ახლა ფედერალური სუბსიდიის სახით ათასობით დოლარს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ რაიმეს თესვის ან მოსავლის აღების მსგავსს არაფერს აკეთებს. ვიდრე სასამართლო მიმდინარეობდა, სოფლის მეურნეობის სუბსიდირება შეწყვეტილი იყო, მაგრამ შემდეგ მოსამართლემ დაადგინა, რომ გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან ფონდის დაფინანსება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

როგორც კონგრესმა გამოარკვია, ეს შემთხვევა აისბერგის მხოლოდ მწვერვალია. **ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲣᲑᲡᲘᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲯᲣᲠᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲐᲠᲒᲗᲐᲜ ᲝᲓᲜᲐᲕᲘ ᲨᲔᲮᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ.**

ანგარიშებიდან ჩანს, რომ North American Islamic Trust-მა გადასახადების გადამხდელთაგან სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში 10 ათასი დოლარი მიიღო. მის მფლობელობაში მიწის ორი მომცრო ნაკვეთი სასოფლო სამეურნეო მიწებად ითვლება, მაგრამ იქ ამ მიწების დანიშნულებასთან მიახლოებულიც კი არასდროს არაფერი მომხდარა. მიუხედავად ამისა, მთელი ფული სავსებით კანონიერად იქნა მიღებული, რადგან ფონდი აღიარებულია საქველმოქმედო ორგანიზაციად და მისი საქმიანობა არ ექვემდებარება დაბეგვრას.

**North American Islamic Trust 1973 წელს შეიქმნა ახლო აღმოსავლელი სტუდენტების მიერ და შედის მუსლიმანურ სტუდენტურ ასოციაციაში. მისი დამაარსებლების უმეტესობა მიეკუთვნებოდა „მუსლიმანთა საძმოს“ (რომელიც ეგვიპტეში არაკანონიერ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადდა). როგორც მსგავსი ტიპის სხვა ყველა ორგანიზაცია, North American Islamic Trust საუდის არაბეთის მხარდაჭერით სარგებლობს. ფონდს აქვს თავისი საინვესტიციო კომპანია Allied Asset Advisors (გაერთიანებული ფონდების მრჩევლები), რომელიც შარიათის კანონების მკაცრი დაცვით მოქმედებს და ფულს აბანდებს შენობების ყიდვასა და მათ მეჩეთებად თუ ისლამური თემების ცენტრებად გადაკეთებაში. გაერთიანებული ფონდების მრჩევლის დირექტორთა საბჭოს წევრი ჯამალ საიდი ქადაგებს ისლამის გაცილებით კონსერვატორულ ფორმას და უშუალოდ მონაწილეობდა ღაზას სექტორში ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასისთვის“ ფულის გადარიცხვაში. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ North American Islamic Trust „მუსლიმანთა საძმოს“ წევრია.**




## ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲦᲐᲑᲥᲕᲔᲨ, ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ, 35 ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ

როგორც ცნობილია, 2009 წლიდან თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის დადგენილებები შეიცვალა. ახლადგამომცხვარმა პრეზიდენტმა ობამამ თავისი „ქაიროს სიტყვა“ წარმოთქვა და „მუსლიმანთა საძმოს“ წარმომადგენლებს მიმართა. ამ მიმართვისას მან „მუსლიმანთა საძმოს“ უწოდა მშვიდობიანი და ზომიერი ორგანიზაცია, რომელიც უარყოფს ძალადობას.

**NORTH AMERICAN ISLAMIC TRUST-Ი „ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ 12,4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐᲨᲘ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ, ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲛᲔᲩᲔᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ NORTH AMERICAN ISLAMIC TRUST-ᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲙᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓᲐᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲔᲩᲔᲗᲨᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ.**

ფული ირიცხებოდა Islamic Center of Central Missouri Mosque-ის (მისურის ცენტრალური მეჩეთის ისლამური ცენტრი) მისამართზე. ფერმა, რომლისთვისაც იხდიდნენ ფულს, ბუნის საგრაფოში მდებარეობს. ეს არის 100 აკრის ფართობის ნაკვეთი, რომლის ღირებულება დაახლოებით 59 ათას დოლარს შეადგენს.

მაგრამ ამჟამად საკითხავია არა მხოლოდ ის, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ფერმერების დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დიდი დეპრესიის პერიოდში ამოქმედდა, არამედ ისიც, რომ **ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲦᲐᲑᲥᲕᲔᲨ, ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ, 35 ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ.**

რაც ძალიან საინტერესოა, **ეს ორგანიზაციები ყიდულობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და ქმნიან მათზე თემებს, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ სოფლის მეურნეობასთან.**

მაგალითად, **Jamaat ul-Fuqra-მა, რომელიც ცნობილია, როგორც „ამერიკის მუსლიმანები“, ნიუ იორკიდან კალიფორნიამდე ათიათასობით აკრი მიწა იყიდა და იქ ორგანიზაციის ლიდერი შეიხ მუბარაკ გილანი „ისლამური ბრძოლის წარმოების საუკეთესო საწვრთნელ კურსებს“ ატარებს.**

„ალაჰის ჯარისკაცები“ ვიდეორგოლში, რომელიც გადაღებულია სპეციალურად პოტენციური რეკრუტებისთვის, გილანი ამბობს: **„ჩვენ ვიბრძვით, რომ გავანადგუროთ მტერი. ჩვენ ვებრძვით ბოროტების ფესვებს და ეს ფესვები ამერიკაა“.**

**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲚᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲔᲭᲕᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ „ᲣᲝᲚ ᲡᲢᲠᲘᲢ ᲯᲝᲠᲜᲔᲚᲘᲡ“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ, ᲓᲔᲜᲘᲔᲚ ᲞᲔᲠᲚᲘᲡ, ᲓᲐᲢᲧᲕᲔᲕᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲐᲨᲘ, ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲘᲡᲔ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲝᲙᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ — ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲜᲘᲦᲑᲘᲗ.**

ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია, ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს, რადგან ეშინია, რომ მას ისლამის წინააღმდეგ ბრძოლასა და ისლამოფობიაში დასდებენ ბრალს. ამასთან, გილანის ფერმების „კურსდამთავრებულები“ გაივლიან რა სამხედრო მომზადების პირველ ეტაპებს ამერიკაში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე პაკისტანში იგზავნებიან. თავიანთ „სასოფლო-სამეურნეო თემებში“ რეკრუტები შარიათის კანონებით ცხოვრობენ და ამ კანონებს ადგილობრივ და ფედერალურ კანონებზე მაღლა აყენებენ. ხელისუფლება გილანის მიერ შექმნილ თემებს „კლასიკურად სტრუქტურირებულ ტერორისტულ დანაყოფებს“ უწოდებს.

**ტერორისტული ბანაკები, იგივე ფერმები არსებობს ალაბამაში, ჯორჯიაში, ოკლაჰომაში, სამხრეთ კაროლინაში, ტენესსა და ვირჯინიაში, კალიფორნიაში, კოლორადოში, ტეხასში, მერილენდში, ოჰაიოში, პენსილვანიაში, მიჩიგანსა და დასავლეთ ვირჯინიაში.**

ვინაიდან ამერიკული კანონი „ეკლესიებს, საქველმოქმედო და არაკომერციულ ორგანიზაციებს“ ნებას რთავს, მოითხოვონ სუბსიდიები და გადასახადების გადახდისგან განთავისუფლება, უნდა ვივარაუდოთ, რომ გადასახადების გადამხდელთა ფული მხოლოდ North American Islamic Trust-ის ფერმაში არ იგზავნება.

ავიღოთ იგივე შეიხი გილანი. ჟურნალისტი დენიელ პერლი სწორედ მასთან შეხვედრაზე მოიწამლა და პაკისტანის უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა კიდეც, მაგრამ მტკიცებულებების სიმცირის გამო გაათავისუფლეს.

**ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲩᲐᲓᲘᲐᲜ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ.**

იუსტიციის სამინისტროს ანგარიშიდან ჩანს, რომ **Jamaat ul-Fuqra ამერიკის ტერიტორიაზე თავისი ნაყოფიერი მუშაობის 20 წლის მანძილზე უამრავ მკვლელობასთან, აფეთქებასთან და სხვა სახის დანაშაულებებთანაა კავშირში.**

**შინნაზარდმა ტერორისტებმა ამ ყველაფერთან ერთად ათასგვარი საშუალება გამონახეს, რომ საკუთარი მოღვაწეობა ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე დააფინანსონ.** სამაგიეროდ შემოსავლების სამსახური მიკროსკოპის ქვეშ ამოწმებს იმ კონსერვატიული ორგანიზაციების განაცხადებს, რომელთაც პანტაპუნტით ისტუმრებს არაკომერციული ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებაზე უარით. ნუთუ ახლანდელი მთავრობისთვის კონსერვატორები ტერორისტებზე უფრო საშიშნი არიან?

**ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲩᲐᲓᲘᲐᲜ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ**

forum.polismi.org

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ




## ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲙᲚᲐᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲕᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ

**გასულ კვირას კალიფორნიის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის სამ მესამეკლასელს ბიჭების ტუალეტში მარიხუანის მოწევისას წაასწრეს. სამართალდამცველთა განცხადებით, 8-9 წლის ბიჭები მარიხუანის მოწევის მომენტში სხვა მოსწავლემ გამოიჭირა და პოლიციას აცნობა.** აღსანიშნავია, რომ კალიფორნია აშშ-ის პირველი შტატია, რომელშიც მარიხუანის მოწევა ნებადართულია, შესაბამისი კანონი 1996 წელს მიიღეს.



დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბანდერელებმა კოსტიოლებში (პოლონური ეკლესია — რედ.) მღვდელმსახურების მიმდინარეობისას 11 ქსენძი (პოლონელი მღვდელი — რედ.), ხოლო ქალაქის ქუჩებში 2000 პოლონელი დახოცეს. გერმანულმა გარნიზონმა, პოლიციამ და კაზაკებმა, რომელთა რაოდენობა 600-ს აღწევდა, არავითარი ზომა არ მიიღეს პოლონელთა ხოცვა-ჟლეტის შესაჩერებლად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდა პოლონელთა მიმართ ანგარიშსწორება, გერმანელებმა გამოაკრეს განცხადება, რომელიც პოლონელებს ჟანდარმერიაში მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდებდა ბანდერელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბევრი პოლონელი, რეპრესიების შიშით, დათანხმდა გერმანელებთან თანამშრომლობაზე“.

# უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ჩადენილი მხეცობები დიდ სამამულო ომში

## დოკუმენტები უკრაინელი ნაციონალისტებისა და ფაშისტების თანამშრომლობის შესახებ

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) 1942-1945 წლების დოკუმენტები მეორე მსოფლიო ომში უკრაინელი ნაციონალისტების საქმიანობის შესახებ.**


უკრაინული ნაციონალისტების მსვლელობა კიევის ცენტრში სტეპან ბანდერას ხსოვნის პატივსაცემად.

დოკუმენტებში მოყვანილია მოწმეთა ჩვენებები, რომლებშიც ლაპარაკია უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის — უკრაინელ ამბოხებულთა არმიის წევრების თანამშრომლობაზე ფაშისტ დამპყრობლებთან, აგრეთვე, მათ მონაწილეობაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ დახვრეტაში. ამ დოკუმენტებს 2008 წელს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“.

სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველოს უფროსის, პაველ სუდოპლატოვის, 1945 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ მიმართვაში ამავე უწყების მე-3 სამმართველოს უფროს ილია ილიუშინისადმი, ნათქვამია, რომ **„გერმანელებმა, გადააქციეს რა კიშენსკ-ორიოლსკის რაიონი თავიანთ საყრდენ ბაზად, უკრაინელი ნაციონალისტების დახმარებით, ეს რაიონი ყოველივე საბჭოურისგან გაწმინდეს. მაგალითად, 1942 წლის გაზაფხულზე სოფელ ძველ ორლიკში გერმანელებმა შეიპყრეს და შემდეგ მდინარე დნეპრის ნაპირთან დახვრიტეს 60 საბჭოთა ოჯახი, სოფელ კიტაი-გოროდში — 45, კოტოვსკის რაიონის სოფელ ჟდანოვკაში — 35, სოფელ ნეხვოროშჩაში — 200, სოფელ პერეშჩეპინოში — 100 ოჯახი, ხოლო 2 ადამიანი — მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსის ყოფილი თანაშემწე და კოლმეურნეობის ბრიგადირი — გერმანელთა კომენდანტურის კარის წინ ჩამოახრჩეს. ასეთ მხეცობას ადგილი ჰქონდა სხვა სოფლებშიც. ამის შემდეგ გერმანელებმა დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის გადაბირება, ძირითადად, სამარის ტყეებთან მდებარე რაიონების პოლიციაში სამუშაოდ“.**

ნაციონალისტების მსხვერპლნი ხდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. მაგალითად, 1943 წლის 4 აგვისტოს აგენტურული მონაცემებით, მასობრივად დახოცეს ქალაქ როვნოში მცხოვრები პოლონელები.

**„აგენტმა, რომელიც ვლადიმირ-ვოლინსკის მთებიდან ბრუნდებოდა, გვაცნობა, რომ 1943 წლის 18 ივლისს შეესწრო უკრაინელი ნაციონალისტ-ბენდერელების მიერ მოწყობილ ვლადიმირ-ვოლინსკში მცხოვრები პოლონელების ხოცვა-ჟლეტას. ბანდერელებმა კოსტიოლებში** (პოლონური ეკლესია — რედ.) **მღვდელმსახურების მიმდინარეობისას 11 ქსენძი** (პოლონელი მღვდელი. — რედ.), **ხოლო ქალაქის ქუჩებში 2000 პოლონელი დახოცეს. გერმანულმა გარნიზონმა, პოლიციამ და კაზაკებმა, დაახლოებით 600-მა კაცმა, არავითარი ზომა არ მიიღეს, რომ პოლონელთა ხოცვა-ჟლეტა შეეჩერებინათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდა პოლონელთა მიმართ ანგარიშსწორება, გერმანელებმა გამოაკრეს განცხადება, რომელიც პოლონელებს ჟანდარმერიაში მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდებდა ბანდერელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბევრი პოლონელი, რეპრესიების შიშით, დათანხმდა გერმანელებთან თანამშრომლობაზე,“** — აღნიშნულია პატაკში.





**„უკრაინის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ამ განცხადებით შეურაცხყო მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა — რუსების, უკრაინელების, ებრაელების, პოლონელების — ხსოვნა, რომლებიც მხეცურად დახოცეს ფაშისტების დამხმარეებმა, მათ შორის, უკრაინელი ნაციონალისტების წარმომადგენლებმა. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტები ხელთ გვაქვს და მზად ვართ, ისინი ბატონ სერგეევს გავაცნოთ“**




ბანდერელების მიერ დახოცილები

რთული იყო უკრაინელი ნაციონალისტებისა და რიგითი უკრაინელების ურთიერთობა.

**„უკრაინის არმიაში „მოხალისეების“ გადაბირება ხდებოდა სამხედრო განყოფილებაში გამოძახებით, სადაც მათ სთავაზობდნენ, „თავიანთი ნებით“ შესულიყვნენ „უკრაინის ნაციონალურ“ არმიაში. ამასთანავე, გამოცხადებული იყო, რომ ეს არმია მხოლოდ უკრაინის ინტერესებს დაიცავდა. უკრაინის არმიაში „ნებაყოფლობით“ შესვლაზე უარის მთქმელთ გერმანელები არაკეთილსაიმედო ადამიანებად თვლიდნენ. მათ აპატიმრებდნენ და გზავნიდნენ კრემენჩუგისა და დნეპროპეტროვსკის სპეციალურ ბანაკებში,“** — აღნიშნულია დოკუმენტებში, რომლებიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული განყოფილებაში „საარქივო სამსახური“.

### ბანდერელების თავისმართლება

გაეროში უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა იური სერგეევმა რამდენიმე დღის წინათ საჯაროდ გაამართლა უკრაინელი ნაციონალისტები, როდესაც განაცხადა, რომ მათ მიმართ ნიურნბერგის პროცესზე სსრკ-ის მიერ წარმოდგენილი ბრალდებები ფალსიფიცირებული იყო.

**„რუსეთ-სსრკ-ის მხარე იმხანად ცდილობდა მოკავშირეებზე ზემოქმედებას, რათა მათ ბანდერელები და სხვები მკვლელებად ელიარებინათ. რატომ არ აღიარა ნიურნბერგის პროცესმა ეს? იმიტომ, რომ ფაქტები ფალსიფიცირებული იყო, იმიტომ, რომ იმ პერიოდში სსრკ-ის პოზიცია უსამართლო იყო,“** — განუცხადა უკრაინელმა დიპლომატმა ჟურნალისტებს.

სერგეევმა ჟურნალისტებს მოუწოდა, ისე არ წარმოედგინათ, რომ ქვეყნის დასავლეთში მცხოვრები ყველა ადამიანი ნაცისტი და ბანდერელია.

**„დასავლეთში მცხოვრები მილიონობით უკრაინელი ნორმალური ევროპელი მოქალაქეა“,** — განაცხადა მან.

### რფ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია

იური სერგეევის განცხადებას რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ უპასუხა და განაცხადა, რომ რუსეთი აღშფოთებულია ამ ბილწი განცხადებით.

**„უკრაინის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ამ განცხადებით შეურაცხყო მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა — რუსების, უკრაინელების, ებრაელების, პოლონელების — ხსოვნა, რომლებიც მხეცურად დახოცეს ფაშისტების დამხმარეებმა, მათ შორის, უკრაინელი ნაციონალისტების წარმომადგენლებმა. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტები ხელთ გვაქვს და მზად ვართ, ისინი ბატონ სერგეევს გავაცნოთ,“** — ნათქვამია რფ-ის საგარეო უწყების განცხადებაში.

„პირად ცხოვრებაზე იგი ყველაზე ნაკლებს ზრუნავდა. ცხოვრებისგან არაფერს მოითხოვდა და ასეთი მოთხოვნა სოციალისტურ პრინციპებთან შეუთავსებლად მიაჩნდა. საკმარისად პატიოსანი იყო, თავისი იდეისთვის პირადი მსხვერპლი რომ შეეწირა.“

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-8 (236-243)

როცა მცირერიცხოვანმა პროცესიამ სასაფლაოს მიაღწია, ყვებოდა ირემაშვილი, „კობამ მაგრად მომიჭირა ხელზე ხელი, მიმითითა კუბოზე და მითხრა: **„სოსო, ამ არსებამ გამილღო ქვის გული; იგი მოკვდა და მასთან ერთად — ჩემი თბილი გრძნობები ადამიანებისადმი“.** მან მარჯვენა ხელი გულზე დაიდო: **„აქ, შიგნით ყველაფერი ისე დაცარიელდა, ვერ გადმოგცემ“.**

**Такер Р. с. 88.**

დარჩა მცირეწლოვანი ბიჭი — იაკობი.

**Васильев Л.1 с. 173.**

იაკობ ჯუღაშვილი დაიბადა 1907 წლის 19 მარტს. დედამისი — ეკატერინე სვანიძე — სტალინის პირველი ცოლი — რვა თვის შემდეგ მუცლის ტიფით გარდაიცვალა. 14 წლამდე მას დეიდა ალექსანდრა მონასელიძე ზრდიდა, 1921 წელს იაკობი მამასთან მოსკოვში გადასახლდა.

**Краскова В.С. Кремлевские дети. Минск: Литература, 1998. с. 110.**

(შემდეგ ციტირებულია Краскова 3.1)

დიდ ცხოვრებაში რომ შედიოდა, ჯუღაშვილმა გაიყოლა ღვარძლიანი, უსაზღვრო მტრული განწყობილება სასკოლო ადმინისტრაციისადმი, ბურჟუაზიისადმი — ყველაფრისადმი, რაც ქვეყანაში არსებობდა და ცარიზმს განასახიერებდა...

**Иремашвили И. с. 24.**

სტალინსაც ეხება ერიკ ჰ. ერიქსონის... სიტყვები: **„იგი... გაუტეხელი ჭაბუკი დარჩა, მან გადაწყვიტა, დადგომოდა ცხოვრებისეულ გზას, რომელიც ბურჟუაზიული ბედნიერების, ეკონომიკური საიმედოობისა და შინაგანი სიმშვიდის მიღმა გადიოდა“.**

**Ноймайр А. с. 337.**

რევოლუციამდე სტალინს ვიცნობდი მხოლოდ მისი ნაშრომით „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, რომელსაც ჩვენ შპრინგერისა და ოტო ბაუერის წიგნებთან ერთად გულდასმით ვსწავლობდით 1915 წელს მარქსისტულ წრეში, როცა სემინარიაში ვიმყოფებოდი. სტალინის ნაშრომმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**Микоян А.И. Так было. Размышления о минувшем. М.: Вергиус. 1999. с. 347.**

სტალინის ერთ-ერთი თანამებრძოლი ქალის აღწერით ვიგებთ, როგორად წარდგებოდა იგი ჩვეულებრივ პოლიტიკურ შეკრებებზე: **„იგი დაბალი ტანისა იყო, გამხდარი... მას ეცვა გლეხის მუქი ლურჯი ბლუზი, ვიწრო ქურთუკი და ეხურა შავი თურქული ქუდი... ჩემდამი უნდობლობით იყო განწყობილი. ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ მან გადმომცა არალეგალური ლიტერატურის შეკვრა... იმავე უცვლელი უნდობლობით გამაცილა კარამდე“.**

**Ноймайр А. с. 339.**

**პირად ცხოვრებაზე იგი ყველაზე ნაკლებს ზრუნავდა. ცხოვრებისგან არაფერს მოითხოვდა და ასეთი მოთხოვნა სოციალისტურ პრინციპებთან შეუთავსებლად მიაჩნდა. საკმარისად პატიოსანი იყო, თავისი იდეისთვის პირადი მსხვერპლი რომ შეეწირა.**

**Иремашвили И. с. 232.**

გარეგნული არაპრეზენტაბელობის მიუხედავად, როგორც ჩანს, იგი მაშინვე სარგებლობდა გარკვეული ავტორიტეტით, იმიტომ, რომ შემდეგ ავტორი ასე წერს: **„დათქმულ დროს კობა კვლავ ადგილზე არ აღმოჩნდა. იგი ყოველთვის იგვიანებდა, ბევრს არა, სამაგიეროდ — რეგულარულად... ის რომ მოვიდა, ატმოსფერო შეიცვალა... და დაძაბული გახდა. ჩვეულებრივ, იგი წიგნით მოდიოდა, რომელიც მარცხენა დამახინჯებული ხელის იღლიაში ჰქონდა ამოდებული და სადმე გვერდით ან კუთხეში ჯდებოდა. იგი უსიტყვოდ იცდიდა, სანამ ყველა თავის სათქმელს იტყოდა. ყოველთვის ბოლოს გამოდიოდა... და საკუთარ აზრს, როგორც საბოლოო აზრს, ისე წარმოადგენდა, ამით ხაზს უსვამდა, რომ დისკუსია დამთავრებულია, ამიტომ რჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ყველაფერს, რასაც იგი ამბობდა, განსაკუთრებული წონა ჰქონდა“.**

**Ноймайр А. с. 339.**

ლენინის შესახებ კობამ პირველად 1990 წელს გაიგო. ალილუევები (მისი მეორე ცოლის — ნადეჟდას მშობლები) თბილისში ცხოვრობდნენ, მათ სახლში სტალინმა გაიცნო ადამიანი, რომელმაც მისი ცხოვრება შეატრიალა — ვიქტორ კურნატოვსკი. კურნატოვსკის რევოლუციური ნიჭი ჰქონდა. ახალი ჩამოსული იყო, როცა თავის



**პოლიციამ კობაზე კრიმინალური საქმე შეადგინა. იქ იყო ფოტოსურათები ანფასსა და პროფილში და ასეთი ჩანაწერი: «სიმაღლე ორი არშინი და ორი გოჯი (დაახლოებით 163 სმ); სხეულის აგებულება — საშუალო; ასაკი — 23 წელი. მარცხენა ფეხის მეორე და მესამე თითები შეზრდილია. თმები, წვერი და ულვაში მუქია. ცხვირი — სწორი და გრძელი. შუბლი — სწორი და დაბალი. სახე — წაგრძელებული, შავგვრემანი, ჭორფლიანი»**

გარშემო ყველა თბილისელი ბოლშევიკი შემოიკრიბა. ლენინის შესახებ სტალინმა პირველად მისგან შეიტყო.

**Васильева Л.1 с. 179.**

## ლენინის დამხმარენი

1903 წლის შემოდგომაზე სტალინს ირკუტსკის გუბერნიაში გადაასახლებენ. 27 ნოემბერს იგი ჩადის ბალაგანსკის მაზრის სოფელ ნოვაია უდაში, 1904 წლის 5 იანვარს კი გაიქცევა თბილისში.

**Иванов Я. Независимая газета, 1996, 21 дек.**

პოლიციამ კობაზე კრიმინალური საქმე შეადგინა. იქ იყო ფოტოსურათები ანფასსა და პროფილში და ასეთი ჩანაწერი: **„სიმაღლე ორი არშინი და ორი გოჯი (დაახლოებით 163 სმ); სხეულის აგებულება — საშუალო; ასაკი — 23 წელი. მარცხენა ფეხის მეორე და მესამე თითები შეზრდილია. თმები, წვერი და ულვაში მუქია. ცხვირი — სწორი და გრძელი. შუბლი — სწორი და დაბალი. სახე — წაგრძელებული, შავგვრემანი, ჭორფლიანი“.**

**Грей Я. с. 37.**

ლენინი პირველად 1903 წელს გავიცანი. მართალია, ეს გაცნობა არ იყო პირადი, არამედ — დაუსწრებელი, მიმოწერით. მაგრამ მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც თან გამყვა პარტიაში მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე. მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული. **ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით კი, 1901 წლის შემდეგ, „ისკრის“ გამოცემის კვალზე, დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი ადამიანი. მაშინ იგი ჩემს თვალში პარტიის უბრალო ხელმძღვანელი არ იყო, იგი მისი ფაქტობრივი შემქმნელი იყო, რადგან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და გადაუდებელი საჭიროებანი.** როცა მან ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს ვადარებდი, ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინის თანამებრძოლები — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები მასზე ერთი თავით დაბლა დგანან, რომ ლენინი მათთან შედარებით ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი, რომელსაც გაბედულად მიჰყავს პარტია რუსული რევოლუციური მოძრაობის გაუკვალავი გზებით.

**Сталин И. т. 6, с. 52-53.**

**ლენინი, — ამბობდა კობა, — აღშფოთებულია, რომ ღმერთმა მას ისეთი ამხანაგები მისცა, როგორებიც მენშევიკები არიან! მართლაც, რა ხალხია! მარტოვი, დანი, აქსელროდი, წინადაცვეთილი ურიები და ბებერი დედაკაცი ვ. ზასულიჩი. მიდი და იმუშავე ამათთან. არც საბრძოლველად წახვალ მათთან ერთად, ვერც ნადიმზე ვერ იმხიარულებ. მშიშრები და ვაჭრუკანები არიან.**

**Арсанидзе Р.** (ამიერკავკასიის რევოლუციური ბრძოლის მონაწილე). **Из воспоминании о Сталине, Новый журнал. Нью-Йорк, 1963, 72. с. 221.**

ეს შთაბეჭდილება ისე ღრმად ჩამეჭრა სულში, რომ ვიგრძენი აუცილებლობა, მიმეწერა ერთი ჩემი ახლო მეგობრისთვის, რომელიც მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა, და მეთხოვა ეპასუხა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა უკვე ციმბირში ვიყავი გადასახლებული, — ეს 1903 წლის ბოლოს იყო — მივიღე აღფრთოვანებული პასუხი ჩემი მეგობრისგან და უბრალო, მაგრამ ღრმაშინაარსიანი წერილი ლენინის. როგორც გაირკვა, ჩემმა მეგობარმა გააცნო ჩემი წერილი. **ლენინის წერილი შედარებით მოკლე იყო, მაგრამ ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკას შეიცავდა და უაღრესად ნათლად გადმოსცემდა უახლოესი პერიოდისთვის პარტიის მუშაობის მთელ გეგმას. მხოლოდ ლენინს შეეძლო ყველაზე უფრო დახლართულ საკითხებზე ისე უბრალოდ და გასაგებად, მოკლედ და გაბედულად დაეწერა, როცა თითოეული წინადადება კი არ ლაპარაკობს, არამედ ისვრის.** ამ უბრალო და გაბედულმა წერილმა კიდევ უფრო განმიმტკიცა აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ლენინის ეს წერილი, როგორც ბევრი სხვა, დავწვი. ამ დროიდან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ლენინთან.

**Сталин И. т. 6. с. 53.**

1904 წელს იგი (სტალინი) ციმბირის ბანაკიდან გაიქცევა, ძლიერი ქარბუქისა და ტუბერკულოზის ლატენტური ფორმის მიუხედავად, რითაც, ზოგიერთი ცნობით, იყო დაავადებული.

**Ноймайр А. с. 346.**

ამრიგად, **ქართველი, რომელიც რუსულად ძლივს ლაპარაკობდა, პირველად აღმოჩნდა რუსეთში, თანაც ციმბირში, ყოველგვარი კავშირის გარეშე, საშინელ ზამთარში ასე თავისუფლად გარბის გადასახლებიდან?**

**Иванов Я. Независимая газета. 1996, 21 дек.**

საქმე ისაა, რომ იამშჩიკებს გადაყვანისთვის ფულს კი არ უხდიდნენ, არამედ არაყს აძლევდნენ, „ერთ-ნახევარი არშინი გადაყვანისთვის“, რაც ნიშნავდა, რომ ყოველ ფუნდუკში ჩერდებოდნენ და მგზავრი არშინნახევრიანი შკალის ოდენობით მიართმევდა არაყს“.

**Яковлев А. с. 308-309.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## მოქალაქეები დოკუმენტების მიღებას შინიდან გაუსვლელად შეძლებენ

**სერვისების განვითარების სააგენტოსა და იუსტიციის სახლის ახალი მომსახურების მიხედვით, მოქალაქეები დოკუმენტების მიღებას შინიდან გაუსვლელად შეძლებენ.**

ადგილზე მომსახურებით სარგებლობა მოქალაქეებს თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ხელვაჩაურში შეუძლიათ. შინიდან გაუსვლელად შესაძლებელია ბიომეტრიული პასპორტის, პირადობის ელექტრონული მოწმობის, დროებითი და მუდმივი ბინადრობის მოწმობის, ლტოლვილის სტატუსისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობის მიღება. ახალი სერვისით მოქალაქეს ონლაინრეჟიმში შეეძლება არასრულწლოვანის რეგისტრაცია, ცნობის მიღება სულადობის შესახებ, ახალ მისამართზე დარეგისტრირება და საინფორმაციო ბარათის მიღება. ადგილზე მომსახურების მისაღებად განაცხადის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს, რომლის იდენტიფიცირებაც ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით შესაძლებელია. განაცხადის წარდგენა ელექტრონული ფორმით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან იუსტიციის სახლის ვებგვერდების საშუალებით ხდება. ადგილზე მომსახურების საფასური 100 ლარია, რომლის გადახდაც, ონლაინრეჟიმშიც შეიძლება და ნებისმიერ ბანკში ნაღდი ანგარისწორებითაც.

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნამდვილი სადაზვერვო სამსახურების მუშაკთა გარდა ამ ორგანიზაციის შესახებ ბოლო დრომდე მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. ძალაუფლება, რომელიც აქვთ ამ მნიშვნელოვან პიროვნებებსა და კორპორაციებს, სატელევიზიო სადგურებს, გაზეთებს, სადაზღვევო კომპანიებს, ბანკებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ყველაზე მცირე, ორი ევროპული ქვეყნის ძალაუფლებასა და პრესტიჟს შეესაბამება, და მაინც ეს მხოლოდ მცირე ნაწილია „300-თა კომიტეტის“ უზომო, ყველგან შეღწევადი და ყოვლისმომცველი ინტერესებისა.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-8 (236-243)

**მართალია, „300-თა კომიტეტი“, უკვე 150 წელზე მეტია, არსებობს, მაგრამ მან ამჟამინდელი სახე დაახლოებით 1897 წელს მიიღო. იგი ყოველთვის გასცემდა ბრძანებებს სხვა შირმა ორგანიზაციების გავლით, ისეთების, როგორიცაა „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი“. როდესაც გადაწყდა, რომ ევროპული საქმეები რომელიმე ზეორგანიზაციამ უნდა განაგოს, სსსი-მ ჩამოაყალიბა „ტავისტოკის ინსტიტუტი“, რომელმაც, თავის მხრივ, ნატო შექმნა. ხუთი წლის განმავლობაში ნატო ფინანსდებოდა „მარშალის გერმანული ფონდის“ მიერ.**



**„300-თა კომიტეტის“ საგარეოპოლიტიკური ორგანოს, „ბილდერბერგის კლუბის“, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი ჯოზეფ რეტინგერი იყო, რომელიც, როგორც ამბობენ, მისი დამაარსებელი და ორგანიზატორი გახლდათ. „ბილდერბერგის კლუბის“ ყოველწლიური შეხვედრები რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეთქმულებებზე მონადირეთა ალტაცების საგანი იყო.**

რეტინგერი კარგად განსწავლული იეზუიტი მღვდელი და 33-ე ხარისხის ფრანკმასონი იყო. **მისის კეტრინ მეიერ გრეჰემი** (Katherine Meyer Graham), რომელიც ეჭვმიტანილი იყო საკუთარი ქმრის მკვლელობაში გაზეთ „ვაშინგტონ პოსტზე“ კონტროლის ხელში ჩაგდების მიზნით, ასევე „რომის კლუბის“ მნიშვნელოვანი წევრი იყო, ისევე, როგორც **პოლ გ. ჰოფმანი** (Paul G. Hoffman) „ნიუ იორკის სიცოცხლის სადაზღვევო კომპანიიდან“ (New York Life Insurance Company), ერთ-ერთი წამყვანი კომპანიიდან, რომელიც კორპორაცია „რენკში“ შედის, ხოლო „რენკი“ პირდაპირაა დაკავშირებული ინგლისის დედოფლის — ელიზაბეტის ოჯახთან. გარდა ამისა, „ბილდერბერგის კლუბისა“ და „რომის კლუბის“ წევრ-დამფუძნებლები იყვნენ **ჯონ ჯ. მაქლოი** (John J. McCloy), ადამიანი, რომელიც შეეცადა ომის შემდეგი გერმანიის პოლიტიკური რუკიდან წაშლას, და რიგით უკანასკნელი (და არა მნიშვნელობით) **ჯეიმს ა. პერკინსი** (James A. Perkins) „კარნეგის კორპორაციიდან“ (Carnegie Corporation).

როგორი რჩეული კასტაა! და მაინც უცნაურია, რომ **ნამდვილი სადაზვერვო სამსახურების მუშაკთა გარდა ამ ორგანიზაციის შესახებ ბოლო დრომდე მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. ძალაუფლება, რომელიც აქვთ ამ მნიშვნელოვან პიროვნებებსა და კორპორაციებს, სატელევიზიო სადგურებს, გაზეთებს, სადაზღვევო კომპანიებს, ბანკებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ყველაზე მცირე, ორი ევროპული ქვეყნის ძალაუფლებასა და პრესტიჟს შეესაბამება, და მაინც ეს მხოლოდ მცირე ნაწილია „300-თა კომიტეტის“ უზომო, ყველგან შეღწევადი და ყოვლისმომცველი ინტერესებისა.**

ზემოთ მოცემულ სიაში არ იყო ნახსენები **რიჩარდ გარდნერი,** რომელიც ძალიან ადრე გახდა „300-თა კომიტეტის“ წევრი და საგანგებო მისიით რომში იყო მივლინებული. გარდნერმა იქორწინა ვენეციური „შავი არისტოკრატიის“ ერთ-ერთი უძველესი ოჯახის წარმომადგენელზე, რითაც უზრუნველყო თეთრი სახლის პირდაპირი ხელმისაწვდომობა ვენეციის არისტოკრატიისთვის. აწ განსვენებული **ავერელ ჰარიმანი** ასევე კომიტეტის პირდაპირი შუამავალი იყო კრემლსა და თეთრ სახლს შორის; ეს ფუნქცია ჰარიმანის სიკვდილის შემდეგ კისინჯერზე გადავიდა.

**„რომის კლუბი“ „300-თა კომიტეტის“ მართლაც მზაკვრული და ძლევამოსილი ორგანოა. ამ ჯგუფის საქმიანობა „300-თა კომიტეტის“ სხვა ორგანოებთან იკვეთება, ხოლო მისი ამერიკელი წევრები „პრობლემებზე“ იაპონიასა და გერმანიაში მუშაობენ.**

ქვემოთ მოყვანილია „300-თა კომიტეტის“ მიერ კონტროლირებადი ოფიციალური ორგანიზაციების არასრული სია:



## «რომის კლუბი» «300-თა კომიტეტის» მართლაც მზაკვრული და ძლევამოსილი ორგანოა. ამ ჯგუფის საქმიანობა «300-თა კომიტეტის» სხვა ორგანოებთან იკვეთება, ხოლო მისი ამერიკელი წევრები «პრობლემებზე» იაპონიასა და გერმანიაში მუშაობენ

**„ინდუსტრიული დემოკრატიის ლიგა“ (LEAGUE OF INDUSTRIAL DEMOCRACY)**

თანამდებობის პირები: **მაიკლ ნოვაკი (Michael Novak), ჯინ კირკპატრიკი (Jeane Kirkpatrick), იუჯინ როსტოუ (Eugene Rostow), ირვინ სუალი (Irwin Suall), ლეინ კირკლანდი (Lane Kirkland), ალბერტ შენკერი (Albert Schenker).**

*მიზანი:* მუშათა და მეწარმეთა შორის ნორმალური სამუშაო ურთიერთობების გაუარესება, ლიდერებისთვის და პროფკავშირის წევრებისთვის ტვინის გამორეცხვა, რათა მათ აშკარად შეუძლებელი მოთხოვნები წამოაყენონ. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეტალურგიულ, საავტომობილო და სამშენებლო სფეროებს.

**„თავისუფლების სახლი“ (FREEDOM HOUSE)**

თანამდებობის პირები: **ლეო ჩერნი (Leo Churn) და კარლ გერშმანი (Carl Gershman).**

მიზანი: ამერიკელ მუშათა შორის სოციალისტური დეზინფორმაციის გავრცელება, უთანხმოებებისა და უკმაყოფილების ატმოსფეროს შექმნა. ახლა, როდესაც ეს მიზნები, ძირითადად, მიღწეულია, გერშმანი ლოურენს იგლბერგერმა სამუშაოდ მიიწვია CEDC-ში — ახალ ორგანიზაციაში, რომელიც შექმნილია დუნაის აუზის ქვეყნებში გაერთიანებული გერმანიის სავაჭრო ექსპანსიის შესაჩერებლად.

**„კომიტეტი დემოკრატიული უმრავლესობისათვის“ (COMMITTEE FOR A DEMOCRATIC MAJORITY)**

თანამდებობის პირები: **ბენ ვატენბურგი (Ben Wattenburg), ჯინ კირკპატრიკი (Jean Kirkpatrick), ელმო ზუმვა (Elmo Zumwa) და მიჯი დექტორი (Midge Dector).**

**მიზანი:** განათლებულ სოციალისტურ კლასსა და უმცირესობათა ჯგუფებს შორის კავშირების დამყარება სოლიდური საარჩევნო ბლოკის შესაქმნელად, რომლის მხარდაჭერის იმედიც შეიძლება ჰქონდეთ მემარცხენე კანდიდატებს არჩევნებისას. ეს ასპროცენტიანი ფაბიანური ორგანიზაციაა.

**„საგარეო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი“ (FOREIGN POLICY RESEARCH INSTITUTE)**

თანამდებობის პირები: **რობერტ შტრაუზ ჰიუპი (Robert Strausz Hupe).**

**მიზანი:** ნასას კოსმოსური პროგრამის ჩაშლა და სრული დახურვა.

**„აშშ-ის სოციალ-დემოკრატები“ (SOCIAL DEMOCRATS U.S.A.)**

თანამდებობის პირები: **ბაიარდ რასტინი (Bayard Rustin), ლეინ კირკლენდი (Lane Kirkland), ჯეი ლოვსტოუნი (Jay Lovestone), კარლ გერშმანი (Carl Gershman), ჰოვარდ სამუელი (Howard Samuel), სიდნი ჰუკი (Sidney Hook).**

**მიზანი:** რადიკალური სოციალიზმის გავრცელება, განსაკუთრებით, უმცირესობებს შორის; სოციალისტურ ქვეყნებში მსგავს ორგანიზაციებთან კავშირის გამყარება. ლოვსტოუნი დიდი ხნის მანძილზე აშშ-ის რამდენიმე პრეზიდენტის წამყვანი მრჩეველი იყო საბჭოურ საქმეებში და მოსკოვთან კავშირში პირდაპირი საკონტაქტო პირი გახლდათ.

**„სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“ (INSTITUTE FOR SOCIAL RELATIONS)**

თანამდებობის პირები: **ჰარლანდ კლივლენდი (Harland Cleveland), უილის ჰარმონი (Willis Harmon).**

**მიზანი:** ამერიკული აზროვნების შეცვლა.

**„მოქალაქეთა ლიგა“ (THE CITIZENS LEAGUE)**

თანამდებობის პირები: **ბარი კომონერი (Barry Commoner).**

**მიზანი:** „საერთო“ სასამართლო საქმეების წამოწყება სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოს წინააღმდეგ, განსაკუთრებით, თავდაცვისა და სამხედრო მრეწველობის სფეროებში.

**„ომის მოწინააღმდეგეთა ლიგა“ (WAR RESISTERS LEAGUE)**

თანამდებობის პირები: **ნოამ ჩომსკი (Noam Chomsky) და დავიდ მაკრეინოლდსი (David McReynolds).**

მიზანი: ვიეტნამის ომის წინააღმდეგობის ორგანიზება მემარცხენე ჯგუფებში, სტუდენტებსა და ჰოლივუდის „ტუსოვკებში“.

**„დემოკრატიული სოციალიზმის ინსტიტუტის საორგანიზაციო კომიტეტი“ (THE DEMOCRATIC SOCIALIST ORGANIZING COMMITTEE OF THE INSTITUTE FOR DEMOCRATIC SOCIALISM)**

თანამდებობის პირები: **ფრენკ ზეიდერი (Frank Zeider), არტურ რეიდერი (Arthur Redier) და დავიდ მაკრეინოლდსი (David McReynolds).**

**მიზანი:** მემარცხენე სოციალისტური საქმიანობისა და იდეოლოგიის გავრცელება აშშ-სა და ევროპაში.

**„ანტიდოფამაციური ლიგის საგამოძიებო განყოფილება“ (ANTI-DEFAMATION LEAGUE FACT FINDING DIVISION)**

თანამდებობის პირები: **ირვინ სუალი,** ასევე ცნობილი სახელით **ჯონ გრეჰემი.**

**მიზანი:** ეს ორგანიზაცია წარმოადგენს გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ბრიტანული დაზვერვის ერთობლივ საწარმოს, რომელიც განკუთვნილია მემარჯვენე შეხედულებები ჯგუფებისა და ლიდერების გამოსავლენად და მათი ნეიტრალიზაციისთვის, ვიდრე ისინი გაძლიერდებიან და გავლენას მოიპოვებენ.

**„მემანქანეთა საერთაშორისო ასოციაცია“ (INTERNATIONAL ASSOCIATION OF MACHINISTS)**

**მიზანი:** სამუშაო ფრონტი, რომელიც მხარს უჭერს სოციალისტურ ინტერნაციონალს, მუშებსა და მენეჯერებს შორის ორგანიზებული არეულობებისა და კონფლიქტების შესაქმნელად.

**„სამკერვალო მრეწველობის გაერთიანებული მუშები“ (AMALGAMATED CLOTHING WORKERS)**

თანამდებობის პირები: **მერეი ფინდლი (Murray Findley), ირვინ სუალი და ჯეკობ შეინკმანი (Jacob Scheinkman).**

**მიზნები:** ბევრ რამეში „მემანქანეთა კავშირის“ მიზნებს ჰგავს; სოციალისტური იდეებისა და სამუშაო კონფლიქტების გავრცელება სამკერვალო მრეწველობაში.

**„ა. ფილიპ რენდოლფის ინსტიტუტი“ (A. PHILIP RANDOLPH INSTITUTE)**

თანამდებობის პირები: **ბაიარდ რასტინი (Bayard Rustin).**

**მიზანი:** საერთო მიზნების მქონე ორგანიზაციების ქმედებათა კოორდინაცია, მაგალითად, სტუდენტებსა და მუშებს შორის სოციალისტური იდეების გავრცელება.

**„პოლიტიკურ კვლევათა კემბრიჯის ინსტიტუტი“ (CAMBRIDGE POLICY STUDIES INSTITUTE)**

თანამდებობის პირე- ▶

**ჰარი ეშმორი (Harry Ashmore):**

## ჩვენ უნდა შევცვალოთ განათლების სისტემა და შევიმუშავოთ ახალი კონსტიტუცია აშშ-ისთვის და ერთიანი კონსტიტუცია მთელი მსოფლიოსთვის

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲒᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲦᲠᲛᲐᲓᲐᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲨᲘ „300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ“ „ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲗᲐᲜ“ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ 1946 ᲬᲔᲚᲡ „300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ“ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ „ᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲡ“, ᲒᲐᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐ „ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛ „ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲖᲔ (ᲡᲬᲝᲠᲔᲓ 1959 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ) ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ.**

ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბი: **გარ აპელროვიცი (Gar Apelrovitz).**

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ: პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სამუშაოთა გაფართოება და გაღრმავება. დაარსდა 1969 წლის თებერვალში სენატორ ჰეილორდ ნელსონის ყოფილი თანაშემწის, სოციალისტ გარ აპელროვიცის მიერ. აპელროვიცმა დაწერა „რომის კლუბისთვის“ წიგნი „ატომური დიპლომატია“, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია. ეს პუბლიკაცია დაფინანსდა „მარშალის გერმანული ფონდიდან“. ინსტიტუტის საქმიანობა კონცენტრირდება კვლევით და პრაქტიკულ პროექტებზე, რომლებიც ამერიკული საზოგადოების ძირეული გარდაქმნის მიზანს ემსახურება, ანუ ფაბიანური შეერთებული შტატების შექმნა – ერთიანი მსოფლიო მთავრობის მოსვლის მოსამზადებლად და დასამკვიდრებლად.

### „ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ“ (ECONOMIC COMMITTEE OF THE NORTH ATLANTIC INSTITUTE)

თანამდებობის პირები: **აურელიო პეჩეი.**

**ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:** ნატოს მთავარი გონებრივი ცენტრი გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებზე.

### „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ (CENTER FOR THE STUDY OF DEMOCRATIC INSTITUTIONS)

თანამდებობის პირები: დამფუძნებელი **რობერტ ჰატჩინსი (Robert Hutchins)** „300-თა კომიტეტიდან“, **ჰარი ეშმორი (Harry Ashmore), ფრენკ კელი (Frank Kelly)** და ასოცირებულ წევრთა დიდი ჯგუფი.

**ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:** იმ იდეების გავრცელება, რომლებმაც უნდა გამოიწვიონ ლიბერალური ხასიათის სოციალური რეფორმები, დემოკრატიის იდეოლოგიით. ერთ-ერთი ამოცანაა აშშ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, რომელიც ერთდროულად იქნება მკაცრად მონარქისტულიც და ასევე სოციალისტურიც, როგორც დანიაში.

**ცენტრი „ოლიმპიელების“ ერთ-ერთი საყრდენია. იგი მდებარეობს სანტა–ბარბარაში, განლაგებულია პომპეზური სახელწოდების მქონე შენობაში — „პართენონი“. წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა წევრმა ჯონ რერიკმა ცენტრი დაახასიათა, როგორც „ოფისი, რომელიც გამოტენილია კომუნისტებით“.** 1973 წლისთვის უკვე აშშ-ის ახალი კონსტიტუციის 35 პროექტი იქნა შემუშავებული, ამასთან, მათგან უკანასკნელში შეთავაზებული იყო ცვლილება, რომელიც „ეკოლოგიური უფლების“ გარანტიას ასახავდა. ამ ცვლილების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანოს აშშ-ის სამეწარმეო ბაზა 1969 წლის მაჩვენებელთან შედარებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, **ᲔᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚ, „ᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜ ᲞᲝᲡᲢᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲖᲠᲓᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.**

ცენტრის მიზნები და ამოცანები ასევე მოიცავს ეკონომიკური ციკლების მართვას, უმუშევრობის შემწეობის გაცემის სისტემის კონტროლს, ბიზნესისა და ეროვნული საზოგადოებრივი სამუშაოების რეგულაციას, გარემოს დაბინძურებაზე კონტროლს. „300-თა კომიტეტის“ სახელით გამოსვლისას ეშმორმა თქვა, რომ ცენტრის ამოცანაა ჩვენი პოლიტიკური სისტემის უფრო ეფექტური მუშაობისთვის მეთოდებისა და საშუალებების ძებნა. **„ჩვენ უნდა შევცვალოთ განათლების სისტემა და შევიმუშავოთ ახალი კონსტიტუცია აშშ-ისთვის და ასევე ერთიანი კონსტიტუცია მთელი მსოფლიოსთვის,“** — განაცხადა ეშმორმა.

შემდგომ ეშმორი აცხადებს შემდეგ მიზნებს:

**გაეროს წევრობა უნდა იყოს საყოველთაო.**

**აუცილებელია გაეროს გაძლიერება.**

**სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია უნდა იყოს ნეიტრალიზებული** (ნეიტრალიზებულის ნაცვლად უნდა წაიკითხოთ „კომუნიზირებული“).

**ცივი ომი უნდა დასრულდეს.**

**რასობრივი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს.**

**განვითარებად ქვეყნებს დახმარება უნდა გაეწიოთ** (იგულისხმება დახმარება ეკონომიკის ნგრევაში).

**პრობლემების სამხედრო გზით გადაჭრაზე უარის თქმა** (რა დასანანია, რომ მათ ეს არ უთხრეს ჯორჯ ბუშს სპარსეთის ყურეში ომის დაწყებამდე).

**არანაირი ეროვნული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს მისაღები.**

**თანაარსებობა აუცილებელია.**

### „ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ“ (HARVARD PSYCHOLOGICAL CLINIC)

თანამდებობის პირები: ექიმი **კურტ ლევინი** და „ახალი მეცნიერების“ (new-science scientists) მომხრე 15 მეცნიერისგან შემდგარი შტატი.

**ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:** საზოგადოებაში ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც მისცემდა „300-თა კომიტეტს“ აშშ-ში შეუზღუდავი ძალაუფლების აღების საშუალებას.

### „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ“ (INSTITUTE FOR SOCIAL RESEARCH)

თანამდებობის პირები: ექიმი **კურტ ლევინი** და „ახალი მეცნიერების“ (new-science scientists) მომხრე 20 მეცნიერისგან შემდგარი შტატი.

**ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:** სოციალური პროგრამების აბსოლუტურად ახალი კომპლექტის შემუშავება, რომლის მიზანიცაა ამერიკის სამრეწველო განვითარების გზიდან გადაყვანა.

### „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ (SCIENCE POLICY RESEARCH UNIT)

თანამდებობის პირები: **ლილანდ ბრედფორდი (Leland Bradford), კენეტ დემი (Kenneth Dam), რონალდ ლიპერტი (Ronald Lippert).**

**ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:** ინგლისში სუსექსის უნივერსიტეტთან არსებული „მომავალი რყევების“ კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ტავისტოკის სისტემაში შედის.

## «ᲨᲢᲐᲢ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ» ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤ ᲬᲕᲓᲝᲛᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲡ, ᲘᲡᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲡ. ᲔᲡ «300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ» ᲢᲘᲞᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲐ





### „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ“ (SYSTEMS DEVELOPMENT CORPORATION)

თანამდებობის პირები: **შელდონ არენბერგი (Sheldon Arenberg) და რამდენიმე ასეული თანამშრომლისგან შემდგარი შტატი.**

**ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:** აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების მოქმედების ყველა ელემენტის კოორდინაცია. კორპორაცია განსაზღვრავს, რომელ „მოთამაშეთა“ ეგიდის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ ესა თუ ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: მაგალითად, ესპანეთი შესუსტებული და დაუძლურებული კათოლიკური ეკლესიის გავლენის სფეროში უნდა იყოს, გაერო — გენერალური მდივნის კონტროლის ქვეშ და ა. შ. მან შეიმუშავა ხ-RAY 2 სისტემა, რომელშიც მთავარი ცენტრების პერსონალი, სამხედრო ობიექტები და სამართალდამცავი ორგანოები დაკავშირებულნი არიან პენტაგონთან ტელეტაიპებისა და კომპიუტერების ეროვნული ქსელის მეშვეობით, რათა ეროვნული მასშტაბით გამოიყენოს სათვალთვალო ტექნიკა. არენბერგი ამბობს, რომ მისი იდეები არ განეკუთვნება სამხედრო სფეროს, მაგრამ ყველა მისი მეთოდი სამხედრო წყაროებიდანაა მიღებული. იგი გახლავთ „ნიუ იორკის შტატის თვალთვალისა და იდენტიფიკაციის სისტემის“ ავტორი, ჯორჯ ორუელის წიგნის — „1984“-ის ტიპის პროექტის შემმუშავებელი; ამასთან, კონსტიტუციით, ეს პროექტი სრულიად უკანონოა. ეს სწორედ ისაა, რაზეც ბჟეზინსკი ლაპარაკობდა, — ყველა ადამიანის მონაცემების შემცველ კომპიუტერულ ფაილებზე თითქმის მომენტალური წვდომის შესაძლებლობა.

**„ᲨᲢᲐᲢ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ“ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤ ᲬᲕᲓᲝᲛᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲡ, ᲘᲡᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲡ. ᲔᲡ „300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ“ ᲢᲘᲞᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲐ.** ამ „განვითარების სისტემათა კორპორაციის“ საქმეთა სრული გამოძიების აუცილებლობა მომწიფდა, მაგრამ ამ წიგნის ამოცანა ეს არაა. ერთი ნათელია: „კორპორაცია“ თავის მიზნად აშშ-ის კონსტიტუციის მიერ გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას არ ისახავს. როგორი მოსახერხებელია, რომ იგი სანტა ბარბარაში მდებარეობს, რობერტ ჰატჩინსის „პართენონის“ სიახლოვეს. აი, „რომის კლუბის“ ამ დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი პუბლიკაციის ჩამონათვალი:

**Center Magazine („ჟურნალი ცენტრი“), Counterspy („კონტრჯაშუში“), Coventry („კოვენტრი“), Covert Action Information Bulletin („საიდუმლო ოპერაციების საინფორმაციო ბიულეტენი“), Dissent („დისიდენტობა“), Human Relations („ადამიანური ურთიერთობები“), Industrial Research („ინდუსტრიული კვლევები“), Inquiry („გამოძიება“), Mother Jones („დედა ჯოუნსი“), One („ერთი“), Progressive („პროგრესული“), Raconteur („მთხრობელი“), The New Republic („ახალი რესპუბლიკა“), Working Papers for a New Society („სამუშაო შენიშვნები ახალი საზოგადოების შესახებ“).**

ეს „რომის კლუბის“ ეგიდის ქვეშ გამოქვეყნებულ გამოცემათა სრული სია როდია. სინამდვილეში ასეთი გამოცემები ასობითაა, პრაქტიკულად ყველას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. „ტავისტოკის ინსტიტუტისა“ და „რომის კლუბის“ მიერ მართვადი ორგანიზაციების მხოლოდ არასრულ სიას გამოვაქვეყნებთ. ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფონდი და ცენტრი დასახელებულია ქვემოთ მოცემულ სიებში, რომლებიც ასევე შეიცავს სამხედრო „ტვინების“ ცენტრებს.

**ამერიკული საზოგადოება გაოცებული იქნებოდა, რომ გაეგო, რამდენად ღრმადაა ჩართული არმია „ახალი სამხედრო ტაქტიკის“ კვლევებში „300-თა კომიტეტის“ „ტვინის ცენტრებთან“ ერთად. ამერიკელებმა არ იციან, რომ 1946 წელს „300-თა კომიტეტმა“ უბრძანა „რომის კლუბს“, გაეგრძელებინა „გონებრივი“ ცენტრების განვითარება, რომლებიც თავისთავად წარმოადგენს კომიტეტის ფილოსოფიის გავრცელების ახალ საშუალებას. ამ „გონებრივი“ ცენტრების ზემოქმედება ჩვენს სამხედროებზე (სწორედ 1959 წლიდან, როდესაც მათი სწრაფი გამრავლება დაიწყო) მართლაც გასაოცარია.**

### „ᲛᲝᲜ ᲞᲔᲚᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“ (THE MONT PELERIN SOCIETY)

Mont Pelerin წარმოადგენს ეკონომიკურ ფონდს, რომელიც განკუთვნილია ცრუ ეკონომიკური თეორიების გასავრცელებლად და დასავლეთ მსოფლიოს ეკონომისტებზე გავლენის მოსახდენად, რათა ისინი მიჰყვნენ იმ მოდელებს, რომლებსაც ეს ფონდი დროდადრო საჯაროს ხდის. მისი გამოჩენილი პრაქტიკოსები არიან **ფონ ჰაიეკი** და **მილტონ ფრიდმანი**.

### „ᲰᲣᲕᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ“ (THE HOOVER INSTITUTION)

პირველად კომუნიზმთან ბრძოლისთვის შექმნილმა ინსტიტუტმა ნელი ნაბიჯით, მაგრამ თავდაჯერებულად გადაუხვია სოციალიზმისკენ. მისი წლიური ბიუჯეტი შეადგენს 2 მილიონ დოლარს, რომელიც მას „300-თა კომიტეტის“ ეგიდით მოქმედი კომპანიებისგან მიეწოდება. ახლა მისი ძირითადი აქცენტი მიმართულია „მშიდობიან ცვლილებებზე“, ყურადღებას კი, ძირითადად, აშშ-ის შეიარაღებისა და შიდა პრობლემების კონტროლს უთმობს. მედიის მიერ იგი ხშირად წარმოდგენილია, როგორც „კონსერვატიული“ ორგანიზაცია, რომლის შეხედულებებიც გამოიყენება, როდესაც კონსერვატიული თვალსაზრისია საჭირო. **„ჰუვერის ინსტიტუტი“ არ არის ასეთი და იმის შემდეგ, რაც 1953 წელს ინსტიტუტზე კონტროლი გადავიდა „რომის კლუბთან“ მჭიდროდ დაკავშირებულ ჯგუფზე, იგი ერთიანი მსოფლიო მთავრობის – ერთიანი მსოფლიო წესრიგის „სასურველი“ პოლიტიკის რუპორი გახდა.**

### „ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ“ (HERITAGE FOUNDATION)

ლუდის მაგნატ **ჯოზეფ კურსის (Joseph Coors)** მიერ კონსერვატიულ გონებრივ ცენტრად დაფუძნებული ეს ფონდი სულ მალე ფაბიანისტების – **სერ პიტერ ვიკერს–ჰოლის, სტიუარტ ბატლერის, სტივენ ეიზლის, რობერტ მოსისა** და **ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის** კონტროლქვეშ გადავიდა, რომლებიც „რომის კლუბის“ ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. ეს დაწესებულება თამაშობდა მთავარ როლს ბრიტანეთის ლეიბორისტული ლიდერის, ენტონი ვიჯვუდ ბენის, „რეიგანის ტეტჩერიზაციის“ ბრძანებების შესრულებაში. **„მემკვიდრეობის ფონდი“ დანამდვილებით არ წარმოადგენს კონსერვატიულ ორგანიზაციას, თუმცა ხანდახან, შესაძლოა, ასეთად მოგეჩვენოთ.**

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სარეცენზიო წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოა და, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ჩვენივე სტუდენტებისთვის. ამდენად, აქ ყოველგვარი სახის ინფორმაცია (სახელი, გვარი, თარიღი, სპექტაკლის სახელწოდება, პერსონაჟები და მისთ.) ზუსტი უნდა იყოს ისევე, როგორც ჩვეულებრივ ლექსიკონში. მაგრამ, სამწუხაროდ, პირდაპირ უნდა ითქვას, ამ მხრივ აქ, არც მეტი, არც ნაკლები, სრული ქაოსია, სრული!

# როცა პარლამენტის კულტურის კომიტეტს არ აინტერესებს... კულტურის საკითხები,

# ანუ ვინ და რატომ ბლოკავს რუსთაველის პრემიის ლაურეატის ნაშრომის საჯარო განხილვას

**ყოველი ახალი წიგნი, ბუნებრივია, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ ავტორს, არამედ გამომცემლობასაც, მაგრამ, როცა საუბარია სტუდენტებისთვის განკუთვნილ დამხმარე სახელმძღვანელოზე (მით უმეტეს, თუ ამას თავად უმაღლესი სასწავლებელი გამოსცემს), მაშინ უკვე პასუხისმგებლობა, ლოგიკის მიხედვით, უმაღლეს რანგში უნდა იქნეს აყვანილი.**
**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“, სამწუხაროდ, ამ ლოგიკის მიღმა დგას, მაგრამ რატომ, მთელი წელია, ვერ გავარკვიე. არადა, როგორც უნივერსიტეტის მთავარ სამეცნიერო კონსულტანტს, სამსახურებრივად მევალება თვალყური ვადევნო, რა სახის ლიტერატურა ქვეყნდება უნივერსიტეტის ეგიდით, რამდენად შეესაბამება მისი პროფესიული დონე, როგორც მეცნიერული, ისე პოლიგრაფიული თვალსაზისით, თანამედროვე სტანდარტებს.**

2012 წელს „კენტავრმა“, უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე სტუდენტებისთვის გამოსცა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პროფესორ **ნოდარ გურაბანიძის** მონოგრაფია „ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“ (რედაქტორი — ს. ახმეტელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვასილ კიკნაძე, ფორმატი — A4, გვ. 440).

ნაშრომს უდიდესი ინტერესით ველოდით, რადგან მისი ავტორიც და რედაქტორიც თანამედროვე ქართული თეატრმცოდნეობის აღიარებული ლიდერები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა, ძალიან მოკლედ რომ ითქვას, გამომცემლობის მესვეურთა პროფესიული უმწიფრობის გამო...

ყოველივე ამის შესახებ თავდაპირველად მოხსენებითი ბარათით მივმართე (25.III.2013) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, მაგრამ — **არანაირი** გამოხმაურება. მერე უნივერსიტეტის რექტორს (**გიორგი მარგველაშვილს**) მივადექი (17.IV.2013) და გადაწყდა, რომ ჯერ ფაკულტეტის საბჭოს განეხილა ეს საკითხი, მაგრამ ფაკულტეტის საბჭოზე (22.V.2013) არც ავტორი გამოცხადდა და არც რედაქტორი, რის გამოც, ბუნებრივია, განხილვა გადაიდო.

ერთი თვის შემდეგ ისევ რექტორი შევაწუხე (24.VI.2013), მაგრამ ისევ ამაოდ, მაშინ კულტურის მინისტრთან ვაფრინე წერილი (1.VIII.2013), მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ბოლოს პარლამენტის კულტურის კომიტეტს მივმართე როგორც პირადი წერილით, ისე პრესით (გაზ. **„რაო-რაო“**, 31.X.2013), რაზეც ბატონმა **ივანე კილურაძემ** მიპასუხა (01.XI.2013), ეს საკითხი სცილდება ჩვენს კომპეტენციასო, და რაღა მექნა?! ბოდიში მოვუხადე (გაზ. **„საკვირაო“**, 5.XII.2013), მაპატიეთ, მაგრამ **რატომღაც** მეგონა, რომ კულტურის საკითხები შედიოდა-მეთქი თქვენს კომპეტენციაში...

როგორც ხედავთ, ვერაფრით მივაღწიე იმას, რომ სადღაც შევკრებილიყავით და გვემსჯელა ხსენებულ დამხმარე სახელძღვანელოს ავკარგზე მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ მომავალში უკეთესი ნაშრომები მივაწოდოთ ჩვენს სტუდენტობას.

**უზნეობაა, როცა რომელიმე უწყებაში მუშაობ და, თუ სათქმელი გაგიჩნდება რაიმე, უმალ პრესაში გამოაჭენებ, მაგრამ რაკი ყველა შესაძლო ვარიანტი მოვსინჯე და არაფერი გამოვიდა, სხვა გზა აღარ დამრჩა — ახლა უშუალოდ უნდა მივმართო მის უდიდებულესობა მკითხველს!**

თუ წიგნი არ არის რედაქტირებული, რაც გულისხმობს ხელნაწერი ტექსტის გასწორებას, ლიტერატურულად დამუშავებასა და დასაბეჭდად მომზადებას, ვერანაირი ინტელექტი და საერთო განსწავლულობა ავტორისა (თუნდაც ეს იყოს ჩვენი ძვირფასი ნოდარ გურაბანიძე) ვერ მიაღწევს მიზანს და მკითხველი იმედგაცრუებული რჩება. ამის მიზეზი კი ნაირ-ნაირი შეცდომების კორიანტელია ყოველ გვერდსა და ყოველ წინადადებაში, დაწყებული სარჩევითა და შესავლით.

ვერაფერი სიამოვნებაა, როცა ევროპულ დრამატურგიაზე წიგნს გადაშლი და იქვე, სარჩევის დასაწყისშივე, **ოსკარ უაილდი** მოხსენიებულია, როგორც **„ოსკარ უაილიდი“**, მაგრამ, როცა იგივე მეორდება 21-ე გვერდზეც, ეს უკვე ნამეტანია, მე და ჩემმა ღმერთმა! აქვეა, სარჩევის დასაწყისშივე — **„იოქანან“** (უნდა იყოს — **„იოქანაან“**) და **„გოლდსმიტი“** (**„გოლდსმითი“**) და ა. შ. ამასთანავე, ისევ აქვე, სარჩევში მეტად უყურადღებოდაა ციტატები სხვადასხვა პიესიდან, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა, საგაზეთო სტატიის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა...




**ნაშრომს უდიდესი ინტერესით ველოდით, რადგან მისი ავტორიც და რედაქტორიც თანამედროვე ქართული თეატრმცოდნეობის აღიარებული ლიდერები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა, ძალიან მოკლედ რომ ითქვას, გამომცემლობის მესვეურთა პროფესიული უმწიფრობის გამო...**

ახლა ცალკეული საკითხები:

I. დავიწყოთ იმით, რომ თურმე (გვ. 6): „ი. ჭავჭავაძემ **სპეციალური** წერილი მიუძღვნა ლ. მესხიშვილის **გამოსვლას გ. ზუდერმანის** პიესაში **„შეშლილია“** (ხაზი ყველგან ჩემია — გ. დ.). ვიტყვი მოკლედ და კატეგორიულად — ეს ინფორმაცია არ არის სწორი: 1. ი. ჭავჭავაძემ მხოლოდ ორ მსახიობს მიუძღვნა ასეთი **„სპეციალური“** წერილი: პირველი გახლდათ გამოჩენილი იტალიელი ტრაგიკოსი **ერ. როსი** („ერნესტო როსი მეფე ლირის როლში“. იხ. **ი. ჭავჭავაძე**, თხზ., ტ. V, გვ. 486, 1991), რომელიც 1890 წელს სწორედ ამ როლით იყო გასტროლებზე საქართველოში და მეორე — **ვიქტორ გამყრელიძე** („ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლიონიძის როლში“, იქვე, გვ. 556), რომელმაც გახმაურებულ სპექტაკლში („სამშობლო“) ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. ვიმეორებ, სხვა არც ერთი მსახიობისთვის ი. ჭავჭავაძეს არ მიუძღვნია ე. წ. სპეციალური წერილი. „ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა“, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმარისია, მხოლოდ გადავხედოთ სარჩევს (გვ. 730-732) ი. ჭავჭავაძის თხზულებათა V ტომისას, რომელიც მთლიანად ეძღვნება მის წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე;...

2. ცნობილი გერმანელი მწერლის ზუდერმანის სახელია **„ჰერმანი“**. ასე რომ, ინიციალი **„გ“** რუსულიდან არის გაუაზრებლად თარგმნილი;

3. და მთავარი: ავტორი პიესისა „შეშლილია“ არის არა ჰ. ზუდერმანი, არამედ — მანსფელდი და ამის შესახებ ჯერ კიდევ 1955 წელს მიუთითებდა... ნ. გურაბანიძე (იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ“).

II. 402 გვერდზე მოხმობილია ცნობილი იტალიელი პოეტისა და დრამატურგის — **კარლო გოცის** (1713-1786) ერთ-ერთი სიუჟეტი და გაკეთებულია დასკვნა:

**„აი, ასე ფერიული** ზღაპარი უდევს საფუძვლად კ. გოცის **ფაბიოს „ქალი გველი“** (ხაზი ყველგან ჩემია — გ. დ.).

პიესის სახელწოდება იწერება დეფისით **(„ქალი-გველი“)** და არა ცალ-ცალკე („ქალი გველი“);

**„ასე“** თუ **„ასეთი“**? პრინციპული თვალსაზრისით, ორივე შეიძლება, მაგრამ შესაბამისად საჭიროა მთელი წინადადების გააზრება: თუ დარჩება **„ასე“**, მაშინ მის შემდეგ აუცილებლად უნდა დაისვას მძიმე, მაგრამ აზრობრივად აქ უფრო **„ასეთი“** იგულისხმება, კერძოდ, „ასეთი ...ზღაპარი...“.

ახლა სწორედ ესაა დასაზუსტებელი, როგორი: **„ფერიული“** თუ **„ფეერიული“**? რა თქმა უნდა, მეორე — **„ფეერიული“**, რადგან სიტყვა **„ფერიული“** არც არსებობს საერთოდ და აქ, ალბათ, კორექტურული შეცდომაა. ერთი **„ე“** დააკლდა, თორემ იქნებოდა „ფეერიული“, რაც ნიშნავს ზღაპრული შინაარსის საცირკო-თეატრალურ წარმოდგენას (ფრ. feerie), რომელიც იდგმება სხვადასხვა სცენური ეფექტის გამოყენებით. ტერმინიც არის ასეთი — **„ფეერიული წარმოდგენა“.**

ბუნებრივი მონტაჟური სვლით მივადექით მთავარს — ესაა სიტყვა **„ფაბიოს“**. არც ასეთი სიტყვა არსებობს, მაგრამ აზრობრივად აქ უნდა იგულისხმებოდეს **„ფიაბა“** (იტალიურად — „ზღაპარი“), რომელიც სწორედ კ. გოციმ დაამკვიდრა თეატრისა და დრამატურგიის ახალ ჟანრად, **კ. გოლდონისა** და **პ. კიარის** ყოფითი კომედიების საწინააღმდეგოდ...

**III.** როცა საუბარია რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ შესანიშნავ სპექტაკლზე (იგულისხმება — „ესპანელი მღვდელი“), კერძოდ, დიეგოს „გარდაცვალების“, მისი „დატირების“ სცენაზე, ნათქვამია, რომ ამ დროს „იწყებოდა საყოველთაო მხიარულება და **კავალკადა** (ხაზი ჩემია — გ. დ.), სიცილით იხოცებოდა ხალხი დარბაზში...“ (გვ. 150).

ცხადია, ეს სცენა მართლაც იყო, როგორც დამდგმელი რეჟისორის (**მ. თუმანიშვილი**), ისე უშუალოდ შემსრულებელი მსახიობების (**ერ. მანჯგალაძე, ე. აფხაიძე**) დიდოსტატობის სრული დემონსტრაცია, მაგრამ რა შუაშია აქ **„კავალკადა“**? საუკუნის ▶

ამბავი

## თეა წულუკიანი გადადგომას არ აპირებს

**„მე გადადგომას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჩემი როლი ერთ-ერთი მოკრძალებულია იმ მთავრობის საქმიანობის ფარგლებში, რომელსაც ბევრი საქმე აქვს წამოწყებული“, — განუცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს.** „საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი რგოლი თუ ჭანჭიკი ვარ, რომელიც ამ კუთხით კარგ საქმეს აკეთებს, ამიტომ გადადგომას არ ვაპირებ“, — განაცხადა წულუკიანმა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას, რომ საფრანგეთში დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესის წაგების გამო, შესაძლოა, მან თანამდებობა დატოვოს.



# შეიძლება ასე ავუბნიოთ სტუდენტს თავგზა, სტუდენტს, რომელსაც ცოდნის მიღება აინტერესებს და არა ის, თუ ვისი ბრალია ეს აბდაუბდა — ავტორის, რედაქტორის, კორექტორის, ჩიტირეკია ამწყობის და ა. შ.?

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შემდეგ რომ ამას წაიკითხავენ (რაღა დარჩა, ღვთის გულისათვის, 60 წელი უკვე გავიდა ამ სპექტაკლის დადგმიდან!), ხომ გადაირევიან, ეს რა თეატრი ჰქონიათ ქართველებს მე-20 საუკუნეში, სცენაზე თურმე „კავალკადას" აწყობდნენო?!

„კავალკადა", მოგეხსენებათ, ცხენებით ჯგუფურ გავლას ნიშნავს, თუნდაც ბულონის ტყეში ბანოვანთა ჯგუფურ გასეირნებას და ა. შ., მაგრამ „ესპანელ მღვდელთან" ეს რა შუაშია?! „ესპანელი მღვდელი" თქვენს მონა-მორჩილსაც უნახავს და, ცხადია, ბევრ მათგანსაც, ვინც ახლა ამ სტატიას კითხულობს, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ასეთი რამ ამ სპექტაკლში და საერთოდ, რუსთაველის თეატრის სცენაზე არასდროს მომხდარა. მარტო ბატონი ნოდარ გურაბანიძისთვის თუ დადგეს და შემდეგ მოხსნეს, სხვა საკითხია... რა საჭიროა ასეთი მამალი ტყუილი, ვერ გამიგია. თუმცა ჩვენს ძვირფას ნოდარ გურაბანიძეს უყვარს ხოლმე, მსუბუქად რომ ვთქვათ, ასეთი „კეკლუცობა", განსაკუთრებით უცხოურ სიტყვებთან და სულ ეგ არის, მე და ჩემმა ღმერთმა!

ნოდარ გურაბანიძის ამ „კეკლუცობაზე" სტატიის დასკვნით ნაწილში დაწვრილებით ვისაუბრებ, როცა, არ გაგიკვირდეთ, „უნიკალურ" მინილექსიკონებსაც შემოგთავაზებთ ამ თვალსაზრისით... დიახ, დიახ, „უნიკალურ" მინილექსიკონებს, ახლა კი ამ „მთრთოლვარებას" გავეცნოთ:

ყველაფერი მსმენია და წარმომიდგენია კიდეც, ვთქვათ, „სიყვარულისგან მთრთოლვარე ხმა" (22), „როლიც განმსჭვალული მთრთოლვარებით" (62), „მოძრაობაც რომ მთრთოლვარე ხდებოდა" (74), „სცენაც ყოველთვის მთრთოლვარე" (220), „სულის მთრთოლვარე ამონაკვნესიც" (357) და ა. შ., მაგრამ — „ფეხის მთრთოლვარე თამაში" (46), გინდ მარჯვენა იყოს იგი და გინდ მარცხენა, ან „ავბედითად მთრთოლვარე რუკა" (302), თუნდაც ინგლისისა თუ მესოპოტამიისაც! — რა ვქნა, გინდ მომკალით, მაგრამ ვერ წარმომიდგენია! ისევე როგორც, ვთქვათ, ვინმემ რომ „კარისკაცს სახეში რუკა მიაფურთხოს" (352), ან „თავმპყრობელი დედოფალი" (399) თუ „ადვილად მოწყვილადი ადამიანი" (178) და ა.შ. თუმცა, ეს უკვე ბატონი ნოდარ გურაბანიძის სტილია და წეროს, რადგან ასე ძალიან უნდა, ამაზე არავინ დაიჭერს, მაგრამ რედაქტორს (ვ. კიკნაძე) კი უნდა შეეხსენებინა, რომ, მაგალითად, ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: „მთრთოლვარე", „თრთოლვა" (38, 75), „ძრწოლვა" (390) თუ „ჟრჟოლვა" (79), ასო **„ვ"** სრულიად ზედმეტია. ეს, კარგა ხანია, დადგენილია და საამისოდ საკმარისია, ერთხელ მაინც ჩაიხედოთ ორთოგრაფიულ ლექსიკონში... მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ბატონი რედაქტორიც (ვ. კიკნაძე) სწორედ ასე წერს და ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი...

ერთხელაც გავიმეოროთ, რომ **სარეცენზიო წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოა და, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ჩვენივე სტუდენტებისთვის. ამდენად, აქ ყოველგვარი სახის ინფორმაცია** (სახელი, გვარი, თარიღი, სპექტაკლის სახელწოდება, პერსონაჟები და მისთ.) **ზუსტი უნდა იყოს ისევე, როგორც ჩვეულებრივ ლექსიკონში. მაგრამ, სამწუხაროდ, პირდაპირ უნდა ითქვას, ამ მხრივ აქ, არც მეტი, არც ნაკლები, სრული ქაოსია, სრული!**

მკითხველი (სტუდენტი) ვერ გაიგებს, როგორ იწყება, მაგალითად, ჰამლეტის ცნობილი მონოლოგი, რადგან ეს ფრაზა ოთხნაირად არის წარმოდგენილი:

**„ყოფნა-არყოფნა" (55, 414, 421);**

**„ყოფნა არ ყოფნა" (48, 179, 418);**

**„ყოფნა, არყოფნა" (54);**

**„ყოფნა არყოფნა" (54).**

მაგრამ ეს რაა იმასთან შედარებით, რომ თვით წიგნის რედაქტორის (**ვ. კიკნაძის**) ნაშრომის სახელწოდებაც ოთხ ვარიანტად გვხვდება:

**„ქართული დრამატული თეატრის ისტორია" (5);**

**„ქართული დრამატული თეატრი" (7);**

**„ქართული დრამატიული"** (უნდა იყოს — „დრამატული" — გ. დ.) **თეატრის ისტორია" (21);**

**„ქართული თეატრის ისტორია" (29).**

როგორც ხედავთ, რედაქტორს **(ვ. კიკნაძე)** ისიც კი ვერ შეუმჩნევია, რომ პირველ 30 გვერდზე ოთხჯერ სხვადასხვაგვარად არის მოცემული **საკუთარი** წიგნის სახელწოდება და სხვას რას შეამჩნევდა?!

ახლა არ იკითხავთ ცალკეულ გვარებს, სახელებს, სპექტაკლის სახელწოდებებს, პერსონაჟებს და ა. შ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა შესავალი. მეშვიდე გვერდის ერთ სტრიქონში სამი გვარია ჩამოთვლილი და სამივე შეცდომით:

**ჰოფმანსტალი** (იგივე მეორდება გვ. 19) — უნდა იყოს: **ჰოფმანსთალი**;

**ბენვენტე** (26-ე გვერდზე — **ბენვენიტე**) — უნდა იყოს: **ბენავენტე**.

**ჯ. სანგი** (**ჯ. სინგი**).

აქვე (7) შეცდომითაა **„ორი ჯიბგირის"** ავტორი, რომლის გვარი იწერება არა ცალ-ცალკე (**დე კურსელი**), არამედ ერთად (**დეკურსელი**).

აქვე (7) ასევე შეცდომითაა **„ცისფერი ობობას"** ავტორის გვარიც, იგი იწერება არა დეფისით (**ვან-ლერბერგი**), არამედ ცალ-ცალკე (**ვან ლერბერგი**), მით უმეტეს, რომ მე-19 გვერდზე სულაც სხვანაირად არის: **ვან-ლენბერგი**, ანუ **„ნ" „რ"**-ს ნაცვლად.

აქვე (ისევ გვ. 7) ნამდვილი კურიოზია: ცნობილი ოპერეტა **„მასკოტას"** ავტორებად ლიბრეტისტები (**შივო** და **დიური**) არიან მოხსენიებული და არა კომპოზიტორი (**ედმონ ოდრანი**), რაც იგივეა, ოპერა **„დაისის"** ავტორად მისი ლიბრეტოს ავტორი, **ვალერიან გუნია** გამოვაცხადოთ და **ზაქარია ფალიაშვილი** საერთოდ არ ვახსენოთ. ბრავო, ბრავო, მაესტრო!

**ახლა ცალკეული გვარები და სახელები:**

შექსპირი **ულიამ** (311) თუ **უილიამ**, როგორც აქამდე ვიცოდით?

პიტერ **ბრიუკი** (416) თუ პიტერ **ბრუკი**?

**ბრეჰტი** (244) თუ **ბრეხტი**?

ჩეხი დრამატურგის გვარია **ბალაჟეკის** (183) თუ ბლაჟეკი?

**ჰაიზენკლევერი** (32-33) თუ ცნობილი გერმანელი დრამატურგი და პოეტი **ჰაზენკლევერი** (1890-1940)?

მხატვარი **კ.** სიდამონ-ერისთავი თუ **ვ**. სიდამონ-ერისთავი (ხაზი ყველგან ჩემია — გ. დ), სხვათა შორის, ერთსა და იმავე გვერდზე (19)?

ჯონ **ბოიდონ** პრისტლი (123) თუ სახელგანთქმული ინგლისელი დრამატურგი — ჯონ **ბოინდონ** პრისტლი (1894-1984)?

მეიერხოლდი (10), ვ. მეიერხოლდი (33), ვს. მეირჰოლდი (252) თუ ვს. მეიერჰოლდი (277)?

მწერალი **გურამ ბარათაშვილი** (151) თუ **გურამ ბათიაშვილი**?

მხატვარი **გოგო მესხიშვილი** (283, 371) თუ **გოგი მესხიშვილი**?

მუსიკათმცოდნე **გივი ორჯონიკიძეზე** (285) თუ **გ. ორჯონიკიძე?**

**ვაჟა ფშაველა** (177) თუ **ვაჟა-ფშაველა?**

**ჟანა დარკი** (288) თუ **ჟანა დარკი?**

**ლ. ვარსიმაშვილი** (168) თუ **ა. ვარსიმაშვილი?**

**„ჩემი ანტიგონე"** რეჟისორ **მ. თუმანიშვილის** წიგნია (223) თუ მსახიობ **ზინა კვერენჩხილაძისა?**

დრამატურგი **გ. ბირკოვი** (96) თუ **ბ. ჩირსკოვი?** როგორც ვხედავთ, არც ინიციალია სწორი და არც გვარი.

დრამატურგი **ბ. ლავრენიევი** (98) თუ **ბ. ლავრენიოვი** („რღვევა")?

დრამატურგი **პოჰოდინი** (98) თუ **პოგოდინი**?

**გოლდონი** როგორ არ გამიგონია? კერძოდ, **კ.** ანუ **კარლო გოლდონი**, მაგრამ **ო. გოლდონი** — არა. ალბათ, ძმა თუ იყო ამ უკანასკნელის ან ბიძაშვილი (მამის მხრიდან).

**სპექტაკლების სახელწოდებები:**

**„ას ერსგასის დღე"** (253), **„ას ერგასის დღეები"** (380) თუ, როგორც ცნობილია, **„ას ერგასის დღე"**?

1946 წელს რუსთაველის თეატრში მართლაც დაიდგა სპექტაკლი **„თავიანთი კაცი"**? რა თქმა უნდა, იგულისხმება — **„თოფიანი კაცი"**.

რომელია სწორი: ტოლერის **„კაცი მასა"** (34-37), **„კაცი-მასა"** (19, 37, 39), თუ სულაც **„კაცის-მასა"** (39)?

სენდერბიუს პიესას რა ჰქვია: **„ქალთა აჯანყება"** (3) თუ **„ქალთა ამბოხი"** (181)? და ა.შ.

**პერსონაჟები:**

**„ანტიგონე":**

ანტიგონეს დას ჰქვია **„ისმენე"**, მაგრამ უფრო მეტად იგი მოიხსენიება, როგორც — **„ისმინე"**, კერძოდ, 218 გვ. **„ისმინე"** არის 9-ჯერ, **„ისმენე"** — 2-ჯერ. ასეთივე მდგომარეობაა 216-219, 222 გვერდებზე.

**კრენონი** (216) თუ **კრეონტი**?

**„ბერნარდა ალბას სახლი":**

**ბერნარადა** (376) თუ **ბერნარდა**?

**მარტირო** (377) თუ მეორე გვერდზე — **მარტირიო**?

**„გოდოს მოლოდინში"**:

მსახური — **ლაქი** (420), მაგრამ მეორე სტრიქონშივე — **ლაკი**. **ვლადიმირი** (420) თუ იქვე, იმავე აბზაცში — **ვლადიმერი**?

**„ესპანელი მღვდელი":**

კოტე მახარაძის გმირი — **ბართოლუსი** (147, 149), მაგრამ იქვე — **ბართოლოსი**?

**„მაკბეთი"**

**მაკბეტი** (285) და მეორე სტრიქონშივე — **მაკბეთი**?

**მაკბეტი** და **მაკბეთი** ერთ სტრიქონში (389)?

გ) **ბენქო** (390), ერთი სტრიქონის შემდეგ — **ბანქო** და მომდევნო გვერდზე — **ბენკო** — ერთი სიტყვით, მისამღერივითაა: **ბენქო, ბანქო, ბანკო**.

**„მარიამ სტიუარტი":**

**სოვაჟი** (397) თუ იმავე გვერდზე — **სევაჟი**?

**ელისაბედი** (394) თუ **ელიზაბეთი** (401)?

**„მეფე ლირი":**

**გონერილი** (336, 341, 347) თუ **გონერილა** (343, 347)?

**რიგანა** თუ **რეგანა** ერთსა და იმავე გვერდზე (341)?

**რიჩარდ III:**

**ჰესტინგსი** (299) თუ იმავე აბზაცში — **ჰოსტინგსი**?

**რიჩარდ III** (300) თუ **რიცარდ III** (300)?

**„ორი ბატონის მსახური":**

**ტრუფალდინი** (99) თუ **ტრუფალდინო** (100) და იმავე აბზაცში — **ტრიუფალდინო**?

**„როგორც გენებოთ...":**

ჰერცოგი **ორსინო** (407) თუ გრაფი **ორსინო** (409)? იმავე გვერდზე — ჰერცოგი **ორსინიო** და მესამე ვარიანტიც — **ორასინო**?

**„სამგროშიანი ოპერა":**

რ. ჩხიკვაძის გმირის სახელი არის **მეკხიტი** (191) თუ ამავე გვერდზე — **მექხიტი**?

**„ტიტუს ანდრონიკუსი":**

**აარონი** თუ **არონი** ერთსა და იმავე გვერდზე (358)?

ასევე ერთ გვერდზე (359) — **სატიურნიუსი** თუ **სატურნინუსი?**

**„ფედრა":**

მერაბ თავაძის გმირის სახელია არა **იპოლიტე** (242), არამედ **იპოლიტ.**

**XIV. „დონ სეზარ დე ბაზანი":**

**ლაზარილოო** (139) თუ **ლაზარილიო** (140)?

**XV. „ჰამლეტი":**

**პოლონიუსი** (418), მაგრამ მეორე სტრიქონში — **პოლინიუსი**, ხოლო ორი სტრიქონის შემდეგ — **პოლნუსი**. რა ხდება?!

**შეიძლება ასე ავუბნიოთ სტუდენტს თავგზა, სტუდენტს, რომელსაც ცოდნის მიღება აინტერესებს და არა ის, თუ ვისი ბრალია ეს აბდაუბდა — ავტორის, რედაქტორის, კორექტორის, ჩიტირეკია ამწყობის და ა.შ.?**

ახლა იმაზეც ვთქვათ, რაც საერთოდ არ აქვს წიგნს — ეს არის მეცნიერული აპარატი, ურომლისობაც გამოუსწორებელი ნაკლია ამ ყაიდის მონოგრაფიისთვის — არავითარი საძიებლები აქ არაა — არც სახელთა, არც სპექტაკლების, არც გეოგრაფიული სახელებისა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, არც ილუსტრაციები — უამრავ სპექტაკლზეა საუბარი, მაგრამ არც ერთი ფოტო, პარადოქსია ნამდვილად! რაც შეეხება სქოლიოებს, იცოცხლე, ბლომადაა, მაგრამ იმდენად **სამარცხვინო,** ნეტავ, საერთოდ არ ყოფილიყო. **ასეთი უპასუხისმგებლობა და უწიგნურობა, ასეთი აგდება მკითხველისა, ყოვლად წარმოუდგენელია... ზოგადად და მკაცრად იმიტომ მივუთითებ, რომ ეგებ პრეტენზია განაცხადოს ავტორმა ან რედაქტორმა, საგულდაგულოდ რომ გატრუნულან და საბაბიც მომეცემა ამ კონკრეტულ საკითხზეც ვისაუბრო დაწვრილებით...**

დასასრულ, „სიაბდლეებზე", რომელთაც, ჩვენი შესანიშნავი კომპოზიტორის — **ვაჟა აზარაშვილის** ამ ცნობილი ტერმინის გარდა, ვერაფერს უწოდებ. კერძოდ, რომ თურმე „კრიტიკამ „რიჩარდ მესამესა" და „მაკბეთს" რობერტ სტურუას შექსპირული **დიალოგი** (ხაზი ჩემია — გ. დ.) უწოდა" (391), თემურ ჩხეიძემ მეტეხის თეატრში **„ოიდიპეს** (ხაზი ჩემია — გ. დ.) მეფე" დადგაო (291), ან მთლად უკეთესი, რომ პოლონიუსის საკრამენტული ფრაზა ყოფილა — **„დიანა** (ხაზი ჩემია — გ. დ.) საპყრობილეა!" (435). გურიაშიც კი, ამ მართლაც სიაბდლეებზე უმალ მოგახლიან, ისემც დაგიმშვენდა ცხვირიო. არა, მოფიქრება არ გინდა?! – სად **„დიანა"** და სად **„დანია",** კარგით რა, ღმერთი არ გწამთ?!

**(დასასრული მომდევნო ნომერში)**

**გოგი დოლიძე,**
**პროფესორი,**
**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთ. სამეცნიერო კონსულტანტი,**
**აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი**



# მეუფე დანიელი: როცა ბოროტი ძალა გარე საშუალებებით ვერ ერევა ეკლესიას, ცდილობს, მცდარი სწავლება ეკლესიის შიგნით შემოიტანოს

**„ღვთისგან მოცემული ცოდნა ღვთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ არ შეიცვლება და ვერავითარი ძალა მას ვერ შეცვლის", — ბრძანა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას.**

მეუფემ ქადაგება მართლმადიდებლობის ზეიმის მნიშვნელობაზე საუბრით დაიწყო, რომლითაც დღეს ეკლესია ხატთმებრძოლობაზე გამარჯვებასა და ხატთა თაყვანისცემას აღნიშნავს. დღესასწაული VII მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ დაწესდა.

„VII მსოფლიო საეკლესიო კრება იყო ხატთმებრძოლობის, მწვალებლობის საწინააღმდეგოდ. ამ კრებამ კიდევ ერთხელ დაამოწმა, რომ ხატის თაყვანისცემა, ეს არის ღვთისგან დადგენილი შეჭმარიტი მსახურება იმ წმინდანებისა და უფლისა, რომელნიც გამოსახულნი არიან ხატებზე. იყო კიდევ ერთი მცდელობა ბოროტი სულისა, რომ ეკლესიაში, რომელშიც ყველაფერი ხდება ღვთის გამოცხადების საფუძველზე, შესულიყო ცვლილება და ადამიანს, თავისი ადამიანური გონებით ღვთის ნება და ღვთაებრივი სწავლება დაერღვია. ეს არ მოხდა. ეკლესიამ ცდომილება ამხილა და ამის შემდგომ დაადგინა დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებლობის ზეიმს ვუწოდებთ. დღესასწაული გულისხმობს, რომ ღვთისგან მოცემული შეჭმარიტი სარწმუნოება, ცოდნა ღვთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ, უფლის დახმარებით, არ იქნება შეცვლილი, არ იქნება შერყვნილი, ვერავითარი ძალა მას ვერ შეცვლის. დედამიწაზე, ვიდრე მეორე მოსვლამდე, ადამიანებს ყოველთვის ექნებათ გეზი, გზა — ღვთისკენ მიმავალი, უცდომელი, რომელიც მიიყვანს ღმერთთან, რომელიც არ იქნება გამრუდებული", — ბრძანა მეუფე დანიელმა.

მან აქვე აღნიშნა, რომ „ამ ჭეშმარიტ გზას, ჭეშმარიტ სწავლებას და მის სიწმინდეს ეკლესია იცავს და, როცა ბოროტი ძალა გარე საშუალებებით ვერ ერევა ეკლესიას, ცდილობს, მცდარი სწავლება ეკლესიის შიგნით შემოიტანოს და შესაბამისად, გზა-კვალი აურიოს მორწმუნე ადამიანებს. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან იცავს თვით უფალი და ეკლესია იმარჯვებს ყოველგვარ ცდომილებაზე".

# ყირიმში ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს

**Politikus.ru-ს ინფორმაციით, საფრენი აპარატი ე. წ. სახალხო თავდაცვისა და „ბერკუტის" თანამშრომლებმა შეამჩნიეს და ცეცხლი გაუხსნეს.**

ასევე ჩამოგდებული იქნა კიდევ ერთი უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც დაცვის საგუშაგოს საზღვრებს გარეთ დაეცა. თითოეული საფრენი აპარატის ღირებულება 4,03 მლნ დოლარია.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ფერადი ტბები

**ჩვენს პლანეტაზე უამრავი უცნაური ტბა არსებობს. მაგალითად, ზოგი დროდადრო ქრება, შემდეგ კი კვლავ ჩნდება; ზოგის წყალს კი უჩვეულო შეფერილობა აქვს.**



## ლაგუნა კოლორადო

**ლაგუნა კოლორადო მდებარეობს ბოლივიის მაღალმთიანი პლატოს სამხრეთ-დასავლეთით და წარმოადგენს მარილიან, მცირეწყლიან ტბას, რომლის საშუალო სიღრმე 35 სანტიმეტრია.** ტემპერატურისა და დღე-ღამის მიხედვით ტბა შეფერილობას იცვლის სისხლისფერი წითლიდან იისფრამდე. ამ უჩვეულო თვისებას ლაგუნის წყალს ანიჭებენ პაწაწინა წყალმცენარეები, რომლებიც ინტენსიური ულტრაიისფერი გამოსხივებისგან თავდასაცავად კაროტინს გამოიმუშავებენ.



## ხუთფერი ტბა

**ჩინეთში, ცზიუჩჟაიგუს ველის ცენტრში მდებარეობს ტბა, რომლის ფერი დროდადრო ყვითელიდან მუქ მწვანემდე იცვლება, მაგრამ, როგორც წესი, აქ წყალი ლურჯი ფერისაა. ტბა უამრავი საიდუმლოებითაა მოცული.** იმ დროს, როდესაც ირგვლივ მდებარე მრავალ წყალსატევში წყალი მუდმივად იკლებს და შრება, ხუთფერ ტბაში წყლის დონე მუდამ უცვლელია.

იმის მიუხედავად, რომ ირგვლივ მდებარე ყველა ტბა ზამთარში ყინულით იფარება, ეს ტბა არასდროს იყინება, რასაც ტბის ფსკერზე ცხელი წყაროების არსებობა განაპირობებს. ამ წყაროების არსებობას კი ტბის ზედაპირზე პერიოდულად ბუშტების ამოსვლა ადასტურებს.



## ტბა პილერი

**ეს წყალსატევი მდებარეობს დასავლეთ ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროსთან გადაჭიმული რეჩერჩეს არქიპელაგის შემადგენლობაში შემავალი საშუალო კუნძულის განაპირას. ამ ტბის წყალი ვარდისფერია.**

ეს უცნაური ტბა ადამიანებმა პირველად 1802 წელს აღმოაჩინეს. კვლევებმა ამ დრომდეც ვერ იპოვა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არის ამ წყალსატევის წყალი ვარდისფერი.



## კრატერული ტბა კელიმუტუ

**კრატერული ტბა კელიმუტუ ინდონეზიაში, ფლორესის კუნძულზე ვულკან კელიმუტუს კრატერში მდებარეობს და გეოლოგების უდიდეს ინტერესს იწვევს.**

ამ ადგილას სამი კრატერული ტბაა განლაგებული და სამივე სხვადასხვა ფერისაა. ყველაზე დასავლეთით მდებარე ტბას ხანდაზმული ადამიანების ტბა (Tiwu AtaMbupu) ჰქვია. მისი წყალი, როგორც წესი, ლურჯია. ორი დანარჩენი ტბა — ჯადოსნური ტბა (Tiwu Ata Polo) და ახალგაზრდების ტბა (Tiwu Nuwa Muri Koo Fai) ერთმანეთისგან კედლითაა გამოყოფილი და მათში წყალი, შესაბამისად, წითელი და მწვანე ფერისაა.



## ტბა «Ngakoro»

**ეს ღია მწვანე შეფერილობის ტბა ახალ ზელანდიაშია. მწვანე ფერს წყალს რკინისა და გოგირდის ორჟანგების დიდი რაოდენობა აძლევს.**



# წარმოუდგენელი წვერი

**სან-ფრანცისკოს ერთ-ერთმა მცხოვრებმა ისაია უებმა დაიპყრო ინტერნეტი თავისი წვერით. ყოველ ორშაბათს იგი სურათებს ტვირთავს Tumblr-ზე და Instagram-ზე ნიკით #Monbeardday ხოლო თავის თავს Mr Incredibeard-ს (მისტერწარ წარმოუდგენელ წვერს) უწოდებს.**

უები 29 წლისაა, მან წვერის გაზრდა 18 თვის წინ დაიწყო და უნდა, რომ წვერი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშად აქციოს. ფანები მას ხშირად უგზავნიან წერილებს და ურჩევენ კიდეც, რად შეიძლება გადაიკეთოს წვერი.

**„ჩემი ცოლი ერთადერთი იყო, ვინც წვერის გაზრდას მირჩევდა. ბევრი იდეა მომდის წვერის დიზაინთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ ის ახორციელებს მათ“,** — ამბობს უები.



# ყველაზე სწრაფი ოთხზე მორბენალი

**30 წლის იაპონელმა ათლეტმა ტოკიდან კენიჩი იტომ მსოფლიოში ყველაზე სწრაფი 4 კიდურზე მორბენალის სტატუსი მოიპოვა.**

**კენიჩი იტომ 100 მეტრი 16,87 წამში გაირბინა, რითაც მოხსნა გასული წლის საკუთარი რეკორდი. მან მაშინ 100 მეტრი 17,47 წამში გაირბინა. შესაბამისი ჩანაწერი შევიდა გინესის რეკორდების წიგნში.**





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვროცლავი, პოლონეთი

ვროცლავი პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე ძველი ქალაქია, აქ მიედინება ხუთი მდინარე — ოდრა და მისი 4 შენაკადი. მეორე მსოფლიო ომამდე ქალაქში იყო 330 ხიდი, ამჟამად მათი რაოდენობა 220-ს უტოლდება.

# მსოფლიოს ყველაზე ფერადი ქალაქები





## გუანახუატო, მექსიკა

ეს არის მექსიკის შტატი, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ცენტრალურ მთიანეთში. შტატის სახელი მომდინარეობს მისი ამავე სახელწოდების დედაქალაქისგან, რომელსაც, თავის მხრივ, ეს სახელი ადგილობრივი ინდიელების ენის გავლენით დაერქვა და „ბაყაყების გორაკს“ ნიშნავს. გუანახუატო ყოფილი პრეზიდენტის — ვისენტე ფოქსისა და კუბისტი მხატვრის — დიეგო რივერას მშობლიური შტატია.



## პატაია, ტაილანდი

ეს ქალაქი ტაილანდის ყურის აღმოსავლეთით მდებარეობს და მილიონობით ტურისტს იზიდავს. პატაია ერთ-ერთი ყველაზე ჯადოსნური და ფერადი ქალაქია მსოფლიოში.





## უტრეხტი, ნიდერლანდები

უტრეხტი VIII საუკუნიდან მოყოლებული ნიდერლანდების რელიგიური ცენტრი იყო. ამჟამად უტრეხტის ეპისკოპოსი ყველაზე მნიშვნელოვანი კათოლიკური ლიდერია ნიდერლანდში. ქალაქის ძველი, ცენტრალური ნაწილი ადრეული შუა საუკუნეების მრავალ ნაგებობას მოიცავს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში უტრეხტი ჩრდილოეთ ნიდერლანდების ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, სანამ ამსტერდამი ქვეყნის ურბანული და კულტურული ცენტრი გახდებოდა.



## ლიმა, პერუ

ქალაქი 1535 წლის 18 იანვარს ესპანელმა კონკისტადორმა ფრანსისკო პისარომ დააარსა და სიუდად-დე-ლოს-რეიესი, ანუ „მეფეთა ქალაქი“ უწოდა. იგი გახდა ესპანური პერუს ვიცესამეფოს დედაქალაქი და ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი. დამოუკიდებლობისთვის ომის შემდეგ ლიმა პერუს რესპუბლიკის დედაქალაქი გახდა.





## სენტ-ჯონსი, ნიუფაუნდლენდი, კანადა

სენტ-ჯონსი შტატის ადმინისტრაციული ცენტრია და მოსახლეობის რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს. ის ერთ-ერთი ყველაზე ძველი დასახლებული პუნქტია კანადაში. ქალაქი დაარსდა 1583 წლის 5 აგვისტოს ინგლისის დედოფლის — ელისაბედ I-ის ბრძანებით. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო დიდმა ბრიტანეთმა თავისი კოლონიური იმპერიის გაფართოება.



## ვალპარაისო, ჩილე

ვალპარაისო ჩილეს კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. ქალაქის ისტორიული ნაგებობები შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.



## მარანოლა, იტალია

ამ პატარა ქალაქის კეთილმოწყობილი სანაპირო კლდეები პირდაპირ ზღვას გადაჰყურებს. მარანოლა მე-12 საუკუნით თარიღდება, მისი ფერადი სახლები კი დღემდე თვალწარმტაცია.



## სტოკჰოლმი, შვედეთი

სტოკჰოლმი შვედეთის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრია XIII საუკუნიდან. მისი სტრატეგიული მდებარეობა შვედეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს თოთხმეტ კუნძულზე, ტბა მელარენის შესართავთან, სტოკჰოლმის არქიპელაგთან, ისტორიული მნიშვნელობისაა. კუნძულებზე მდებარეობისა და განსაკუთრებული სილამაზის გამო, ქალაქს მეტსახელად ჩრდილოეთის ვენეცია შეარქვეს. ის განთქმულია წარმტაცი პარკებით, ბაღებითა და არხებით, რის გამოც სკანდინავიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალაქია საერთაშორისო ტურიზმისთვის.





## ვილემსტადი, კიურასაო

ეს ნიდერლანდების უდიდესი კუნძული კიურასაოს უმსხვილესი ქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრია. 1997 წელს ქალაქის ისტორიული ზონა შეიტანეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.

# ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კენჭები ცრემლები

**იემენში მცხოვრებ 12 წლის გოგონას — საადია სალეჰის ფენომენი მეცნიერებისთვის ამოუხსნელია — მას ტირილის დროს თვალებიდან ცრემლების ნაცვლად კენჭები სცვივა.**

ექიმები ამ პრობლემის გადაწყვეტას ვერ ახერხებენ, რადგანაც საადია სრულიად ჯანმრთელია. გოგონას მდგომარეობას სოფელში პანიკა მოჰყვა. მეზობლებს მის სახლში შესვლა აშინებთ. ზოგიერთი ადგილობრივის თქმით, გოგონას ჯადო აქვს, ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ მას ეშმაკი შეუჩნდა. მეზობლები დარდობენ, რომ საადიას დაავადების გამო სოფელში ეპიდემია გავრცელდება.



# პლანეტის ყველაზე დიდი ქორწილი





**ქორწილის დაგეგმვა ყველა წყვილისთვის საპასუხისმგებლო საქმეა, მით უფრო თუ ქორწინებასთან ერთად გინესის ახალ რეკორდსაც ამყარებ.** შრი-ლანკელმა შეყვარებულმა წყვილმა საკუთარი ქორწინების ცერემონიაზე პატარძლის 126 მეჯვარე მიიწვია, რითაც მოხსნა წინა რეკორდი (96 მეჯვარე). პატარძლის ყველა მეჯვარეს, ასევე 20 პაჟსა და ნეფის 25 მეჯვარეს ტრადიციული სამოსი ჩააცვა ჩამპი სირივარდანამ, აზიის კონტინენტზე ერთ-ერთმა წამყვანმა დიზაინერმა.

ისტორიულ ცერემონიაზე მისვლა გადაწყვიტა შრი-ლანკის პირველმა ლედიმ, პრეზიდენტ მახინდა რაჯაპაკსას მეუღლემ — შირანტი რაჯაპაკსამაც. ქორწილი გაიმართა შრი-ლანკის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში „Avendra Gardens" უახლოესი ადამიანების გარემოცვაში.



**„გინესის რეკორდი, ცხადია, გმირობა არ არის, მაგრამ მიხარია, რომ ჩემი ძალისხმევა ასე დაფასდა,** — ამბობს ჩამპი. **— ჩემი დის ქორწილი ნამდვილ გამოცდად იქცა არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩემთვისაც".**

სხვათა შორის, გოგონა უკვე დარწმუნებული იყო, რომ მას მსოფლიო რეკორდი ელოდა და ეს საკითხი პრესკონფერენციაზეც კი განიხილა. „ჩემი ოცნება იყო, გავლენა მომეხდინა არამხოლოდ ჩემი ქვეყნის ისტორიაზე, არამედ მთელი მსოფლიოსთვის გამეცნო თავი. როგორც ხედავთ, ოცნებები სრულდება", — სიამაყით აცხადებს ჩამპი სირივარდანა.







## 170 000 დოლარი მარტოხელასთან შვებულების გასატარებლად

**ჩინეთში მდებარე პროვინცია გუანდუნში მცხოვრები მდიდარი ახალგაზრდა პარტნიორს ეძებს და ნებისმიერ გოგონას, რომელიც მას მშობლების სახლში გაჰყვება და შვებულებას მასთან გაატარებს, 170 ათას დოლარს გადაუხდის.** ახალგაზრდა ვაჟი პარტნიორს ჩინეთში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულის, ჩინური ახალი წლის, იმავე გაზაფხულის ფესტივალისთვის ეძებს. გოგონა უნდა იყოს 25 წლამდე, 168 სანტიმეტრის სიმაღლის და 50 კილოგრამი. თუ გოგონას ექნება დოქტორის ხარისხი და იქნება ქალწული, თანხას 10% დაემატება. რიგში 10 000 გოგონა დგას და, როგორც ამბობენ, კონკურენცია ძალიან დიდია.

## ყველაზე ხანგრძლივი ორსულობა

**84 წლის ბრაზილიელი ქალის სხეულში 44 წლის გაქვავებული ნაყოფი აღმოაჩინეს. მუცელში აუტანელი ტკივილის გამო ქალმა მიმართა ექიმს, რომელმაც მას რენტგენი გადაუღო. ფოტოზე გაქვავებული ემბრიონი გამოჩნდა. აღნიშნულ ფენომენს მედიცინაში ლიტოპედიონი ჰქვია.** ეს იშვიათი ფენომენია, რომელიც ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც ნაყოფი საშვილოსნოს გარე ორსულობის დროს კვდება. რადგან ასეთი ნაყოფისგან გათავისუფლების ბუნებრივი მეთოდი არ არსებობს, ორგანიზმი მის კალციფიკაციას ახდენს, რომ ნაყოფის გახრწნილმა ქსოვილმა ქალის ორგანიზმს არ ავნოს. ექიმებმა ქალი გასინჯეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნაყოფი ორსულობის 28-ე კვირას მოკვდა. მიუხედავად ამისა, მის მოსაცილებელ ოპერაციაზე პაციენტმა უარი თქვა.






## მსუქნები დაბინძურებულ ჰაერს ნთქავენ

**იმის გამო, რომ ჭარბწონიანებს გამხდრებთან შედარებით უფრო მეტი ჟანგბადი სჭირდებათ, მსუქანი ადამიანები უფრო მეტ დაბინძურებულ ჰაერს ისუნთქავენ.**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთი ადამიანები გაცილებით მეტ ამიაკს, გოგირდის დიოქსიდს, ოზონსა და აზოტის მონოქსიდს ისუნთქავენ. აქედან გამომდინარე, ისინი უფრო მეტად დაუცველნი არიან ამ მხრივ. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამ კანონზომიერებამ, შესაძლოა, საშიში დაავადებები გამოიწვიოს.

# ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მომავლის ავტომობილი

**ყველას არ შეუძლია, დღე და ღამ გაუძლოს ქალაქის აურზაურს. მისგან თავის დასაღწევად არც თუ ისე შორეულ მომავალში კომფორტული და უსაფრთხო ავტომობილი XSCAPE დაგვეხმარება.**

ავტომობილი უზრუნველყოფს მძღოლისთვის იდეალურად კომფორტულ გასეირნებას. მის სალონში, შესაძლებელია, მძღოლმა განათება და ხმაც კი საკუთარი გემოვნებისამებრ დაარეგულიროს. XSCAPE-ის მართვა შესაძლებელია ორი ჯოისტიკის საშუალებით.

ავტომობილის უკანა ნაწილი და შასი საშუალებას მოგცემთ, რომ „გაჭიმოთ" მანქანა და გახადოთ ორადგილიანი. ასევე მანქანა აღჭურვილია გადამცემებით, რომლებიც ატყობინებს მძღოლს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სამწუხარო ისაა, რომ მანქანა გაყიდვაში 2030 წელზე ადრე ვერ გამოვა.

## 3D სკულპტურები წიგნის ფურცლებისგან

**ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ჯოდიმ გადაწყვიტა, ძველი წიგნები შეეძინა. როდესაც ფურცლისგან გარკვეული ფორმის მიღება სცადა, დარწმუნდა, რომ მისგან შეიძლება პერსონაჟები, ემოციები, სამყარო შექმნა. წიგნებისგან, რომლებიც გარკვეულ ეპოქას ქმნის, შესაძლოა, ახალი სიცოცხლეც შექმნა.**

ყველა წარმოსახვა, რომელიც წიგნის კითხვის პროცესს სდევს თან, შესაძლოა ხელოვნების ამგვარ ჭრილში გადაიტანო და დაანახო ყველას ის, რაც ერთი შეხედვით უხილავია. შესაძლოა, ადამიანებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი გავხადოთ ის, რასაც თუნდაც მცირე ფიქრი სჭირდება, მაგრამ ამისთვის ნიჭი აუცილებელია.





















## ყველაზე ჭკვიანი ხელჩანთა

**ამბობენ, შოპინგი რელაქსაციისთვის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ზღვარი აქაც არსებობს.**

სწორედ მათ, ვინც შოპინგისას ცდუნებას ვერ უმკლავდება, საკრედიტო ბარათზე ანგარიშის დაზოგვაში დაეხმარება ჭკვიანი ხელჩანთა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად იკეტება და საფულესთან მიახლოების საშუალებას არ მოგცემთ.

დიზაინერებმა ჩანთას iBag-ი უწოდეს. ხელჩანთას სპეციალური სენსორები აქვს — თუ სენსორებმა დააფიქსირა, რომ შოპინგი „ალვირახსნილობაში" გადაიზარდა, ან პატრონი საყვარელ მაღაზიაში შევიდა, ჩანთა ავტომატურად დაიკეტება და ელვის გახსნას ვერ შეძლებთ.

ამასთან, სპეციალური პაწაწინა ნათურები ციმციმს იწყებს და ჩანთის მფლობელს მოკლე ტექსტური შეტყობინება ეგზავნება, რომ „სახიფათო ზონაში" იმყოფება.

როგორც მაიკლ ჰატჩისონი ამბობს, iBag-ი შექმნილია მათთვის, ვინც ხარჯებს ვერ აკონტროლებს. თუმცა პროექტის ავტორები ამბობენ, რომ ადამიანებთან, რომლებიც შოპინგით შეპყრობილები არიან, ეს ჩანთა მაინც უძლურია.



## ამერიკელთა მეოთხედმა არ იცის, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს

**ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2 000-ზე მეტი ამერიკელის გამოკითხვის თანახმად, აშშ-ის მოსახლეობის 25%-მა არ იცის, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს და რომ ჩვენი პლანეტა მზის სისტემის ცენტრში არ მდებარეობს. რესპონდენტებს 9 კითხვაზე პასუხის გაცემას სთხოვდნენ, ყოველი კითხვა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფუნდამენტურ საფუძვლებს ეხებოდა.**

9 კითხვიდან სწორი პასუხი მხოლოდ 6,5 კითხვას გასცეს. ასტრონომიის დარგიდან კითხვა მათ რიცხვში არ მოხვდა. ამ სფეროში ელემენტარული ცოდნა გამოკითხულთა მხოლოდ 74%-მა გამოავლინა.

ასტრონომები მხოლოდ ერთმა რამემ შეიძლება დაამშვიდოს: ამერიკელების ცოდნა სხვა მეცნიერებებში ბევრად შთამბეჭდავი არ არის. მაგალითად, ამერიკელების 48% ფიქრობს, რომ ადამიანები ცხოველებისგან წარმოიშვნენ.



# დათა ახალაიას სანდრო გირგვლიანის წამების ორგანიზების ბრალდება მოეხსნა



ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ კუდის ყოფილ მაღალჩინოსან დათა ახალაიას სანდრო გირგვლიანის წამების ორგანიზების ბრალდება მოეხსნა და ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ მიიღო.

**„სანდრო გირგვლიანის წამებაში ბრალი არც ერთ პირს არ აქვს წარდგენილი. გირგვლიანის გარდაცვალების გარემოებები გამოძიებით დადგენილი არ არის, საქმე გაუხსნელია. საბოლოოდ გამოჩნდა, რომ გირგვლიანის საქმით პროკურატურა ახორციელებდა დავით ახალაიას პოლიტიკურ დევნას, შავი პიარის ორგანიზებას და სამართლებრივ ჯამბაზობას!“** — განაცხადა ადვოკატმა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიმდინარე საპროცესო მოქმედებების შესახებ განცხადება გაავრცელა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ დათა ახალაიას ბრალი ედება სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით თავისუფლების უკანონო აღკვეთის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისთვის, ასევე მოქალაქეების: ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისთვის.

ივანე მერაბიშვილს ბრალი ედება გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბისთვის; ოლეგ მელნიკოვს ბრალი ედება თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში (სანდრო გირგვლიანის, ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდები); გერონტი ალანიასა და ვალერიან მეტრეველს ბრალი ედებათ მოქალაქეების: ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და მათ მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში. ბრალდებულების საქმე 12 მარტს წარიმართება სასამართლოში არსებითად განსახილველად.

რაც შეეხება უშუალოდ ოქროყანის სასაფლაოს ეპიზოდს, სანდრო გირგვლიანისთვის სასიკვდილო ჭრილობების მიყენების ნაწილში, გამოძიება ინტენსიურად გრძელდება, რომლის შედეგების შესახებ მთავარი პროკურატურა, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, დამატებით აცნობებს საზოგადოებას.



# დავით ქირია — მსოფლიოს ჩემპიონი კიკბოქსინგში

ქართველი სპორტსმენტი დავით ქირია კიკბოქსინგში Glory-ს სერიის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. დავით ქირია მსუბუქ წონით კატეგორიაში ასპარეზობს. ფინალურ ორთაბრძოლაში, რომელიც ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გაიმართა, დავით ქირია ენდი რისტის შეხვდა. ქართველმა სპორტსმენმა უმძიმეს ბრძოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლება, მან მეტოქე მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

# გიგი უგულავას სიცრუეში ადანაშაულებენ



**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებულ მერს, გიგი უგულავას, სიცრუეში ადანაშაულებს. როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №16.75.608 დადგენილებით, ააიპ თბილისის განვითარების ფონდს დუშეთის რაიონის სოფელ კაიშაურებში, „მთავარცლას“ ტერიტორიაზე არსებული 58839 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა.**

ამავე დადგენილებით, „თბილისის განვითარების ფონდს“ დაევალა, ეს ნაკვეთი გაასხვისოს — უსასყიდლოდ თანასაკუთრებაში გადასცეს შემდეგ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს: გია პეტრიაშვილს, გურამ ცერცვაძეს, ოთარ რუხაძეს, რევაზ ადამიას, ტარას ნიჟარაძეს, შპს „მაგთივინსა“ და შპს „იბერკომპანის“. შესაბამისი პროცედურების გატარების უზრუნველყოფა დაევალა „თბილისის განვითრების ფონდს“, ხოლო კონტროლი დადგენილების შესრულებაზე — ქ. თბილისის მერის მოადგილეს — დავით ალავიძეს. დადგენილებას ხელს აწერს თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე“, — განაცხადეს სამინისტროში. მათივე ცნობით, საჯარო რეესტრის მონაცემებით, მიწის ფართობი, რომელზეც გიგი უგულავა ამახვილებს ყურადღებას, დღემდე ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საკუთრებაა.

„როგორც საჯარო რეესტრის მონაცემის, ისე თბილისის მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N16.75.608 დადგენილების თანახმად, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იურიდიულ კავშირში არ არის კონკრეტულ უძრავ ქონებასთან და, შესაბამისად, გიგი უგულავას მიერ გაკეთებული განცხადება ამ მიწის ნაკვეთის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება“, — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



# ლევან ვასაძე: პოლიტიკაში ჩართვას არ ვაპირებ!

ბიზნესმენი ლევან ვასაძე პოლიტიკურ ასპარეზზე მისი შესაძლო გამოჩენის შესახებ ინფორმაციას ეხმაურება. **„ვრჩები აპოლიტიკურ კერძო პირად და არ ვაპირებ პოლიტიკაში წასვლას“,** — განუცხადა ჟურნალისტებს ლევან ვასაძემ.

# თბილისში ე. წ. ხრუშჩოვკების დემონტაჟი იგეგმება



**თბილისის საკრებულოს ინფორმაციით, დედაქალაქის მასშტაბით ე. წ. ხრუშჩოვკების დემონტაჟი იგეგმება.**

საკრებულოსა და გაერთიანებული არაბული საამიროების ერთ-ერთ საინვესტიციო ჰოლდინგს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. დოკუმენტი ე. წ. ხრუშჩოვკების დემონტაჟს, მათ ნაცვლად ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას და, აგრეთვე, ძველი თბილისის რეაბილიტაციასაც ითვალისწინებს. პროექტი ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს. პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში მისი განხორციელება ოთხ თვეში დაიწყება.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;
ტ. 218-46-08 ოფისი**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894